


1239

2004



სამართლებრივი გაზეთი




№1 2004

ISSN 1512-0880

ჟურნალის თანდგომითა საბჭო

ნოდარ ამალლობელი
 შოთა აფაქიძე
 ლევან ბერძენიშვილი
 თამაზ გამყრელიძე
 სესილი გოგიბერიძე
 მალხაზ ბაალიშვილი
 დავით თარხან-მოურავი
 ნანა კანდელაკი
 ალექსანდრე კარგოზია
 თეიმურაზ კომახიძე
 ლია ნადარეიშვილი
 თემურ ჟღენცი
 ვახტანგ სართანია
 აკაკი სიხარულიძე
 ბაკურ სულაკაური
 ირაკლი ღარიბაშვილი
 რევაზ ღლონცი
 თეიმურაზ ჩხენკელი
 ირინა ჭანგურიშვილი




ჟურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი

გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და კორექსპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი



ინფორმაცია „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7
 საქართველოს პარლამენტის
 ეროვნული ბიბლიოთეკა
 ტელ. 93-26-82



საქართველოს ბიბლიოთეკა № 1 – 04

200

შინაარსი

| | |
|---|----|
| ინოვაციური პროცესები საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში ----- | 4 |
| ოფიციალური განყოფილება | |
| ევროპის პარლამენტის რეზოლუცია ----- | 8 |
| ბიბლიოთეკა და საზოგადოება | |
| ნანა ქავთარაძე – ბიბლიოთეკების როლი სამოქალაქო განათლებაში ----- | 13 |
| ტერმინოლოგიური ძიებანი | |
| ბადრი ცხადაძე – წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიული გერმინები ქართულში: თავი, სათაური, თაური, გიტყული, თავწარწერა, თავფურცელი ----- | 19 |
| სასკოლო ბიბლიოთეკა | |
| სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება – კონკურსი ----- | 21 |
| ბიბლიოგრაფიული მომსახურება: უცხოური გამოცდილება | |
| ნინო ჩხენკელი – საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განვითარების გენდენციები ----- | 26 |
| ისტორიის ფურცლებიდან | |
| ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია – გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მაგიანე ----- | 31 |
| რუსუდან დაუშვილი – ქართული სტამბები და გამოცემები სამღვარგარეთ ----- | 36 |
| ფონდების ორგანიზაცია | |
| ლოლო მჭედლიშვილი – სახვითი გრაფიკის სექტორში ----- | 44 |
| გვესაუბრება პროფესიონალი | |
| ვენერა ძოწენიძე – მასობრივი მუშაობა თანამედროვე ეტაპზე ----- | 45 |
| კორესპონდენციები | |
| თინათინ გოგოლაძე – „ენა ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა“ ----- | 50 |
| თამარი კო მუბითიძე – სიახლისადმი ლტოლვით ----- | 53 |
| ნელი ჯარიაშვილი – თანამდგომთა მხარდაჭერით ----- | 54 |
| ქეთევან ნიკურაძე – შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტთან – მუსრან მაჭავარიანთან ----- | 55 |
| ლუიზა ქუმელაშვილი – შეხვედრა პოეტთან ----- | 57 |
| გულნარა სგურუა – შეხვედრა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ----- | 58 |
| ნიკო დეკანოსიძე – კვლავაც ბევრჯერ გაგვაოცებს ----- | 61 |
| ნინელი კოკოლიშვილი – ბიბლიოთეკა – კულტურის თაზისი ----- | 63 |
| რეცენზიები, გამომხატვრები | |
| იმოლდა ოკრიბელაშვილი – სიყვარულით დაწერილი წიგნი ----- | 65 |
| გურამ თაყნიაშვილი – მშობლიური კუთხის სიყვარულით ----- | 66 |
| მეთოდური დანმარება | |
| ბიბლიოთეკართა ორდლიანი რაიონული სემინარების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების საორიენტაციო თემატიკა (2004 წ.) ----- | 67 |
| ინფორმაციები | |
| მნიშვნელოვანი შენაძენი ----- | 68 |
| საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია ----- | 69 |
| გამომხატვრება ----- | 69 |
| 2004 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების დამატებითი კალენდარი ----- | 71 |

Библиотека Грузии, №1-04

Содержание

| | |
|---|----|
| Инновационные процессы в библиотечном деле Грузии | 4 |
| Официальный раздел | |
| Резолюция Европейского парламента | 8 |
| Библиотека и общество | |
| Нана Кавтарадзе – Роль библиотеки в гражданском образовании | 13 |
| Терминологические изыскания | |
| Бадри Шахадзе – Книговедческие-библиографические термины в грузинском языке: тави (глава), сатаური (заглавие) | 19 |
| Школьные библиотеки | |
| Смотр – конкурс школьных библиотек | 21 |
| Библиографическое обслуживание: зарубежный опыт | |
| Нино Чхенкели – Тенденции развития справочно-библиографического обслуживания | 26 |
| Страницы истории | |
| Нинель Мелкадзе, Александр Лория – Леотипись Тифлисской публичной библиотеки | 31 |
| Русудан Даушвили – Грузинские типографии и издания зарубежом | 36 |
| Организация фондов | |
| Додо Мchedlishvili – В секторе изобразительной графики | 44 |
| Беседует профессионал | |
| Венера Дзоенидзе – Массовая работа на современном этапе | 45 |
| Корреспонденция | |
| Тинатин Гоголадзе – Язык – нерукотворная история народа | 50 |
| Тамрико Шубитидзе – Стремление к новшеству | 53 |
| Нелли Джариашвили – С поддержкой сторонников | 54 |
| Кетеван Никурдзе – Встреча с Мухраном Мачавариани | 55 |
| Луиза Кумелашвили – Встреча с поэтом | 57 |
| Гульнара Стура – Встреча в библиотеке Университета | 58 |
| Нико Деканосидзе – Ещё много раз удивит | 61 |
| Нинели Коколишвили – Библиотека – оазис культуры | 63 |
| Рецензии, отзывы | |
| Изольда Окрибелашвили – с любовью написанная книга | 65 |
| Гурам Такниашвили – с любовью к родному краю | 66 |
| Методическая помощь | |
| Двухдневные районные семинары библиотечарей (2004 г.) | 67 |
| Информация | |
| Важное приобретение | 68 |
| Ассоциация научно-образовательной компьютерной сети Грузии | 69 |
| Отзыв | 69 |
| Календарь знаменательных и юбилейных дат 2004 года (Дополнения) | 71 |

Georgian Library №1-04

o C

| | |
|---|----|
| Inovative Processes in Georgian Librarianship Field | 4 |
| Official Department | |
| Resolution of European Parliament | 8 |
| Library And The Society | |
| Nana Kavtaradze – Library's Contribution to Civic Society | 13 |
| Terminological Searches | |
| Badri Tskhadadze – Book-learning Bibliographic Terms in Georgian: Tavi, Satauri | 19 |
| School Library | |
| Contest/Inspection of school libraries | 21 |
| Bibliographic Service: Foreign Experience | |
| Nino Chkhenkeli – Trends in Bibliographic-Referential Service Development | 26 |
| From The History | |
| Nineli Melkadze, Aleksandre Loria – History of Tbilisi Public Library | 31 |
| Rusudan Daushvili – Georgian publishing Houses and Publication Abroad | 36 |
| Organizing Collections | |
| Dodo Mchedlishvili – Art materials in Libraries | 44 |
| Professional Tells Us | |
| Venera Dzotsenidze – Contemporary Public Activities | 45 |
| Correspondences | |
| Tinatin Gogoladze – Language is the Treasure of the National History | 50 |
| Tamriko Shubitidze – Striving Towards Novelties | 53 |
| Neli Jariashvili – Assistance from Supporters | 54 |
| Ketevan Nikuradze – Meeting with Mukhran Machavariani | 55 |
| Luiza Qumelashvili – Rendezvous with poets | 57 |
| Gulnara Sturua – Meeting at the University Library | 58 |
| Niko Dekanosidze – We'll be Surprised Many Times | 61 |
| Nineli Kokolashvili – Library is Oasis of the Culture | 63 |
| References, Responses | |
| Izolda Okribelashvili – Love Book on Kharagauli | 65 |
| Guram Takniashvili – With Love to Homeland | 66 |
| Methodological Assistance | |
| Two Day Regional Seminars of Librarians | 67 |
| Informations | |
| Important Gift | 68 |
| Georgian Research and Education Network Association | 69 |
| Response | 69 |
| Almanac of Celebration Dates of 2004 (addition) | 71 |





ინოვაციური პროცესები საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში: 1995-2003

საქართველოს საბიბლიოთეკო საქმე უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე ხასიათდება როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ტენდენციებით. კულტურის ამ სფეროს გრანსფორმაცია მიმდინარეობს ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე. არსებული ფაქტებისა და მოვლენების ბერელე ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ საბიბლიოთეკო დარგი არსებითად დაზარალდა როგორც რაოდენობრივი, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უარყოფით ტენდენციებთან ერთად საბიბლიოთეკო დარგში წარმოჩინდა და დაინერგა ბევრი სიახლე. ეს სფერო მდიდარია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სპეციალისტებით, პროფესიისადმი ერთგულებითა და ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანებით, რომლებმაც კარგად იციან წიგნის ფასი თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში. სწორედ ასეთმა ადამიანებმა



შეინარჩუნეს ბიბლიოთეკები და არა მარტო შეინარჩუნეს, არამედ მნიშვნელოვნად გაამდიდრეს იგი სიახლეებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ფორმებით, რამაც ერთგვარად აამაღლა ცალკეული ბიბლიოთეკების ავტორიტეტი. აქ მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ინოვაციურ პროცესებს, რომლებიც განვითარდა ბოლოდროინდელ ქართულ საბიბლი-


ოთეკო პრაქტიკაში, ამ პროცესებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ბიბლიოთეკების სიცოცხლისუნარიანობა, მათი ადგილი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში.

გერმინი ინოვაცია სიახლეს, სიახლის შემოგანასა და დანერგვას ნიშნავს. ამ გერმინს ყველა დარგში მიმართავენ და საბიბლიოთეკო სფეროშიც ფეხმოკიდებული ცნებაა ბოლო 10-12 წლის მანძილზე.

ინოვაცია თავისთავად გულისხმობს საბიბლიოთეკო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მოდერნიზებულ ფორმას, რომელიც საჭიროებს დღენიადაგ სრულყოფას.

საბიბლიოთეკო დარგის ცალკეულ სპეციალისტებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ამ დარგში არსებული ფორმები და მეთოდები მთლიანად მოძველდა, მწყობრიდან გამოვიდა და ხელთ არაფერი არ შეგვრჩა. ინოვაციური მიდგომის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სიახლეთა შემოგანასთან ერთად, არ დაიკარგოს ძველი, რაციონალური, შემოგანილ იქნეს მათში ახალი შინაარსი და მისაწვდომი გახდეს თანამედროვე პრაქტიკისათვის.

რა სახის სიახლეები დაინერგა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში, როგორია მათი ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა ქვეყნის ცალკეული რეგიონებისათვის? რა თქმა უნდა, ყველა მიმართულების დეტალების დახასი-



ათება შორს წაგვიყვანდა, აქ შევეცდებით ამ პროცესების მოგად დახასიათებას, რათა თითოეულმა ბიბლიოთეკამ ნათლად დაინახოს ამ სიახლეთა არსებობა, შეიცნოს მათი არსი და დანიშნულება;

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ საქართველოს საბიბლიოთეკო დარგში ერთგვარი შენელების, უკუსვლის, ქსელის მოშლისა და ამ დაწესებულებათა დაკნინების პერიოდი დადგა. ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკები, წამყვანი სპეციალისტები აწყობდნენ პერიოდულ შეხვედრებს, თათბირებს, ეძებდნენ მდგომარეობიდან გამოსვლის გზებსა და საშუალებებს. მათ სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათ, უპირველეს ყოვლისა, მოახდინეს საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების შემუშავება, საზოგადოებრივი აზრის შენარჩუნება ბიბლიოთეკების შესახებ. ეს იყო დიდი სიახლე საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მაგრამ ორივე კანონი, რომელიც არეგულირებს საქართველოში საბიბლიოთეკო საქმეს, მნიშვნელოვან ცვლილებებსა და დამატებებს საჭიროებს.

შემდეგი სიახლე, რაც უთუოდ აღნიშვნის ღირსია, ეს არის საბიბლიოთეკო საქმეში დემოკრატიული საწყისების შემოღება. ბიბლიოთეკები დამოუკიდებელნი გახდნენ. ისინი თვითონ განკარგავენ იმ სახსრებს, რომლებსაც დამფინანსებლები გამოუყოფენ. ამ მხრივ ბევრი რამ შესაცვლელია და მოსაგვარებელია თუნდაც იურიდიული თვალსაზრისით.

ბიბლიოთეკები გათავისუფლდნენ ფორმალობისაგან. ეს ისეთი მიდგომაა, ისეთი აზროვნების დაძლევა, რაც ბიბლიოთეკებს ათავისუფლებს წინასწარ შეთვისებული, ბევრ შემთხვევაში დაუსაბუთებული მონაცემებისაგან. რა თქმა უნდა, თითოეულ ბიბლიოთეკას უნდა გააჩნდეს სამოქმედო გეგმა, სტატისტიკური აღრიცხვა, იცავდეს ნორმებს. ამ მიმართულებით ბევრი რამ დასახვეწია, ფაქტები კი ფიქსირებას საჭიროებს – ბიბლიოთეკებს მხო-

ლოდ მაშინ შეეძლებათ ნორმებისა და გეგმების მოთხოვნით მუშაობა, მათი სრული რეალიზაცია. ამ ეტაპზე ბიბლიოთეკების დამფუძნებლები და სტატისტიკის დეპარტამენტი მხოლოდ რეალური სურათის ჩვენებას მოითხოვს.

სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ბიბლიოთეკებში მიმდინარეობდა დეპოლიტიზაციის პროცესი. ბიბლიოთეკის მუშაობა აღარ წარმართება ერთპარტიულობის პრინციპით, ბიბლიოთეკა იცავს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირება და მკითხველებთან მუშაობა ხდება მრავალპარტიულობის, რეგიონის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

ქვეყანაში განხორციელდა ბიბლიოთეკების დაფინანსების დეცენტრალიზაცია – ბიბლიოთეკებს აფინანსებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: საკრებულოები, გამგებობები, მერიები, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთა გერიგორიაზეც ფუნქციონირებს ამა თუ იმ გვიპის ბიბლიოთეკა. ამ პროცესმა დადებითი ზეგავლენა იქონია ბიბლიოთეკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ბევრი რეგიონის ადგილობრივი ორგანოები კარგად ხედავენ ბიბლიოთეკების საჭიროებას. ხელფასებს დროულად ურიგებენ და მინიმალურ თანხებს მაინც გამოყოფენ ბიბლიოთეკების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, თუმცა ეს საქართველოს ბევრ რეგიონზე არ ითქმის.

შეიცვალა საბიბლიოთეკო საქმის მართვის სისტემა. დაფინანსების დეცენტრალიზაციამ არსებითად შეცვალა მართვის ვერტიკალური სისტემა, ფორმები და საშუალებები. ისინი ბევრწილად შესუსტდა მართვის ჰორიზონტალური სისტემის გაძლიერებით. ბიბლიოთეკების ინიციატივა დადებით ზეგავლენას ახდენს მათი მუშაობის ეფექტურობაზე. ისინი დამოუკიდებლად ეძებენ თვითრეალიზაციისა და

მდგომარეობიდან გამოსვლის გზებსა და საშუალებებს. მართვის ფორმებიდან უპირატესობა მიენიჭა სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდს. ამ მეთოდით ყურადღება დაეთმო შრომითი კოლექტივების, პიროვნების მოტივაციას, მათი შემოქმედებითი უნარისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას საბოლოო მიზნის მისაღწევად.

სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. 1995, 1996 და 1997 წლებში ზედიზედ ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკების ავგომაციის, ინფორმაციის სპეციალისტთა და საქართველოს საბიბლიო-



თეკო ასოციაციები. ამ უკანასკნელთან მოქმედებს საქართველოს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი, რომელიც ანხორციელებს ბიბლიოთეკების ავგომაციასა და ელექტრონული რესურსების გეგმაზომიერად გამოყენების პროგრამებს. არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ ბიბლიოთეკებთან; ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციასთან მოქმედებს ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები. ასოციაციათა საერთო ძალისხმევით და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის აქტიური მოქმედების შედეგად საბიბლიოთეკო პროცესების ავგომაცია დაიწყო საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში: ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, გორში, ხაშურში, თელავში, გურჯაანში, ფოთში და სხვა ქალაქებში. კომპიუტერების შეძენა ძირითადად მოხდა საერთაშორისო ფონდებთან ბიბლიოთეკების აქტიური თანამშრომლობით. ამ მხრივ, შესა-

ძლებლობის ფარგლებში თავისი სიყვეა თქვა საქართველოს კულტურის სამინისტრომ. ამ უწყების წიგნისა და ბიბლიოთეკების დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს საბიბლიოთეკო დარგში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია თავისთავად ისეთი სიახლეა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი დიდი თუ საშუალო დონის ბიბლიოთეკა. ეს არის ინფორმაციული საუკუნის ობიექტური და სასიცოცხლო მოთხოვნილება.

ბიბლიოთეკების თანამშრომლობა თბილისში მოქმედ საერთაშორისო ფონდებთან, გამომცემლობებთან, საელჩოებთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან – ეს ის

მიმართულებაა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ეძიონ დამატებითი სახსრები ბიბლიოთეკების გასაძლიერებლად. ამ მხრივ, ბევრმა ბიბლიოთეკამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია.

ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ბიბლიოთეკების აქტიური თანამშრომლობა საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო დაწესებულებებთან. თბილისში უკანასკნელ 5-6 წლის განმავლობაში საინტერესო ლექციები და სემინარები ჩაატარეს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულმა წამყვანმა სპეციალისტებმა და ბიბლიოთეკის მენეჯერებმა. ქართველი სპეციალისტები ახლოს გაეცნენ გერმანიის, ლიგვის, რუსეთის, აშშ-ს და სხვ. ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმეს, ამ ქვეყნებიდან მოწვეულ სპეციალისტებთან შეხვედრებითა და ლექცია-სემინარების საშუალებით. ქართველი ბიბლიოთეკარების ორი ჯგუფი 2002 წლის იანვარსა და თებერვალში სტაჟირებას გადიოდა აშშ-ში. საქართველოში

სკუმრად იმყოფებოდა ლიგვის ბიბლიოთეკართა ერთი ჯგუფი; უფრო ადრე ამ ქვეყანას ეწვივნენ ქართველი სპეციალისტები. ამ მხრივ თანამშრომლობა გრძელდება. ქართველი სპეციალისტები, მენეჯერები და საბიბლიოთეკო პოლიტიკის გამგარებელნი სულ უფრო ღრმად რწმუნდებიან საბიბლიოთეკო საქმის სრული გრანსფორმაციის აუცილებლობაში. ამ დარგში მიმართულებები და პრიორიტეტები განსაზღვრულია. საჭიროა თანმიმდევრული და სისტემატური მუშაობა ბიბლიოთეკების გააქტიურების თვალსაზრისით;

ინოვაციური მიდგომით გამოირჩევა ბიბლიოთეკების მუშაობა. მკითხველთან მომსახურების სფეროში, ბიბლიოთეკების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მკითხველები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში გაჩნდა მკითხველებთან ურთიერთობის ახალი ფორმები: წიგნის პრეზენტაციები, შეხვედრები ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მრგვალი მაგიდების, არაფორმალური შეხვედრების ორგანიზაციაში აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები, მოსწავლეები, მასმედიის წარმომადგენლები. გაჩნდა მკითხველთა ახალი სოციალური ჯგუფები: ბიზნესმენები, მცირე საწარმოს მეპატრონეები, იურისტები, კერძო მესაკუთრენი, მენეჯერები. ბიბლიოთეკების მუშაობაში ერთ-ერთ მიმართულებად იქცა ეკოლოგიური და მხარეთმცოდნეობითი მუშაობა.

უკანასკნელი ორი-სამი წლის ინოვაციურ პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბიბლიოთეკო კვირეულების ჩატარებამ, ეს ღონისძიება გარდება ყველა უწყებისა და გიპის ბიბლიოთეკებში. ეს საყოველთაო საბიბლიოთეკო ღონისძიებაა, რომელსაც დასაბამი მიეცა 2002 წელს საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციების ინიციატივით. ამ ღონისძიებას აქტიურად


დაუჭირა მხარი საქართველოს კულტურისა და განათლების სამინისტროებმა, 2002 და 2003 წლებში ჩატარებულმა საბიბლიოთეკო კვირეულებმა ცხადყო ბიბლიოთეკების ნაკლიც და წარმატებებიც, მათი უნარი და შესაძლებლობები; კვირეულები ერთგვარად საზოგადოებრივი აზრის შემობრუნების ეგაპად იქცა. კვირეულების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ჩვენი ჟურნალი იუწყებოდა უფრო ვრცლად (N2, 2002, N2, 2003).

საბიბლიოთეკო დარგში თავისთავად დიდი სიახლე იყო პირველი ქართული სპეციალური პროფესიული ჟურნალის დაარსება. ვინც ამ ჟურნალს იცნობს, ვინც თვალს ადევნებდა რედაქციის შემოქმედებით საქმიანობას, ის ადვილად დარწმუნდება ამ პერიოდული გამოცემის თანადროულობასა და დიდ მნიშვნელობას.

უკანასკნელი სამი-ოთხი წლის ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ კოორდინაციული საქმიანობის გამოცოცხლება. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ერთგვარ შერწყმას, სათათბირო ორგანოს, რომელიც აქტიურად ეხმარება თანამედროვე საბიბლიოთეკო საქმის მაჯისცემას.

ასეთია ძალიან მოკლე, ზოგადი დახასიათებით ის ინოვაციური პროცესები, ის სიახლენი, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე ქართული საბიბლიოთეკო პრაქტიკა.





ევროპის პარლამენტის რეზოლუცია –

„ბიბლიოთეკების როლის შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში“

ევროპის პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტებიდან
საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებით ცნობილია შემდეგი:

- 1984 წლის 30 მარტი – ევროპის ბიბლიოთეკების შექმნის (დაარსების) შესახებ.
- 1985 წლის 27 სექტემბერი – ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობა მონაცემთა დამუშავების სფეროში.
- 1994 წლის იუნესკოს საჯარო ბიბლიოთეკების მანიფესტი.
- 1994 წლის 30 ნოემბერი – ევროპის საბჭოს რეკომენდაცია.
- 1994 წლის 16 თებერვალი – ინფორმაციული საზოგადოების შესახებ.
- 1995 წლის 16 მარტი – ევროპის პარლამენტისა და საბჭოს წინადადებები.
- 21-ე საუკუნის მოთხოვნები ევროპის კომისიის თანახმად.
- ევროპის პარლამენტის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტებისა და რეგიონების კომიტეტის მეთოდოლოგია (0014(95)0224).
- დოკუმენტები საავტორო და მომიჯნავე დარგების უფლებების შესახებ ინფორმაციულ საზოგადოებაში.
- ევროპის საბჭოს გადაწყვეტილება მრავალწლიანი პროგრამის შესახებ ლინგვისტური მრავალფეროვნების განვითარებისათვის ინფორმაციულ საზოგადოებაში.
- დოკუმენტები „განათლება და გრენინგი“ – ცოლნის ამალღების მიზნით.
- 1996 და 1997 წლების ექსპერტების მიერ წინასწარ მომზადებული ღია მოხსენებები უმაღლესი დონის ევროპის ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.
- დოკუმენტების მომზადება – „ცხოვრება და მუშაობა ინფორმაციულ საზოგადოებაში“.
- 1995 წლის 4 აპრილის საბჭოს რეზოლუცია კულტურისა და მასმედიის შესახებ.
- 1996 წლის – „ელექტრონული ბეჭდვა და ბიბლიოთეკები“.
- 1997 წლის 13 მარტი – კულტურა და განათლება.
- EC ხელშეკრულების 126 და 128 პუნქტების გათვალისწინება.
- პროცედურული წესების 148 წესი.
- კომიტეტის მოხსენება კულტურის, ახალგაზრდობის, განათლებისა და მასმედიის შესახებ (A 4-0248/1998).
- ა) ითვალისწინებს აუცილებელ ორგანიზაციას და გარანტიას მოქალაქეებისათვის ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობის შესახებ ეკონომიკის, სოციალური და კულტურული ინტეგრაციის მიზნით.

ბ) ცოდნის გაღრმავების მიზნით აუცილებელია ლინგვისტური საშუალებებით გამდიდრება.

გ) რადგანაც საინფორმაციო საზოგადოების ევროპული მოდელი მოითხოვს არა მარტო ეკონომიკური და ტექნოლოგიური ფაქტორების სრულყოფას, ამდენად აუცილებელია დემოკრატიული, სოციალური და კულტურული ასპექტების გათვალისწინება საზოგადოების განვითარების საქმეში. ამ მიზნით კი საჭიროა ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც მოწონებულია ევროპის გაერთიანების ხელშეკრულებაში, კერძოდ, ამსტერდამის ხელშეკრულებაში.

დ) ითვალისწინებს რა პროექტს ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო უფლების შესახებ, წევრ-ქვეყნები უზრუნველყოფენ რეპროდუქციის უფლებას განსაკუთრებული გამოწვევების ჩათვლით, რათა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის, რაც აგარებს არა კომერციულ, არამედ სასწავლო ან სამეცნიერო ხასიათს.

ე) ითვალისწინებს იმის გარანტიას, რომ ხელმისაწვდომი გახდეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცვალებადობა, ცოდნისა და კულტურის ამაღლება.

ვ) ბიბლიოთეკებმა უნდა შეასრულონ გრადიციებისა და ახალ მედიას შორის დამაკავშირებელი როლი და ამით კი არ გამორიცხონ, არამედ შეავსონ ერთმანეთი.

გ) იმ პირობებში, როდესაც იზრდება საკომუნიკაციო საშუალებების რაოდენობა, ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო სამსახურებს აქვთ შეუცვლელი და მზარდი როლი, განახორციელონ ცოდნის მიღების ორგანიზება.

თ) ითვალისწინებს ევროპის 240.000 საბიბლიოთეკო პერსონალს, რაც აკმაყოფილებს ყველაზე მეტად განსხვავებულ მოთხოვნებს ცოდნის ამაღლების საქმეში.

ი) მთელ რიგ წევრ ქვეყნებში მჭიდრო კავშირშია საჯარო ბიბლიოთეკებთან ერთიანი ქსელის შესაქმნელად, სადაც გაერთიანდება

ყველა მოქალაქე, სკოლები და საფუძველი ჩაეყრება ერთიანი, დემოკრატიული, ღია და ინფორმაციული საზოგადოების შექმნას.

კ) პროფესიონალ ბიბლიოთეკარებს გააჩნიათ ინფორმაციის მართვისა და დამუშავების უნიკალური გამოცდილება, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოების ყველა წევრს, მიიღოს და გამოიყენოს ცოდნა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ინფორმაციულ საზოგადოებაში და იმ პირობებში, როდესაც საინფორმაციო ტექნოლოგიის მნიშვნელობა იზრდება.

ლ) სკოლებმა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გამოხატონ მხარდაჭერა განათლების მიმართ, უზრუნველყონ სასწავლო მეთოდების დანერგვა, რომლებიც დაფუძნებულია დამოუკიდებელ მეცნიერულ კვლევებზე. ეს მეთოდები ასევე მისაღებია მობარდთა განათლებისათვის, რითაც ბიბლიოთეკები მეტად მნიშვნელოვან სასიცოცხლო სამსახურს გაუწევენ ცოდნის შეძენაში.

მ) ეროვნული ბიბლიოთეკები ასრულებენ განსაკუთრებულ მოვალეობას გამოქვეყნებული ლიტერატურის შეგროვების, შენახვისა და კატალოგიზაციის საქმეში: ამასთანავე, ყველა გიპის დოკუმენტაციის შენახვაში, კულტურული მემკვიდრეობის გადაცემაში მომავალ თაობებზე.

ნ) აუცილებელია კვლევითი მუშაობის ჩატარება მომსახურების ხარისხისა და მოცულობის გასაუმჯობესებლად.

ო) აუცილებელია ბიზნესისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება, როგორც ერთ-ერთი ელემენტისა მისი ეკონომიკური საქმიანობის საწარმოებლად, ხოლო, რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოებას, ისინი სარგებლობენ საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული ბიბლიოთეკის წყაროებით, მაშინ, როცა დიდი ბიზნესი მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ბიბლიოთეკების სამეცნიერო განყოფილებებისა და ფართო საინფორმაციო მომსახურებას.

პ) ევროპაში ფუნქციონირებს მთელი რიგი ბი-

ბლიოთეკებისა სხვადასხვა ან სპეციალიზირებული მომხმარებლების ჯგუფით; ბოგიერთ ქვეყანაში კი დაუშვებელია კერძო ბიბლიოთეკები, რომლებიც გაფორმებულნი არიან იურიდიულად და აგარებენ ისტორიულ მნიშვნელობას.

კ) გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი რიგი ისტორიული მოვლენები, რომლებმაც განაპირობეს სხვადასხვა ქვეყნებში ბიბლიოთეკების განვითარება სხვადასხვანაირად; უნდა შეიქმნას სოციალური ფონი ყველა ევროპელი მოქალაქის უფლებების დაცვით.

რ) ბიბლიოთეკებს აკისრიათ განსაკუთრებული მისია სკოლის მოსწავლეებში კითხვის ჩვევების განსავითარებლად და მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს მოსწავლეების მაღალ დონეზე მომსახურებისათვის.

ს) იმასთან დაკავშირებით, რომ ბიბლიოთეკები მეტად აუცილებელია საკუთარი ენის, ლიტერატურისა და კულტურის შენარჩუნებისათვის, ისინი უნდა თანამშრომლობდნენ მუზეუმებთან, არქივებთან და ასევე მწერლებთან.

ტ) გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ ბიბლიოთეკები წარმოადგენენ მომხმარებელთა სულიერი ამაღლების უნიკალურ საშუალებებს – სხვა ქვეყნის კულტურისა და ცხოვრების წესის გაცნობით, წიგნებით, პერიოდული გამოცემებით, ფილმებით, ვიდეო-მუსიკალური მასალებით და ელექტრონული გამოცემებით.

უ) ბევრი საჯარო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს როგორც თავისი ქვეყნის ცენტრალური სოციალური ფორუმი, სადაც ხდება მოქალაქეთა თავმოყრა საზოგადოების შემეცნებითი და სულიერი ამაღლების მიზნით.

ფ) ბიბლიოთეკებს ღიდი წვლილი შეაქვთ ინფორმაციის შენახვის, ორგანიზაციის, გადაცემის სხვადასხვა სტანდარტების დანერგვაში, რაც აფართოებს საინფორმაციო ქსელს და ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლობას.

ქ) ლიცენზირებული ელექტრონული პუბლიკაციები საინფორმაციო ბაზარზე წარმოადგენს

ყველა ბიბლიოთეკის მუშაობის ახალ სახეს, სადაც ლიცენზირებული პროდუქცია დაცული უნდა იყოს საავტორო უფლების მქონე პირთათვის საერთაშორისო დონისა და წევრ-ქვეყნების მოთხოვნათა შესაბამისად.

ღ) გელემაციკური ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, როგორც მნიშვნელოვანი გექნოლოგიური პირობა, ბიბლიოთეკებმა ამის თაობაზე ეფექტურად უნდა მიაწოდონ მომხმარებელს ინფორმაცია.

ყ) ბოლო 150 წლის მანძილზე გამოყენებული გექნოლოგიისათვის, რომელიც ემყარება ე.წ. „მქავეურ დამუშავებას“, რაც იწვევს მასალების განადგურებას, აუცილებელია ევროპის კანონმდებლობის მიღება, რომელიც ე.წ. „პერმანენტული დამუშავების“ გექნოლოგიას შეეხება.

შ) ბიბლიოთეკები აუცილებელია ისეთი სოციალური პროგრამების გადასაჭრელად, რომლებიც ეხება დოკუმენტაციის ხანგრძლივ შენახვას სხვადასხვა გექნიკურ ფორმაში და მათ სრულყოფილად გამოყენებას.

ჩ) უნდა შემუშავდეს მეთოდები ევროპის ბიბლიოთეკების შესაფასებლად, სტატისტიკის საწარმოებლად და ამ მეთოდების დასახვეწად.

ც) რადგან ბიბლიოთეკებს გააჩნიათ მეტად სასიცოცხლო ფუნქცია ეკონომიკურ სფეროში, აუცილებელია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის გაფართოება და გამოძევამლობები, რომლებიც დადებით როლს შეასრულებენ ეკონომიკის სექტორის გაუმჯობესებაში.

ძ) გათვალისწინებულ უნდა იქნეს საბიბლიოთეკო პროგრამები, რომელთა შემუშავება დაიწყო 1990 წლიდან და დაახლოებით 100-ზე მეტი პროექტი იქნა შემოგანილი წევრ-ქვეყნების ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

წ) ევროპის ბიბლიოთეკების ფართო ქსელი 1997 წლიდან 13/III რეზოლუციის თანახმად, მოწოდებულია ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და

პარლამენტის ბიბლიოთეკებს შორის კონტაქტების დასამყარებლად და თანამშრომლობისათვის.

ჟ) გათვალისწინებულ უნდა იქნეს კულტურული მემკვიდრეობის გადაგანა ციფრულ ფორმაში, თანახმად 1997 წლის 13/III-ის რეზოლუციისა.

ევროპის კარლამენტი

1) თვლის, რომ ევროპის გაერთიანებულ საზოგადოების სტრატეგიაში და მის გეგმებსა და პროგრამებში კულტურის, განათლებისა და საინფორმაციო პოლიტიკის მიმართებით და აგრეთვე მათთან დაკავშირებულ საბიუჯეტო გადაწყვეტილებებში განსაკუთრებულად უნდა იქნეს განხილული ბიბლიოთეკების როლი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სისტემისა, რომელიც ცოდნისა და კულტურის დაუფლებას უზრუნველყოფს.

2) ურჩევს წევრ-ქვეყნებს, მიიღონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ ბიბლიოთეკებს აქტიური როლი მიენიჭოს ინფორმაციის მიღებისა და ცოდნის გადაცემის საქმეში.

3) ურჩევს წევრ-ქვეყნებს, რომ საშუალება მისცენ ბიბლიოთეკებს, შეიძინონ ძვირადღირებული მცირე გამოცემები, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების საქმეში.

4) მოუწოდებს კომისიას, რომ დააჩქაროს მუშაობა რუხი დოკუმენტაციის (მცირე გირაჟიანი გამოცემები – მოხსენებები, რეზოლუციები, რომლებიც არ ვრცელდება სავაჭრო ქსელით) შესაძენად, რათა მომზადდეს ნიადაგი, შეიქმნას ბიბლიოთეკების მიერ ინფორმაციული საზოგადოება სხვადასხვა დონეების გათვალისწინებით.

5) მიმართავს კომისიას, რათა გათვალისწინოს გადაწყვეტილებანი საავტორო უფლებების მქონე გამოცემათა შესახებ.

6) მიმართავს კომისიას, მხარი დაუჭიროს მე-5 ჩარჩო ხელშეკრულების პროგრამას, რო-

მელიც ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის და ტექნოლოგიების განვითარებას.

7) თანახმად მე-5 ჩარჩო ხელშეკრულების პროგრამისა, შემუშავდეს სტანდარტები ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გადაცემის შესახებ; ყურადღება დაეთმოს ბიბლიოთეკებში ექსპერტიზის ჩატარების პროცედურას.

8) მიმართავს კომისიას, მხარი დაუჭიროს ევროპის თანამშრომლობას ისეთი პრობლემების გადაჭრისას, რომლებიც დაკავშირებულია მასალების ხანგრძლივი დროით შენახვასა და გამოყენებასთან, აგრეთვე გამოცდილების გაზიარებისა და კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფასთან.

9) მიმართავს კომისიას, შემუშავდეს სტანდარტიზაციის დარეგულირების პროექტი, რომელიც გათვალისწინებს ისტორიული ღირებულებების მქონე მასალების შენახვას და რეგისტრაციას.

10) მიზანშეწონილად მიაჩნია წიგნების გამოცემა ე.წ. „პერმანენტული“ ქალაქის გამოყენებით, შემდგომ ISBN-ის დასმას, მაღალხარისხოვანი ქალაქის ნიშნით, როგორცაა ~ (=infinity) მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით.

11) ურჩევს წევრ-ქვეყნებს მასალების მოწესრიგებას, რაც გამოიხატება ციფრობრივი მონაცემებისა და შენახვის პროგრამების განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის გადაცემას მომავალ თაობებზე მათთვის მისაღები ფორმით.

12) მოუწოდებს კომისიას და წევრ-ქვეყნებს ელექტრონული დოკუმენტების ლიცენზირებული სისტემის შესწავლას (დანერგვას), და ამ სისტემების გამოყენების ღირებულების განსაზღვრას, კერძოდ, თუ როგორ შეძლებენ პატარა და ფინანსურად სუსტი ბიბლიოთეკები მომხმარებლებს მიაწოდონ ელექტრონული დოკუმენტები.

13) მოუწოდებს კომისიას, რომ გააფართო-

ვოს თავისი კულტურული პროგრამები და ბი-
 უჯეტი ბიბლიოთეკების მიერ კულტურული ღო-
 ნისძიებების ჩასაგარებლად.

14) მოუწოდებს კომისიას და წევრ-ქვეყ-
 ნებს, რომ მოლაპარაკებები აწარმოონ ისეთი
 სისტემების შესახებ, რომლებიც უზრუნველყო-
 ფენ იურიდიული საფუძვლის მქონე მასალების
 შევსებას, შენახვასა და კაგალოგიზაციას არა
 მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო
 მოსაზრების გათვალისწინებით.

15) ურჩევს წევრ-ქვეყნებს, უზრუნველყო-
 ყველა ტიპის ბიბლიოთეკა თანამედროვე ტე-
 ქნიკური მოწყობილობებით, განსაკუთრებით
 ინტერნეტ-კავშირის საშუალებით და აღექვა-
 ტური დაფინანსებით, იმისათვის, რომ მიეცეს
 მათ საშუალება, უპასუხონ ინფორმაციული სა-
 ზოგადობის მოთხოვნებს.

16) ურჩევს წევრ-ქვეყნებს, რომ უზრუნვე-
 ლყონ მთავარი საჯარო ბიბლიოთეკის მომსა-
 ხურების ის განყოფილებები, როგორცაა ბი-
 ბლიოთეკის ფონდიდან წიგნის გაცემის, უფასო
 მომსახურების, კვლევითი სამეცნიერო მუშა-
 ობის განყოფილებები, თანახმად იუნესკოს რე-
 კომენდაციისა; როგორცაა მაგალითად – სა-
 ჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი, რომელშიც
 წარმოდგენილია, თუ როგორ უნდა მოემსახუ-
 რონ ბიბლიოთეკები საზოგადოებას.

17) ურჩევს წევრ-ქვეყნებს, რომ ის მნიშვნე-
 ლოვანი მასალა, რომელიც შეიძინება საფასუ-
 რის გადახდით (გადასახადის მეშვეობით) და-
 წყებული იურიდიული და დამთავრებული სა-
 მთავრობო გადაწყვეტილებებით, აგრეთვე
 ეროვნული ბიბლიოთეკების სტატისტიკა ხელმი-
 საწვდომი იყოს საზოგადოებისათვის ბიბლი-
 ოთეკების მეშვეობით.

18) ურჩევს წევრ-ქვეყნებს, შეუსაბამონ სა-
 ბიბლიოთეკო განათლებისა და კვალიფიკაციის
 ამაღლების სისტემები ინფორმაციული საზოგა-
 დობის განვითარების გენდენციებს, კერძოდ,
 ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ
 უნარი, მზარდი ინფორმაციის მასიდან გამოყო-
 მასალები მომხმარებლების სულ უფრო

რთული მოთხოვნილებების მიხედვით.

19) მოუწოდებს კომისიას, შეისწავლოს შე-
 საძლებლობები ევროპის გაერთიანების და-
 არსებისათვის, რომელიც მიმართული იქნება
 ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკი საქმიანობის
 კოორდინაციის, სამეცნიერო-კვლევითი მუშა-
 ობის შესრულებისა და საბიბლიოთეკო პერსო-
 ნალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

20) მოუწოდებს კომისიას და წევრ-ქვე-
 ყნებს, განიხილონ, თუ რამდენად შესაძლებე-
 ლია ბიბლიოთეკებში არსებული ევროპის სა-
 ინფორმაციო მუხლების (პუნქტების) შესრუ-
 ლება წევრ-ქვეყნების ბიბლიოთეკებში, სადაც
 ინფორმაცია ევროპის შესახებ აგარებს დადე-
 ბით ხასიათს.

21) მოუწოდებს კომისიას, შეისწავლოს, თუ
 როგორ უნდა იქნეს შეფასებული საბიბლიოთე-
 კო მომსახურება საზოგადოების მიმართ და
 შედგეს სტატისტიკა იმასთან დაკავშირებით,
 თუ რისი შემოთავაზება შეიძლება შედარების
 მოხდენისას.

22) ურჩევს წევრ-ქვეყნებს, რომ ევროპის
 პარლამენტის წევრებს მიენიჭოთ უფლებამო-
 სილება თავიანთ ქვეყნებში პარლამენტის
 ეროვნული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესა-
 ხებ, თუ კი ეს უფლებამოსილება დღემდე არ
 არსებობს.

23) გააცნონ პრეზიდენტს აღნიშნული რეზო-
 ლუცია, რათა დააჩქაროს წარდგინება კომისი-
 აზე და საბჭოზე.



ბიბლიოთეკა და საზოგადოება

ნანა ქავთარაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ცენტრის მთ. სპეციალისტი

ბიბლიოთეკების როლი სამოქალაქო განათლებაში

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ახლა ყალიბდება. საერთოდ, მას დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ანგიკურ ეპოქაში ძველბერძნული დემოკრატია აქტიურად უწყობდა ხელს თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოებრივ ინიციატივასა და დამოუკიდებელი ამროვნების განვითარებას.

ყოველ საზოგადოებაში არსებობს საერთო – საზოგადოებრივი და კერძო – ინდივიდუალური ინტერესები. ეს ინტერესები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან და ხშირად დაპირისპირებაშიც გადადიან. ოფიციალური ხელისუფლება მართავს, განაგებს საზოგადოების საერთო ინტერესებს, იცავს ადამიანის უფლებებს სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ხელისუფლებას გააჩნია ძალაუფლება და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად შეუძლია მიმართოს ძალისმიერ მეთოდებსაც. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ნეგატიური მოვლენები: კანონების უხეში დარღვევა, კორუფცია, ძალადობა და სხვა სახის უკანონო ქმედებანი იწვევენ ადამიანთა უფლებების დარღვევას. დემოკრატიული სახელმწიფო ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოქალაქეთათვის, რათა მათ თვითონ დაიცვან საკუთარი ინტერესები, წაახალისონ კერძო ინიციატივა და შეიმუშაონ ზომებისა და მეთოდების სისტემა ადამიანთა კანონიერი უფლებების დასაცავად. სხვანაირად რომ ვთქვათ, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია სახელმწიფოს ხელისუფლების გარკვეულწილად შე-

ზღუდა და კონტროლის განხორციელება მის მოქმედებაზე. სწორედ ამ მიზნით მოქალაქენი საკუთარი ნებითა და ინიციატივით ქმნიან სხვადასხვა სახის ასოციაციებსა და საზოგადოებებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი არიან სახელმწიფოსაგან. ასეთი საზოგადოებები მოქმედებენ საკუთარი წესდებებითა და პროგრამებით.

სამოქალაქო საზოგადოება არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების, საზოგადოებების ერთობლიობა, რომლის მიზანს შეადგენს მოქალაქეთა კერძო ინტერესებისა და უფლებების დაცვა საზოგადოებრივი პროგრესის მისაღწევად. სამოქალაქო საზოგადოება არის საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც ახასიათებს ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა ხელისუფლებისაგან, არაერთგვაროვნება და განსხვავებულობა საკუთარ მოქმედებასა და მიზანსწრაფვაში.

სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული გაერთიანებები და ასოციაციები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები არსებობენ დამოუკიდებლად, მოქმედებენ საკუთარი პროგრამებით, თანამშრომლობისა და მეგობრობის აგმოსფეროში. სამოქალაქო საზოგადოება საფუძველშივე გამოხატავს კერძო ინდივიდთა ინტერესებს, იგი არ ექვემდებარება რომელიმე იდეოლოგიას. სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნია ძალაუფლება, იგი ვერ შეცვლის ხელისუფლებას, მაგრამ გააჩნია

უფლება და საშუალებები, ამხილოს ხელისუფლების არაკანონიერი, არადემოკრატიული მოქმედების ფაქტები და დაიცვას პიროვნების, მოქალაქის ღირსებები და კანონიერი უფლებები. სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებული ფორმებითა და მეთოდებით ამ საზოგადოების ინსტიტუტები ზემოქმედებას ახდენენ ხელისუფლების საქმიანობაზე. ზემოქმედების ფორმებიდან მიმართავენ მშვიდობიან მანიფესტაციებსა და მსვლელობებს, რეკომენდაციებსა და საპროტესტო განცხადებებს. მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოებაში ხელისუფლებაზე ზემოქმედების ფორმები მშვიდობიანია და არა რადიკალური, ძალისმიერი.

სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის, პიროვნების მოქალაქედ ჩამოყალიბების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ამიგომაც, რამდენადაც ძლიერი და სრულყოფილი იქნება სამოქალაქო საზოგადოება, იმდენად თავისუფალი, ინიციატივიანი და ყოველმხრივ განვითარებული იქნება მოქალაქე, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის შემოქმედი და მონაწილე.

სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილება ქმნის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის საფუძვლებს. დემოკრატიამ, როგორც ხალხის ძალაუფლების ფორმამ, გააუქმა კლასობრივ-წოდებრივი შეზღუდვები, დააკანონა ადამიანთა თავისუფლება და თანასწორობა, მოსპო პოლიტიკური და სოციალური პრივილეგიები. თანამედროვე სამყაროში პოპულარული გახდა კონსტიტუციური დემოკრატია, როგორც სახელმწიფო მმართველობის მისაღები ფორმა. დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუცია აღიარებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებს, ქმნის მათი დაცვისა და რეალიზაციის ოპტიმალურ პირობებს. სწორედ კონსტიტუცია გვევლინება სახელმწიფოში დემოკრატიის დამკვიდრებისა და კანონიერების დაცვის გარანტიად. დემოკრატიული წყობილება აკანონებს მოქალაქეთა თავისუფლებას და

ახალისებს კერძო ინიციატივას. თავისუფალი მოქალაქეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნან ნებაყოფლობითი გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და გაერთიანებებს, ასოციაციებსა და ორგანიზაციებს თავიანთი ფუნქციების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ დემოკრატიული მმართველობის სისტემის პირობებში. ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა ემყარება ცალკეულ პირთა ნებაყოფლობისა და კოლექტიური გადაწყვეტილებების პრინციპს. ამრთა სხვადასხვაობა და მათი გამოხატვის საშუალებები აძნელებს ერთსულოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. ის გარემოება, რომ სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო ხელისუფლებას ერთიმეორისაგან განსხვავებული მიზნები და ფუნქციები გააჩნია, არ გამოორიცხავს მათ თანამშრომლობასა და ნორმალურ ურთიერთობას. სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ერევა სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურათა საქმიანობაში, როდესაც ეს უკანასკნელნი არღვევენ კანონს და პირიქით – სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო სტრუქტურებზე მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. სამოქალაქო საზოგადოების მოქალაქე თავისუფალი ადამიანია, იგი აღიარებს კანონის უზენაესობას და ემორჩილება მას.

ბიბლიოთეკები მათი არსებობის საწყის პერიოდთან ყოველთვის ასრულებდნენ აღმზრდელობით, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ფუნქციებს. ამ ამოცანების გადასაწყვეტად მათ გააჩნიათ წიგნი, ინფორმაციის წყარო, რომელიც თავისთავად ობიექტურად ფლობს აღმზრდისა და განათლების ფუნქციებს. თანამედროვე ბიბლიოთეკები აქტიურ როლს ასრულებენ მოქალაქეთა ინფორმაციული და პროფესიული განათლების მრდის საქმეში. ამ ამოცანების რეალიზაციის გზაზე აუცილებელია

თვითონ ბიბლიოთეკარი ერკვეოდეს სამოქალაქო განათლების არსში, მის სტრუქტურასა და ასეთი განათლების მიღების აუცილებლობაში.

სამოქალაქო განათლება, როგორც ადამიანთა ყოველმხრივი განათლების ნაწილი, ხანგრძლივი პროცესია, რომელიც აცნობს მოქალაქეებს დემოკრატიული სამოგადოებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლებს. თვით მოქალაქე კი არის ის პირი, ვინც ამა თუ იმ სახელმწიფოს ძირითად კანონში განსაზღვრული ყველა უფლებითა და ვალდებულებებით სარგებლობს.

დემოკრატია ნიშნავს ხალხის ძალაუფლებას და შესაბამისად ადამიანის უფლებებსაც. ადამიანის უფლებები – ეს არის კანონები, რომლებიც მიზნად ისახავს ყოველი ადამიანისათვის უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველყოფას. ისინი განსაზღვრავენ აგრეთვე ცხოვრების დონის ნორმებს, რომლებიც გარანტირებული უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს.

მოქალაქეს, რომელიც უკვე გაცნობიერებულია კანონებში, თავისუფლად შეუძლია როგორც თავისი უფლებების აქტიურად დაცვა, ასევე ხელისუფლების საქმიანობაზე სამოგადობრივი მეთვალყურეობის დამკვიდრება, მისი მონიგორინგი (დაკვირვება). ამასთანავე, მას შეუძლია ამხილოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ხელისუფალთა და თანამდებობის პირთა მიერ. დემოკრატიული სამოგადობა ეფუძნება ადამიანის უფლებების პატივისცემას, რომელიც, ცხადია, თავისთავად არ წარმოიშვება. აუცილებელია ცოდნა, ხოლო შემდეგ ამ ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რა უნდა შედიოდეს განათლებული ადამიანის, როგორც მოქალაქის, კომპეტენციაში?

უპირველს ყოვლისა, ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი უფლებები და მართებულად იყენებდეს ამ უფლებებს თავისი თავისა და სამოგადობის სასარგებლოდ. ამიგომ ადამიანის მი-

ერ სამოქალაქო უფლებების ცოდნა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. გარდა ამისა, მოქალაქე უნდა ფლობდეს თავისი ქვეყნის სამართლის საფუძვლებს და იყენებდეს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსაც, უნდა ერკვეოდეს თავისი ქვეყნის წყობაში, პოლიტიკური პარტიების მიერ შემოთავაზებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელების აგ-კარგში და შეეძლოს გონივრული არჩევანის გაკეთება. ამგვარად, სამოქალაქო განათლების საკითხები მოიცავს ადამიანის უფლებებს, არჩევნებს, კონსტიტუციას, სამართალმცოდნეობას, გარემოს დაცვას. ყველა ჩამოთვლილი კომპონენტის რეალიზაცია მოქალაქეების მიერ უნდა ხერხდებოდეს სასარგებლო უნარ-ჩვევებისა და ქცევითი ნორმების ჩამოყალიბებით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საჭირო ინფორმაციის თავად მოპოვების, მისი ანალიზის, მოპოვებული ცოდნისა და მიღებული დასკვნების გამოყენების უნარი. მოქალაქეს უნდა შეეძლოს თავისი პოზიციების წარმოჩენა და დაცვა, როგორც საკუთარი კეთილდღეობის, ისე მხეობრივი ღირებულების დამკვიდრების მიზნით. ამისათვის მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ნაყოფიერი თანამშრომლობის უნარი და მისი ქცევა შემწყნარებლური უნდა იყოს. შეგნებული, განათლებული ადამიანი, რომელიც იმავე დროს აღჭურვილია თავისი უფლებებისა და მოვალეობის ცოდნით, ყოველთვის ცდილობს დაიცვას სამოგადობაში ქცევის ეთიკური ნორმები. სამოქალაქო განათლება ამავე დროს ნიშნავს მოქალაქის აქტიურ პოზიციას, როგორც საკუთარი, ასევე სამოგადობრივი ინტერესების დასაცავად.

დემოკრატიის განვითარების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა სამოქალაქო განათლების აუცილებლობა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ინფორმირებული და აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას. მისი კონკრეტული მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1) მოქალაქის ყოველმხრივი ინფორმირება მისი უფლებებისა და ამ უფლებათა დაცვის საშუალებებზე, მის რეალიზაციაზე;

2) ისეთი უნარ – ჩვევების აღმზრდა მოქალაქეებში, რომლებიც მას შეაიარაღებს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის დასაკავებლად;

3) თვითთვეული მოქალაქისათვის გაცნობა იმ იურიდიული და ნორმატიული აქტებისა, სადაც განსაზღვრულია მათი უფლებები, მოვალეობები. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის კონსტიტუცია და ყველა ის საკანონმდებლო აქტი, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის უფლებებს, მოვალეობებს, ქვეყნის ნორმებს და სხვა;

4) სამოქალაქო განათლების ერთ-ერთ მიზანს შეადგენს თითოეული მოქალაქის აღჭურვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ცოდნით, როგორცაა: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, „კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ“ და სხვა.

დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ელემენტია პარლამენტის არჩევნები, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართვას სახელმწიფოს მართვაში, მხოლოდ გარკვეული პერიოდით. ამ დროს ხდება პრობლემების მიგანაშობის მმართველობამდე და მათი გაზიარება ამ უკანასკნელის მიერ. მაგრამ მოქალაქეებს პრობლემები მხოლოდ არჩევნების პერიოდში არა აქვთ. დღეს ჩვენი საზოგადოება სრულიად ახალ რეალობაში ცხოვრობს. წარსულს ჩაბარდა ყველაზე და ყველაფერზე „მზრუნველი“ სახელმწიფო, გაიზარდა მოქალაქეების თავისუფლების ხარისხი. რიგი პრობლემების გადაჭრა დღეს მოქალაქეებს თვითონ უხდებათ. ამისათვის განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეები სხვადასხვა სახის არასამთავრობო გაერთიანებებსა და ჯგუფებს ქმნიან. სამოქალაქო საზოგადოება ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლიობაა.

საქართველოში, როგორც დემოკრატიის გზაზე შემდგარ ქვეყანაში, თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ბი-

ბლიოთეკების როლისა და ადგილის განსაზღვრა საზოგადოებაში. ბიბლიოთეკების გრადიციული, ორგანული ფუნქცია და ამოცანა: აღმზრდელიობითი, საგანმანათლებლო, ინფორმაციული – დღეს სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. თანამედროვე ეტაპზე წინ წამოიწია ბიბლიოთეკების სოციალურმა ფუნქციებმა.

ბიბლიოთეკები და განსაკუთრებით მასობრივი ბიბლიოთეკები, არ უნდა დარჩნენ გრადიციული ფორმების გყვეობაში. მასობრივ ბიბლიოთეკებს აქვთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან მუშაობის დიდი გამოცდილება. გრადიციულ ფორმებში ახალი შინაარსი, ახალი მიმართულებები უნდა იქნეს გააზრებული. ბიბლიოთეკა, როგორც საზოგადოების სულიერ ღირებულებათა და ზოგად საკაცობრიო ცოდნის ორგანიზებული მცველი (შემნახველი), გექნიკური ცივილიზაციის პირობებში, რჩება პიროვნების დამოუკიდებელი, განუწყვეტელი განათლების მძლავრ საშუალებად.

ბიბლიოთეკები, რომლებიც ყოველდღიურად ემსახურებიან სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებს, გვევლინებიან როგორც საზოგადოების სულიერი პროგრესის აქტიური მამოძრავებელი ძალა, ამდენად, ისინი პრაქტიკულად მიჩნეულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელ, ორგანულ ნაწილად. დღეს, როდესაც ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველთა დიდი ნაწილი დაკავებულია ე.წ. „საქმიანი კითხვით“, ბიბლიოთეკარი ვალდებულია გაქტივანდეს პედაგოგიური მიდგომით გააცნოს მათ საზოგადოებაში, ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები, ის სოციალური პრობლემები, რომელთა დადებითად გადაწყვეტა თითოეულ მათგანს აინტერესებს და აღელვებს. ეს ამოცანები რომ შეასრულოს, საჭიროა ბიბლიოთეკარი თვითონ ერკვეოდეს სახელმწიფო წყობილების სტრუქტურაში, იცოდეს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობა, ის დოკუმენტები, რომლებიც ასახავს ამ ორგანოთა საქმიანობას, ამას-

თან, ბიბლიოთეკარი შესაძლებლობას არ უნდა უშვებდეს ხელიდან, მოაგროვოს და სისტემაში მოიყვანოს დოკუმენტური მასალა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ. ბიბლიოთეკაში მოსული მკითხველი თვითონ ეძებს სიახლეებს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენების შესახებ. პიროვნება ხშირად დგება პოლიტიკური არჩევანის წინაშე: საით წავიდეს, რომელ პარტიას თუ ბლოკს, მიმდინარეობას მიემხროს. პიროვნების ყოველმხრივი ინფორმირება ასეთი მოვლენების შესახებ, შეუძლია მხოლოდ ბიბლიოთეკას, რომელსაც გააჩნია სისტემატიზებული ინფორმაცია მათი მიმდინარეობის შესახებ.

სამოქალაქო საზოგადოებაში ბიბლიოთეკები წარმოადგენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთ საშუალებას და ისეთ დაწესებულებას, სადაც მკითხველი, თითოეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი დებულებს ინფორმაციას მისთვის აუცილებელ და სასიცოცხლო საკითხების შესახებ.

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის ერთ-ერთი პირობათაგანია ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შესახებ მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ხელის შეწყობა. ასეთი უფლებების რეალიზაციისათვის საქართველოს რესპუბლიკამ მიიღო კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ (1991 წლის 10 აგვისტო), რომლის რეალიზაციაში ბიბლიოთეკებმა უნდა შეასრულონ გადამწყვეტი როლი. ამჟამად უფრო აქტიური გახდა მკითხველთა და, საერთოდ, მოსახლეობის უზრუნველყოფა სოციალური შინაარსის ინფორმაციით. ამასთან, ქვეყნის გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე წინ წამოსწია ისეთი პრობლემების ინფორმაციული უზრუნველყოფა, როგორცაა: სამართალი და ბიზნესი, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, საბაზრო ეკონომიკა და მარკეტინგი, ეკოლოგიური და რელიგიური განთლება, რე-

გიონალური მმართველობა და სხვ. აღნიშნულ პრობლემათა ინფორმაციული უზრუნველყოფა შეადგენს ბიბლიოთეკების სოციალურ ამოცანას მოსახლეობის სამოქალაქო განათლების პროცესში.

მასობრივი ბიბლიოთეკები თავიანთი აქტიური მოქალაქობრივი პოზიციით ერთგვარად ხელს უწყობენ სტაბილიზაციის შენარჩუნებას ქვეყანაში, საზოგადოებაში არსებული სოციალური დაძაბულობის შენელებას. მათ მოთმინებით უნდა განუმარტონ მოსახლეობას არსებული სიძნელების სოციალური მხარის მიზეზების შესახებ. მოსახლეობა, ადგილობრივი სპეციალისტები დროულად უნდა იქნენ ინფორმირებულნი ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის შესახებ.

იმ მიზნით, რომ ბიბლიოთეკებმა უფრო მეტად შეუწყონ ხელი სამოქალაქო განათლების პროცესს, მათ მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ისინი თავიანთი საქმიანობით, ლიგერაგურის გაცნობით, დისკუსიების მოწყობითა და სხვა ფორმებით ხელს უწყობენ მოსახლეობის სამოქალაქო განათლების პროცესს, ფაქტიურად, აყალიბებენ დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობის საფუძვლებს. ბიბლიოთეკების მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გამოირჩეოდეს ოპერატიულობით; მომსახურების გრადიციულ ფორმებთან ერთად, აქტიურად უნდა გამოიყენონ 90-იანი წლების შემდეგ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში მიღებული ფორმები: წიგნის პრეზენტაციები, შეხვედრები ავტორებთან, დიალოგი, მრგვალი მაგიდა და სხვა.

მასობრივი ბიბლიოთეკები, რომელთა დიდ ნაწილს თანამედროვე ეტაპზე არ გააჩნია ახალგაზოცემული იურიდიული და, საერთოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმატიული დოკუმენტები, პირველ რიგში უნდა შეეცადონ ასეთი მასალის მოპოვებისათვის კავშირი დაამყარონ ადგილობრივი, რეგიონალური მმართველობის ორგანოებთან. ამ ორგანოთა ხე-

ლმძღვანელი პირები შედარებით მეტ ინფორმაციას ფლობენ ოფიციალური ხელისუფლების მიერ გამოცემული სათანადო დოკუმენტების შესახებ. ასეთი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოცემული მასალები დაუყოვნებლად უნდა გახდეს ბიბლიოთეკის მრუნვის საგანი. ისინი დროულად უნდა აისახოს ბიბლიოთეკის საცნობო აპარატში და ინფორმაცია მიეწოდოს მკითხველს მისი არსებობის შესახებ. ამასთანავე, საჭიროა მიეჩვიონ იმ აზრს, რომ სწორედ ბიბლიოთეკიდან შეუძლიათ უფასოდ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია საკუთარი უფლებების დაცვისა და იმ მოვალეობათა შესახებ, რომელთა შესრულება მათთვის, როგორც საზოგადოების წევრებისათვის, სავალდებულო და აუცილებელია.

მასობრივი და სხვა გიპის ბიბლიოთეკები (სასკოლო, სპეციალიზირებული, სამეცნიერო და სხვ.) ამჟამად ფუნქციონირებენ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე; მათ საქმიანობას ჩამოსცილდა პარტიული, იდეოლოგიური, გენდენციური მიმართულებები. პარტიული დოქტრინისაგან განთავისუფლებული ბიბლიოთეკები სულ უფრო ახლოს მიდიან მოსახლეობის სხვადასხვა ფენების, სხვადასხვა ჯგუფების მკითხველებთან, ინდივიდუალური მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე მეტად მიღებული ფორმატაგანაა საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. ეს ფორმა წარმატების მომგანია სამოქალაქო განათლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის. ბიბლიოთეკარი ყოველმხრივ უნდა სწავლობდეს თითოეული მკითხველის სოციალურ მდგომარეობას, მის ინტერესს, იმ პრობლემებს, რომლებიც მას აწუხებს და რომელთა გადაჭრაში ბიბლიოთეკებს შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ, ურჩიონ, დაუსახელონ შესაბამისი ინფორმაციის წყარო, მიუთითონ მათი მოპოვების გზები და საშუალებები.

მასობრივ ბიბლიოთეკებს უპირველესად უნდა გააჩნდეს სახელმწიფო კონსტიტუცია (მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს), შესაძლე-

ბლობის ფარგლებში, შეიძინონ ადამიანის უფლებების დაცვის საკანონმდებლო მასალები. ბიბლიოთეკები მოწოდებულნი არიან, მუდმივად იმზუნონ საზოგადოებრივი მრის განახლებისათვის, მკითხველთა ინფორმაციული კულტურის ფორმირებისათვის. ამ მიზნით საბიბლიოთეკო მუშაობის ნებისმიერი ფორმა და საშუალება გამართლებულია, თუ იგი გარკვეულ ეფექტს მოიგანს. აპრობირებული და არატრადიციული ფორმების შერწყმა დამოკიდებულია ბიბლიოთეკარის შემოქმედებით უნარზე, მის პროფესიონალიზმზე.

ბიბლიოთეკებმა მოსახლეობას უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ნორმატიულ – საკანონმდებლო, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. მკითხველი დროულად უნდა იქნეს ინფორმირებული ადგილობრივი ბიუჯეტის, საგადასახადო სისტემისა და პოლიტიკის, განათლების და სხვ. პრობლემების შესახებ, რათა ადვილად შეძლოს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებში გარკვევა. ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა სწორედ ბიბლიოთეკის საშუალებით უნდა გახდეს საზოგადოებისათვის ღია. ამისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკების და თვითმმართველობითი ორგანოების აქტიური კოორდინაციული თანამშრომლობა.



ბადრი ცხადაძე
პროფესორი

ნიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში: თავი, სათაური, თაური, ტიტული, თავნარჩება, თავფურცელი

თავი ძირძველი ქართული სიტყვაა. მას ზუსტი შესაგვეცისობა მოეპოვება ქართველურ ენებში. მაგალითად, ჭანურში მისი შესაგვეცისია თ-ი, მეგრულში – თუ(ში), დუღ-ი(1,44). ეს უკანასკნელი ქართული ენის დასავლური კილოებისთვისაც არაა უცხო (1,44..).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რეაგომეული) ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, „თავის“ მე-7 განმარტებაა საინგერესო: „რაიმე თხზულების დასრულებული ნაკვეთი (რომელსაც თავისი სათაური ან ნომერი აქვს), – ნაწილი, კარი (2, 204).

ცხადია, **თავ** ლექსემის წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ტერმინად ქცევა ქართული ენის ისტორიაში გვიანდელია მის პირვანდელ მნიშვნელობასთან შედარებით („თავი არს ყოველთა ცხოველთა ყელს ბეითი“ (3)), მაგრამ იგი ჯერ კიდევ ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში დაადასტურა ი.აბულაძემ X საუკუნის ხელნაწერში (4,79). ძველ ქართულში **თავი** წიგნის კარსაც, მის ნაწილსაც ნიშნავს: (5,172). თავი საკითხავისაა მის, რომელსა იკითხვიდა (საქმ. მოც. 8,32:). ივ. ჯავახიშვილის შენიშვნითაც, „ყოველ წიგნს ჰქონდა წიგნის „თავი“ და „ბოლო“ (6,65).

ხელნაწერში ძველად იმდენი თავი იყო, რამდენიც მასში შემავალი ნაწარმოები, – წერს მ. სურგულაძე და იქვე დასძენს: „თავი“ ეწოდებოდა აგრეთვე ერთი თხზულების სხვადასხვა ნაწილს, რომლებიც ერთმანეთთან ამრობრივად იყვნენ დაცილებულნი. **თავის** სათაური დანარჩენი ტექსტისაგან გამოიყოფოდა წითელი მელნით, მოგჯერ დაწერილობის გიპითაც: თქმულის ნათელსაყოფად მკვლევარი იქვე იმოწმებს ქუთაისის ისტორიული მუზეუმის

ხელნაწერთა აღწერილობიდან (გ. I, გვ. 130-131) ტექსტს: „...ესე საცნაურ იყავნ ყოველთა... მე, გლახაკმან ეფთუმე... ვითარგმნე ესე, რომელნი სწერდეთ, ვითარცა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, და თავნი, ვითარცა აქა იყვნენ, ეგრე დასხენით, რამეთუ მე ვითარცა მიპოვნიან, ეგრეთ დამისხმან ყოველნი წითელითა“ (7,64).

ამრიგად, ჩვენი წინაპარი მწიგნობრები, მწერლები **თავს** ანუ **სათაურს** განსაკუთრებულად გამოყოფდნენ ძირითადი ტექსტისაგან.

აღსანიშნავია ისიც, რომ „თავ“ სიტყვა შემადგენელი ნაწილია ძველი ქართული ენის ისეთი რთული სიტყვისა, როგორც ოთხთავია. ეს კომპოზიტი (შდრ. რუს. Четвертоглавие) ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში ოთხი თავის ანუ ოთხი სახარების აღმნიშვნელია (მათეს, მარკომის, ლუკას, იოანეს სახარებები).

ასე რომ, თავი, ოთხთავი ძირძველი ქართული წიგნთმცოდნეობითი ტერმინებია.

სათაური კი, როგორც წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინი, ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში არ ჩანს, იგი ნეოლოგიზმია. მას ი. ჯავახიშვილი თავის „პალეოგრაფიაში“ არც განიხილავს.

გიპოლოგიურადაც საინტერესოა ქართულ „თავ“; სათაური სიტყვებთან რუსული ГЛАВА, ЗАГЛАВЬЯ-ს გამორიცხული არაა, პირველი მათგანი მეორეს კალკი იყოს.

თაური და **სათაური** ტერმინების შესახებ ვრცლად მსჯელობს ბიბლიოთეკათმცოდნე-წიგნთმცოდნეობის ტერმინების სპეციალისტი ივ. ნარაშვილი. იგი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სპეციალისტ-ბიბლმცოდნეებს სთავაზობდა „ეკონომიის პრინციპებზე“ დაფუძნებულ ნეოლოგიზმებს. მაგ., ავტორი უარყოფდა **ბიბლიოთე-**

კათოლიკონი გერმინს და მის ნაცვლად „ბიბლიოთეკობა“, ბიბლიოთეკობი გერმინების დამკვიდრება-გავრცელებას ლამობდა. მისი დასკვნით, „სიგყვის ეს დაბოლოება ერთი-ორად ამოკლებს ნამეგან გძელ გერმინებს“ (8,181). **თაშური** და **სათაშური** სპეციალურ ლიგერაგურაში XIX ს. II ნახევრის ნეოლოგიზმად მიანჩნათ. ივ. ნარაშვილი სა-პრეფიქსიანი „თაურის“ (სა-თაურ-ი) არხმარებას მოითხოვს. მისი აზრით, „სათაური“ უმართებულ ნეოლოგიზმის ნიმუშია, რადგან მისგან წარმოშობილი სიგყვები გლანქი, მოუხეშავი და „სა“-თი დამძიმებულია. მაგალითად, სასათაურო, უფრო სჯობს: თაური, მეთაური, ზეთაური, ქვეთაური, მთავართაური, კოლონთაური, შუათაური, ცრუთაური, კანის თაური, ყდის თაური, მოგადი თაური“ (8,182-183). ამ შემთხვევაში ივ. ნარაშვილის მსჯელობა პარალელს ძველი ქართველი გრამატიკოსის, მწერლისა და ქურნალისგის სილოვან ხუნდაძის „კეითლხმოვანების პრინციპს“ გვაგონებს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, ქართული ენა, საერთოდ, ენის განვითარება ავტორიტიტებს არ ცნობს. მოვიგონოთ თუნდაც ანგონ II კათოლიკოსის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა მოღვაწეობა, რომელთაგან შემოთავაზებული გერმინები **ქშეშქეშქარე**, **შეშქეშქეშქე** (ანგონ კათალიკოსი), დედაბრი, შინაარსი, მიმართულება (ი. ჭავჭავაძე) ქართულმა ენამ შეითვისა, ქართული ენის ლექსიკური ფონდი გაამდიდრა, მაგრამ მათგან შეთხზულ-შექმნილი ბევრი გერმინი არსებობისათვის განწირული აღმოჩნდა.

ასეთი წარმატებული თუ წარუმატებელი ცდები სიგყვაკამბულ მწერლობაში მე-20 საუკუნის 10-30-იან წლებში ჰქონდა გრიგოლ რობაქიძესაც (შდრ. მისი თაურმდგენ-გერმ. „ურფენომენ“, ასანთი, თაური და სხვ.) (10,16).

როგორც ჩანს, **თაშური** თუ **სათაშური**, რომლებზედაც ჯერ კიდევ ივ. ნარაშვილი მიუთითებდა, მართლაც ნეოლოგიზმებია, იგი კალკი უნდა იყოს თავფურცელზე მოთავსებული წიგნის შინაარსის აღმნიშვნელი უცხოური, ევროპული გერმინისა, – „გიგული – ინგლ. tittle, გერმ. titell, ფრანგ. title. აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის 20-იან-30-იან წლებში დ. კარიჭაშვილი გიგულის შესაგყვისად „თავწაწერა“ – გერმინს ხმარობს (9,8).

დედებანდელი გერმინოლოგიით მეგ-ნაკლები შინაარსეული სახესხვაობით ქართულში გავრცელებულია წიგნთმცოდნეობით-პოლიგრაფიულ-პალეოგრაფიული გერმინები: გიგული, თავი, სათაური (ქვესათაური), თავფურცელი (ეს უკანასკნელი წიგნის პირველი გვერდის მნიშვნელობით). არაა გამორიცხული, უახლოეს მომავალში ქართული ენა კვლავ გამდიდრდეს მსგავსი წარმოების და წარმოშობის ნეოლოგიზმებით.

მითითებული ლიგერაგურა

1. ჩიქობავა არნ. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. – გფ., 1938.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ტ. 4. (არნ. ჩიქობავასა და მ. ჭაბაშვილის რედაქციით) – თბ., 1955.

3. ორბელიანი სულხან-საბა, თხზულებანი: ტ. IV, სიგყვის კონა). ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. – თბ., 1966.

4. აბულაძე ი. წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული გერმინი (თსუ შრომები: XXXIX, 1950).

5. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1973.

6. ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: მეორე გამოცემა, – თბ., 1949.

7. სურგულაძე მ. ძველი ქართული პალეოგრაფიული გერმინები, – თბ., 1978.

8. ნარაშვილი ივ., (ციციშვილი) ქართული გერმინებისათვის: კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. შრომები, ნ.1. – თბ., 1934.

9. კარიჭაშვილი დ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, – თბ., 1929.

10. რობაქიძე გრ., მზის ხანა ქართველთა (რობაქიძე გრ. კრებული). კარლო ინასარიძის გამოცემა, – მიუნხენი, 1984.

შემოკლებანი:

გერმ. – გერმანული,

ინგლ. – ინგლისური,

რუს. – რუსული,

საქმე მოც. – საქმე მოციქულთა, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1949.

ფრანგ. – ფრანგული,

ქართ. – ქართული.



სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება – კონკურსი

როგორც ცნობილია, სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსი, რომელიც გასული წლის დეკემბერში შეჯამდა, რამდენადმე გაჭიანურდა იმის გამო, რომ სასკოლო ბიბლიოთეკების გადამჭრელი უმრავლესობის ბიბლიოთეკების საქმიანობა იმდენად დაბალ

მათ ჯილდოები, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ დაიძრა ყინული – ყურადღება მიექცა სასკოლო ბიბლიოთეკებს, გამოვლინდა დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, რის შედეგადაც შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას არსებულ მდგომარეობაზე.

ჩვენი მხრივ, მივესალმებით ამ მოვლენას და განსაკუთრებულად აღვნიშნავთ, თუ რა სერიოზულობით მოეკიდნენ საქმეს იმ სკოლების ხელმძღვანელები და ბიბლიოთეკები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დათვალიერება-კონკურსში:

თბილისიდან:

№1 საშ. სკ. – ღირექტ. ლია შეწირული, ბიბლიოთეკარი ნათია ნადაშვილი;

№11 საშ. სკ. – ღირექტ. რომან მოსეშვილი, ბიბლიოთეკარი ეთერ თაყნიაშვილი;

№15 საშ. სკ. – ღირექტ. გულიკო ჯაშაშვილი, ბიბლიოთეკარი ქეთევან გაჩეჩილაძე;

№124 საშ.სკ. – ღირექტ. ლია კოსტავა, ბიბლიოთეკარი ლამბირა მესხი;

№148 საშ.სკ. – ღირექტ. დავით ბიწაძე, ბიბლიოთეკარი მარინა ჭამელიშვილი;

№149 საშ.სკ. – ღირექტ. მერი აფხაზავა, ბიბლიოთეკარი ირინე ნასყიდაშვილი;

№154 საშ.სკ. – ღირექტ. გოჩა გურგენიძე, ბიბლიოთეკარი ნაგო ყავლაშვილი;

№166 საშ.სკ. – ღირექტ. აკაკი ელიაური, ბიბლიოთეკარი ნათელა ლოლუა;

სუსტადმხედველ ბავშვთა რესპუბლიკური მოგადსაგანმანათლებლო საშ. სპეც. სკოლა-ინტერნატი – ღირექტ. გვანცა ჯვანგვაძე, ბიბლიოთეკარი ნანა მიქაძე



დონეზა, რომ დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობისათვის წინასწარ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემასაც ვერ ახერხებდნენ და უარი თქვეს ღონისძიებაში მონაწილეობაზე. ფაქტობრივად, მათ არაფერი აქვთ სათქმელი. რაც შეეხება იმ ბიბლიოთეკებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა დათვალიერება-კონკურსში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ საინტერესოდ და ნაყოფიერად უმუშავიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ მათგან მიღებული მასალები მომზადებულია მაღალკულტურულად, საქმის ცოდნითა და პროფესიული მიდგომით.

დათვალიერება-კონკურსი უკვე შეჯამდა, გამოვლინდნენ გამარჯვებულები, გადაეცათ

ქეთასიდან:

ი. ოცხელის სახელობის გიმნაზია – ღირექტ. გოჩა თევდორაძე, ბიბლიოთეკარი ნელი ოდიშარია;

ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის გიმნაზია – ღირექტ. ივლიანე ნაჭყეზია, ბიბლიოთეკარი ნაილი წივწივაძე.

მოდელირებისა და კერვის ტექნოლოგიის ლიცეუმი – ღირექტ. ინეზა ბასილაძე, ბიბლიოთეკარი ლამარა ჯინჯისაძე;

მრავალპროფილიანი გექს. ლიცეუმი – ღირექტ. მერაბ გრიგორაშვილი, ბიბლიოთეკარი ღარეჯან ჩაჩუა;

№30 საშ. სკ. – ღირექტ. ლამარა დევიძე, ბიბლიოთეკარი თინა სირაძე;

რუსთავიდან:

№2 საშ. სკ. – ღირექტ. ბელა ჯანგიძე, ბიბლიოთეკარი ლია ბაბაკიშვილი;

№12 საშ. სკ. – ღირექტ. მარინა ბულია, ბიბლიოთეკარი გიული შოთაშვილი;

№17 საშ. სკ. – ღირექტ. გივი მუმლაძე, ბიბლიოთეკარი ნათელა გრიგალაშვილი;

№18 საშ.სკ. – ღირექტ. მედეა მეცხვარიშვილი, ბიბლიოთეკარი ეთერ აბულაშვილი;

ფოთიდან:

№5 საშ.სკ. – ღირექტ. თენგიზ ქილიფთარი, ბიბლიოთეკარი ნინო ხარაიშვილი;

გორიდან:

№1. საშ.სკ. – ღირექტ. ნ. გაგულაშვილი, ბიბლიოთეკარი ა. ქანაშვილი;

№3 საშ. სკ. – ღირექტ. როზალია ჯაფახიშვილი, ბიბლიოთეკარი მანანა მამშიაშვილი;

№5 საშ.სკ. – ღირექტ. ლიანა ლამარაშვილი, ბიბლიოთეკარი ცისანა მჭედლიძე;

ახალციხიდან:

№1 საშ.სკ. – ღირექტ. ზოია გელაშვილი, ბიბლიოთეკარი თამილა ფიცხელაური;

სხვადასხვა სარაიონო ცენტრებიდან და სოფლებიდან:

ადიგენის საშ.სკ. – ღირექტ. ეთერ ბუცხრიკიძე, ბიბლიოთეკარი სონია გიგოლაშვილი;



ბაღდათის №1 საშ.სკ. – ღირექტ. თამარ მემარნიშვილი, ბიბლიოთეკარი ნუნუ მსხვილიძე;

ბაღდათის №2 საშ.სკ. – ღირექტ. ბუხუცი მსხვილიძე, ბიბლიოთეკარი ქეთევან ებანოიძე,

ბორჯომის რ-ნის დაბა ახალდაბის საშ.სკ. – ღირექტ. რევაზ ბლიაძე, ბიბლიოთეკარი ხათუნა გეგეშიძე;

გარდაბნის რ-ნის კოდის საშ.სკ. – ბიბლიოთეკარი ც. ირემაშვილი;

გორის რ-ნის ხიდისთავის საშ.სკ. – ღირექტ. ალექსანდრე ამბრიაშვილი, ბიბლიოთეკარი გულნარა გოლიაშვილი;

დუშეთის №2 საშ.სკ. – ღირექტ. თ. სუჯიაშვილი, ბიბლიოთეკარი ი. კამალიკაშვილი;

თეთრიწყაროს №1 საშ. სკ. – ღირექტ. გიული მაქაიძე, ბიბლიოთეკარი ეკატერინე რამაზაშვილი;

თეთრიწყაროს რ-ნის დიდი თონეთის საშ. სკ. – ღირექტ. ციალა შავშიშვილი, ბიბლიოთეკარი მანანა ბადალაშვილი;

– ერგისის საშ.სკ. – ღირექტ. ნიკოლოზ მენთეშაშვილი, ბიბლიოთეკარები მზიური გულიაშვილი;

– ჭიჭიჭავის საშ. სკ. – ღირექტ. რევაზ შავრეშინი, ბიბლიოთეკარი იზა ჩარკვიანი;

კასპის №1 საშ.სკ. – ღირექტ. გიორგი გოგიაშვილი, ბიბლიოთეკარი: ნინო აღაიშვილი და ნინო ფერაძე;

ლაგოდეხის №1 საშ.სკ. ღირექტ. რუსუდან მოღებაძე, ბიბლიოთეკარი ლამარა ხუციშვილი;

ლაგოდეხის რ-ნის აფენის საშ. სკ. – ღირექტ. თინა ყაველაშვილი, ბიბლიოთეკარი ეკა კაპანაძე;



მანგლისის №1 საშ.სკ. – ღირექტ. მ. აბულაძე, ბიბლიოთეკარი ც. ბელოძე;

მანგლისის №2 საშ.სკ. – ღირექტ. მარინა მელიქიძე, ბიბლიოთეკარი მარინა შავშიშვილი;

მცხეთის №2 საშ.სკ. – ღირექტ. ციალა გარსევანიშვილი, ბიბლიოთეკარი დარეჯან ბადრიძე;

მცხეთის რ-ნის გლდანის საშ.სკ. – ღირექტ. ნ. ოდიშვილი, ბიბლიოთეკარი ლია ჭიგაშვილი;

– ნავაზის საშ.სკ. – ღირექტ. მარინა სისაური, ბიბლიოთეკარი ნინო ოსიგაშვილი;

საგარეჯოს №1 საშ.სკ. – ღირექტ. ნელი ქაიხორაშვილი, ბიბლიოთეკარი ნინო ხარიტონაშვილი;

ყაზბეგის საშ.სკ. – ღირექტ. გ. ჩოფიკაშვილი, ბიბლიოთეკარი ლ. ავსაჯანიშვილი.

ყაზბეგის რ-ნის გორისციხის საშ.სკ. – ღირექტორი ხათუნა ქუქიშვილი, ბიბლიოთეკარი ელიკო ავსაჯანიშვილი;

წყალტუბოს №1 საშ.სკ. – ღირექტ. ნათელა ბაბაძე, ბიბლიოთეკარი ლილი ჯინჭარაძე;

წყალტუბოს №2 საშ.სკ. – ღირექტ. ჟირონი ბრეგვაძე, ბიბლიოთეკარი ხათუნა წერეთელი;

წყალტუბოს №4 საშ.სკ. – ღირექტ. უშანგი ჯიქია, ბიბლიოთეკარი ნანა შვანგირაძე;

წყალტუბოს რ-ნის ბანოჯის საშ.სკ. – ღირექტ. მარგარიტა ჩიგოვაძე, ბიბლიოთეკარი ქეთევან მიქელაძე;

– გეგუთის არასრ. საშ.სკ. – ღირექტ. იმოსლა ფხაკაძე, ბიბლიოთეკარი მარინა ცინცაძე;

– გეგუთის საშ.სკ. – ღირექტ. ალექსანდრე მაჩალაძე, ბიბლიოთეკარი ლენა მაჩალაძე;

– გვიშგების საშ.სკ. – ღირექტ. ნინო ვადა-

ჭკორია, ბიბლიოთეკარი თამარ სამხარაძე;

– გუბისწყლის საშ.სკ. – ღირექტ. ომარ ნაჭყებია, ბიბლიოთეკარი მირიან გორდულაძე;

– გუმათის არასრ. საშ.სკ. ღირექტ. მურად ჯიშკარიანი, ბიბლიოთეკარი მზია გყაბლაძე;

– გუმბორის არასრ. საშ.სკ. – ღირექტ. ქეთევან როყვა, ბიბლიოთეკარი მარიეტა ჩანქსელიანი;

– დღნორისის საშ.სკ. – ღირექტ. რომან მიქაუგაძე, ბიბლიოთეკარი თინა ასათიანი;

– მალაკის არასრ. საშ.სკ. – ღირექტ. ლუდმილა ლექვინაძე, ბიბლიოთეკარი იმედა ბურჯანაძე;

– ოფურჩხეთის საშ.სკ. – ღირექტ. ჯუმბერ მელაძე, ბიბლიოთეკარი გულქან კინწურაშვილი;

– ოფშკვიტის საშ.სკ. – ღირექტ. ნოდარ კაპანძე, ბიბლიოთეკარი მავრა ბანძელაძე;

– პაგრიკეთის საშ.სკ. – ღირექტ. რემო ძოძუაშვილი, ბიბლიოთეკარი თინა ყურაძე;

– რიონის საშ.სკ. – ღირექტ. მარინე ჩაჩხიანი, ბიბლიოთეკარი მანანა სინაგაშვილი;

– სორმონის საშ.სკ. – ღირექტ. ვლადიმერ აფრიდონიძე, ბიბლიოთეკარი ია ფურცხვანიძე;

– ტყაჩირის საშ.სკ. – ღირექტ. იმოსლა ბლიძე, ბიბლიოთეკარი ნათია მქავანაძე;



– ფარცხანაყანევის №1 არასრ. საშ.სკ. – ღირექტ. ნარგიზა გაბუნია, ბიბლიოთეკარი ნათია ნუსუბიძე;

– ფარცხანაყანევის №1 საშ.სკ. – ღირექტ. მურად ფხაკაძე, ბიბლიოთეკარი ნონა ჩიგაიშვილი;

– ფარცხანაყანევის №2 საშ.სკ. – ღირექტ. გულისა არეშიძე, ბიბლიოთეკარი ნაგო კაცი-

ტაძე;

- ქვილიშორის არასრ. საშ.სკ. - ღირექტ. ლეილა ახალაძე, ბიბლიოთეკარი ნანა ყურაშვილი;

- ქვიგირის საშ.სკ. - ღირექტ. რუსუდან ჩოგვაძე, ბიბლიოთეკარი ლოლო ვაჩიშვილი;

- წყალგუბოს (სოფ.) საშ.სკ. - ღირექტ. ეთერ ახვლედიანი, ბიბლიოთეკარი ციური ჯაღალანია.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა 2003 წლის 26 დეკემბერს საქართველოს განათლების სამინისტროში. კონკურსის შემდეგ გამარჯვებულებს მიეკუთვნათ ერთი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილები. მათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. პირველი ადგილი მიეკუთვნა ქ. ფოთის №5 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას (ღირექტორი თენგიზ ქილიფთარი, ბიბლიოთეკარი ნინო ხარაიშვილი), მას გადაეცა ი. გოგებაშვილის სახელობის მედალი და



ფასიანი საჩუქრები, ორი მეორე ადგილი მიეკუთვნათ ბაღდათის რ-ნის სოფ. დიშის №1 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას (ღირექტორი თინათინ კვლენჯერიძე, ბიბლიოთეკარი ირმა ჩარკვიანი) და ქ. თბილისის №149 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას (ღირექტორი მერი აფხაზავა, ბიბლიოთეკარი ირინე ნასყიდაშვილი); მესამე ადგილები მიეკუთვნათ: წყალგუბოს რ-ნის სოფ. გეგუთის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას (ღირექტორი ალექსანდრე მაჩალაძე, ბიბლიოთეკარი ლენა მაჩალაძე), ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის გიმნაზიის ბიბლიოთეკას (ღირექტორი გოჩა თევდორაძე, ბიბლიოთეკარი ნელი ოდიშარიძე) და ქ. რუსთავის №17 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას (ღირექტორი გივი მუმლაძე, ბიბლიოთეკარი ნათელა გრიგალაშვილი);

სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა 14 სასკოლო ბიბლიოთეკა:

ადიგენის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი ეთერ ბუცხრიკიძე, ბიბლიოთე-

კარი სონია გიგოლაშვილი).

ბორჯომის რაიონის დაბა ახალდაბის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი რევაზ ბლიაძე, ბიბლიოთეკარი ხათუნა გეგეშიძე).

ლაგოდეხის №1 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი რუსუდან მოდებაძე, ბიბლიოთეკარი ლამარა ხუციშვილი).

თბილისის №166-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი აკაკი ელიაური, ბიბლიოთეკარი ნათელა ლოლუა).

რუსთავის №18 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი მედეა მეცხვარიშვილი, ბიბლიოთეკარი ეთერ აბულაშვილი).

რუსთავის №2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი ბელა ჯანგიძე, ბიბლიოთეკარი ლია ბაბაკიშვილი).

გორის №3 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი რომანია ჯავახიშვილი, ბიბლიოთეკარი მანანა მამშიაშვილი).

დუშეთის №2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი თამარ სუჯიაშვილი, ბიბლიოთეკარი იმა კამალიკაშვილი).

თეთრი წყაროს №1 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი გიული მაქაიძე, ბიბლიოთეკარი ეკატერინე რამბაშვილი).

წყალგუბოს რ-ნის სოფ. ბანოჯის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი მარგალიტა ჩიგოვაძე, ბიბლიოთეკარი ქეთევან მიქელაძე).

წყალგუბოს რ-ნის სოფ. გყაჩრის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი იზო სანებლიძე, ბიბლიოთეკარი ნათია მქავანაძე).

წყალგუბოს №1 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი ნათელა ბაზაძე, ბიბლიოთეკარი ლილი ჯინჭარაძე).

ქუთაისის მრავალპროფილიანი გექნიკური ლიცეუმის ბიბლიოთეკა (ღირექტორი მერაბ გრიგორაშვილი, ბიბლიოთეკარი დარეჯან ჩაჩუა).

გორის №1 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (ღირექტორი ნ. გაგულაშვილი, ბიბლიოთეკარი ა. ქანაშვილი).

26 დეკემბერს განათლების სამინისტროში მიწვეული იყვნენ კონკურსში გამარჯვებული ბიბლიოთეკების მუშაკები. დიპლომების, სიგელებისა და ფასიანი საჩუქრების გადაცემას ესწრებოდნენ და სასკოლო ბიბლიოთეკების აქტუალურ პრობლემებზე ისაუბრეს განათლების მინისტრის მოადგილემ თამაზ გაგიშვილმა, პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ აბა ბუაძემ, მწიგნობართა ასოციაციის პრეზიდენტმა ლია ნადარეიშვილმა, სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსმა დავით ჯალაღანიამ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა, სასწავლო-მეთოდური მუშაობის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა ცისანა ელბაქიძემ. კონკურსში გამარჯვებულებს უფასოდ გადაეცათ სასკოლო ბიბლიოთეკების ბიბკოლექტორის (დირექტორი თინათინ ქერაშვილი) მიერ წიგნების პარგიები, მათვე უფასოდ გადაეცათ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ცალკეული ნომრები.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს კონკურსის მოწყობის მთავრისა და ინიციატორის, საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის შესახებ. ასოციაცია სისგემატურად თვალყურს ადევნებდა კონკურსის მსვლელობას, ეწეოდა ნაყოფიერ კოორდინაციულ მუშაობას.

სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსმა ცხადყო ამ სისგემის ბიბლიოთეკების მუშაობის ღონე, წარმოაჩინა პრობლემები და იმედი მაინც დაგვიტოვა იმისა, რომ სკოლის №1 კაბინეტი მინიმალურს მაინც აკეთებს სკოლებში წიგნიერი გარემოს შესაქმნელად, მოსწავლე ახალგაზრდების ცოდნის ღონის ასამაღლებლად.

როგორც ვხედავთ, სულ დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობა 70-მა სკოლის ბიბლიოთეკამ მიიღო. ორგანიზატორთა დავალებით, მაღლობას ვუხდით ამ სკოლების ხელმძღვანელებსა და ბიბლიოთეკარებს. ერთგვარ წუხილს გამოვხატავთ იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ბევრი დიდი რეგიონის სკოლები სულაც არ გამოხმაურებიან ამ ღონისძიებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შემდეგში ამგვარ ღონისძიებაში, რომელიც სასურველია ყოველ ორ წელიწადში მაინც იმართებოდეს, უფრო აქტიურად ჩაებმებიან ჩვენი სკოლები. ეს ხელს შეუწყობს სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობის გაუმჯობესებას.

შენიშვნა: სკოლების მიერ წარმოდგენილი აუდიოვიზუალური მასალა დაცულია ჟურნალის რედაქციაში. მათ წარმოდგენლებს სურვილისამებრ, შეუძლიათ დაიბრუნონ ისინი.



ნინო ჩხენკელი

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განვითარების ტენდენციები

1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების თეორიის სათავეები ამერიკის შემართულ უბატავში

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების დარგში ცნობილი ამერიკელი სპეციალისტის პროფესორ ჯონ რიჩარდსონის მიმოხილვაში (1) გამოყოფილია სამი ბიბლიოთეკარი, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინეს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განვითარების მიმართულებებზე: სამუელ გრინი, იზალორ მაჯი და მარგარეტ ჰაგჩინსი.

სამუელ გრინი (1837-1918) იყო ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი 1876 წელს. მან პირველმა გაამახვილა ყურადღება მკითხველებთან გასაუბრების მნიშვნელობაზე მათი უკეთ მომსახურების მიზნით, მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნილებების სისტემატურ შესწავლაზე და ამ მოთხოვნილებების მიხედვით საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდის დაკომპლექტებასა და მომსახურებაზე.

იზალორ მაჯი (1875-1957) იყო ილინოისისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების პროფესორი საბიბლიოთეკო დარგში. მის მიერ 1917-1936 წლებში ექვსჯერ გამოქვეყნდა „საცნობარო გამოცემების მეგზური“, ხოლო ლექციების კურსმა „ბიბლიოგრაფია და ბიბლიოგრაფიული მეთოდი“ უდიდესი გავლენა მოახდინა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განვითარებაზე. 1958 წელს ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციამ იზალორ მაჯის სახელობის პრემია დაარსა.

მარგარეტ ჰაგჩინსი (1884-1961) იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი საბიბლი-

ოთეკო დარგში, იზალორ მაჯის მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი. მარგარეტ ჰაგჩინსის მონოგრაფია „საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების შესავალი“ ექვსჯერ იქნა გამოცემული, ბოლოს – 1959 წელს. მარგარეტ ჰაგჩინსმა პირველმა ჩამოაყალიბა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების მეთოდოლოგია, როდესაც საინფორმაციო შეკითხვის ანალიზის შედეგად გამოიყოფა მოცემული შეკითხვის შესაბამისი საცნობარო ტიპები, ხოლო შემდეგ ამ ტიპებიდან კონკრეტული საცნობარო გამოცემები, რომლებშიც უნდა იქნეს მოძიებული პასუხი მოცემულ შეკითხვაზე.

პროფესორი რიჩარდსონი თავის მიმოხილვაში გამოჰყოფს აგრეთვე სამ ასპექტს, რომელიც ახასიათებს ყველა თანამედროვე სახელმძღვანელოს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში:

- საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების ტიპები;
- საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების მეთოდები;
- საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სპეციალისტთა (ბიბლიოგრაფთა) ფსიქოლოგიური თვისებები.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების ტიპოლოგია არ არის ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული. ყველა ავტორს საკუთარი მიდგომა ახასიათებს. საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების ტიპების რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ორიდან („ცნობარები“ და „ბიბლიოგრაფია“) ასორმოცდაათამდე (1). ამ ასპექტში მთავარია საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების ტიპოლოგიის ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომ ნებისმიერი საცნობო-ბი-

ბლიოგრაფიული გამოცემა ცალსახად მიეკუთვნებოდა შესაბამის გიპს. ასეთი სტრუქტურა შეიძლება იყოს იერარქიული. მთავარია, რომ ის იყოს ამომწურავი. ამაში მდგომარეობს სწორედ საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების გიპოლოგიის სტრუქტურალისტური მიდგომა.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების მეორე ასპექტი მდგომარეობს ისეთი მეთოდების შემუშავებაში, რომლებიც ეხმარებიან ბიბლიოთეკარს საინფორმაციო შეკითხვაზე პასუხის ეფექტიანად გაცემაში. ამ ასპექტში მთავარია საინფორმაციო შეკითხვაზე პასუხის გაცემის პროცესი. ძირითადი მეთოდი ამ პროცესში მდგომარეობს შემდეგი: ბიბლიოგრაფმა, რომელიც ეწევა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას, ყოველი შემოსული საინფორმაციო შეკითხვისათვის უნდა განსაზღვროს საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების შესაბამისი გიპი და შემდეგ შეარჩიოს ამ გიპის კონკრეტული გამოცემები, რომელთა დახმარებით იგი მოამზადებს ცნობას. სწორედ იმაღორ მაჯმა და მარგარეტ ჰაჭინსმა განავითარეს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში ე.წ. მეთოდური ასპექტი, რომელსაც მოგჯერ ევრისტიკულ მიდგომას უწოდებენ.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ფსიქოლოგიური ასპექტი გამოჰყოფს იმ თვისებებს, რომელსაც უნდა ფლობდეს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სპეციალისტი-ბიბლიოგრაფი: 1) წარმოსახვის ძალა, 2) განსჯის უნარი, 3) პროფესიული ცოდნა, 4) მეხსიერება, 5) დაეინებულობა, 6) სისწრაფე. პროფესორი უილიამ კაციც (2) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბიბლიოგრაფის ამ ფსიქოლოგიურ თვისებებს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში.

2. ქსელური საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სამქსპერტო სისტემები

პროფესორმა ჯონ რიჩარდსონმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ავტომატიზაციაში. მან შექმნა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ფუნქციური მოდელი, გამოიყენა სი-

სტემური ანალიზის მეთოდები, რათა გამოეყვინა საინფორმაციო შეკითხვაზე პასუხის მონახვის არსი და, ჩაგარებული კვლევების საფუძველზე, შექმნა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ავტომატიზებული საექსპორტო სისტემა (1). სრულ ავტომატიზებული საექსპორტო სისტემის ბირთვს წარმოადგენს ცოდნის ბაზა, რომლის გამარტივებულ მაგალითებს წარმოადგენენ შესრულებული ცნობების მონაცემთა ბაზები და ამ იდეებზე შექმნილი ვებების საძიებო სისტემა Askjeeves. ასეთი ცოდნის ბაზის დამახასიათებელი მოდულებია (3, გვ. 151): ძენის ინტერფეისი, იერარქიული საგნობრივი რუბრიკატორი, განაწილებული ინდექსირება, რელაქტირება, დუბლირება და არქივირება. პროფესორ რიჩარდსონის შეფასებით, საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სრული ავტომატიზაცია ჯერ კიდევ შორს არის განხორციელებისგან (1).

მანამდე კი ინტერნეტში დიდი გავრცელება ჰპოვა ცოცხალი ექსპერტების საექსპორტო სისტემებმა, რომელთაც უწოდებენ „ჰკითხე ექსპერტს“ (Ask an Expert) ან „ჰკითხე ბიბლიოთეკარს“ (Ask a Librarian) (3). ისინი წარმოადგენენ ვების საინფორმაციო ფასიან თუ უფასო სამსახურს, რომელშიც გაერთიანებული არიან დარგობრივი სპეციალისტები. ასეთ სამსახურში შემოსულ შეკითხვას ადმინისტრატორი გადაუგზავნის შესაბამის სპეციალისტს, სპეციალისტი პასუხს უბრუნებს ადმინისტრატორს, ის კი – მომხმარებელს (შემკვეთს) (3).

ექსპერტული საცნობო სამსახურები ვებში იყოფა უნივერსალურ („Askme.com“, „Exp.com“, „Allexperts.com“, „knowpost“ და სხ.) და სპეციალიზებულ („Ask Scientist“, „Ask Geologist“, „Ask a Linguist“ და ა.შ.) სამსახურებად.

ერთ-ერთი წამყვანი საცნობო ვებ-საიტის Refdesk.com-ის ცნობით, ვებში არსებობს 38 უნივერსალური და 129 სპეციალიზებული ინგლისურენოვანი ექსპერტული საცნობარო სამსახური, რომლებიც არ არიან შექმნილი არც ერთი ბიბლიოთეკის მიერ. თანაც ასეთი არა-ბიბლიოთეკური წარმოშობის ექსპერტული საცნობო სამსახურების გამოყენება ძალიან გა-

იზარდა. მაგალითად „Exp.com“ სამსახური ყოველთვიურად პასუხობს 1,6 მილიონ საინფორმაციო შეკითხვას, ხოლო „Askme.com“ სამსახურში გაერთიანებულია 4000 ექსპერტზე მეტი, ხოლო „ExpertCentral“ სამსახურში – 14 ათასი ექსპერტი. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო (3), ექსპერტულ საცნობო სამსახურებს მიმართავენ უმეტესწილად ფაქტოგრაფიული საინფორმაციო შეკითხვებით და ვინაიდან მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნებიანი ძირითადად ფაქტოგრაფიული ხასიათისაა, ამიტომ ბიბლიოთეკების საცნობო-ბიბლიოგრაფიულ სამსახურში საინფორმაციო შეკითხვების ნაკადმა იწყო კლება. ბიბლიოთეკების საცნობო-ბიბლიოგრაფიულმა სამსახურებმა „გადარჩენის“ მიზნით და მომხმარებელთა დასაბრუნებლად დაიწყეს გაერთიანება კორპორაციულ ქსელებში და კონსორციუმებში. კორპორაციული მიდგომა კიდევ იმით იყო განპირობებული, რომ არც ერთი ცალკე აღებული ბიბლიოთეკა არ არის სრულად დაკომპლექტებული ყველა დარგის სპეციალისტით და საინფორმაციო რესურსებით. გარდა ამისა, არც ერთ მათგანს არ შეეძლო ინტერნეტით შემოსული ყველა საინფორმაციო შეკითხვის მომსახურება 24 საათისა და კვირაში 7 დღის განმავლობაში. კორპორაციული ვირტუალური საცნობო-ბიბლიოგრაფიული ქსელის შემთხვევაში კი ქსელში შემოსული ყოველი საინფორმაციო შეკითხვა გადაიგზავნება იმ ბიბლიოთეკაში, რომელშიც, ჯერ ერთი, არსებობენ შესაბამისი სპეციალისტები და საინფორმაციო რესურსები და, გარდა ამისა, საინფორმაციო შეკითხვის შემოსვლის მომენტისათვის ნაკლებად დაკავებულია სხვა შეკითხვების შესრულებით. ქსელურმა მიდგომამ მაქსიმალურად გააფართოვა მომსახურების სპექტრი და შეამცირა საინფორმაციო შეკითხვებზე უარების რაოდენობა. პირველი ასეთი პროექტის – ვირტუალური საცნობო მაგიდა (Virtual Reference Desk) განხორციელება დაიწყო აშშ-ს განათლების სამინისტრომ 1996 წელს საინფორმაციო ცენტრის ERIC-ის მონაწილეობით. ამ პროექტის განხორციელების მსვლელობისას მონაწილეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქსელური სა-

ცნობო-ბიბლიოგრაფიული სამსახურის შესაქმნელად აუცილებელია შესაბამისი სტანდარტების შემუშავება და დანერგვა. სტანდარტიზაციის პროცესში შემდეგ ჩაებენ კონგრესის ბიბლიოთეკა, OCLC და აშშ-ს ელექტრონული ბიბლიოთეკების ფედერაცია. შემუშავებულ იქნა სამი დონისა და ორი კატეგორიის სტანდარტები. მაგალითისათვის გავეცნოთ პირველი კატეგორიის მეორე დონის სტანდარტის შინაარსს:

- მომხმარებელთან ურთიერთობა უნდა ხორციელდებოდეს საინფორმაციო შეკითხვის ვებ-ფორმით;

- ინფორმაცია საცნობო-ბიბლიოგრაფიული ელექტრონული სამსახურის შესახებ უნდა იყოს განთავსებული ბიბლიოთეკის საიტის მთავარი გვერდის თვალსაჩინო ადგილას;

- საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ელექტრონულ სამსახურთან დაშვება უნდა იყოს უმრუნველოფილი რამდენიმე ენაზე;

- მომსახურებაში მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ინვალიდი მომხმარებლების მოთხოვნები;

- შემოსული საინფორმაციო შეკითხვების 10%-დან 50%-მდე უნდა სრულდებოდეს 2 დღე-ღამის განმავლობაში;

- შემოსულ საინფორმაციო შეკითხვაზე პასუხის გაცემის შეუძლებლობაზე შეგყობინების მიწოდება მომხმარებლისათვის სავალდებულოა და უნდა სრულდებოდეს არა უგვიანეს 5 დღისა;

- საინფორმაციო შეკითხვის ვებ-ფორმაში უნდა არსებობდეს ისეთი გრაფა, სადაც მომხმარებელს შეეძლება ცნობის შესრულების სასურველი ვადის აღნიშვნა;

- საინფორმაციო შეკითხვის დაზუსტების აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული ელექტრონული ფოსტა შემკვეთისა და ბიბლიოგრაფის შორის.

მეორე მსგავსი პროექტი განახორციელა კონგრესის ბიბლიოთეკამ 2000 წელს – კორპორაციული ციფრული საცნობო-ბიბლიოგრაფიული სამსახური (Collaborative Digital Reference Service). ამ პროექტში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა ბიბლიოთეკამ. 2001 წელს

მასში ჩაერთო OCLC და 2002 წლის ზაფხულიდან ეს პროექტი გადაიზარდა ფასიან სამსახურად: <http://www.questionpoint.org>

კონგრესის ბიბლიოთეკამ 2002 წელს დააარსა „ჭკითხე ბიბლიოთეკარის“ ახალი სამსახური, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ბიბლიოთეკარები კონგრესის ბიბლიოთეკის 18 სამკითხველო დარბაზიდან. გარდა ამისა, კონგრესის ბიბლიოთეკაში შეიქმნა ციფრული საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განყოფილება (The Digital Reference Team), რომელიც იკვლევს და ადგენს შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის ყველაზე სწრაფ გზებს ელექტრონული რესურსების გამოყენებით და პაგრონობს კონგრესის ბიბლიოთეკის ინტერნეტის საცნობარო რესურსების საგნობრივ მაჩვენებელს – Virtual Reference Shelf.

თუმცა შეერთებული შტატების ბევრი ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე წარმოდგენილია უფასო საცნობო-ბიბლიოგრაფიული სამსახური „ჭკითხე ბიბლიოთეკარს“ (Ask a Librarian), გარდა ამისა, როგორც უკვე იყო აღწერილი აღრე (4), მრავალი ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე წარმოდგენილია ინტერნეტის საცნობარო რესურსების საგნობრივი მაჩვენებლები.

3. ინტერნეტის ბავშვანა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაზე რუსეთში

ინტერნეტის შემოჭრამ ბიბლიოგრაფიაში ძირფესვიანი ზემოქმედება იქონია საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაზე რუსეთშიც. რუსეთში მეორედ გამოცემულ სახელმძღვანელოში „ბიბლიოგრაფის ცნობარი“, კერძოდ, აღნიშნულია: „იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც საგრძნობლად ზემოქმედებენ ბიბლიოგრაფიის აწმყოსა და მომავალზე, უნდა აღინიშნოს საინფორმაციო რესურსების ხარისხობრივი ცვლილებები მათი ხელმისაწვდომობისა და გამოყენების მოხერხებულობის მიზნით (5, გვ. 22-23), მათ შორის:

– საბიბლიოთეკო კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიული კარგოთეკების შეთავსება ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში.

– წარმოდგენის შეცვლა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატზე, რომელიც უკვე წარმოდგენს არა კონკრეტული ბიბლიოთეკის აპარატს, არამედ მსოფლიო საინფორმაციო რესურსების გზამკვლევს.

– საბიბლიოთეკო და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების შერწყმა ელექტრონული დოკუმენტებისა და სრულტექსტოვანი მონაცემთა ბაზების გავრცელების საშუალებით.

– ინფორმაციის მიახლოება მკითხველის საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილთან, საინფორმაციო მომსახურების მიღების შესაძლებლობა ვირტუალური ბიბლიოთეკის გამოყენებით“.

რუსეთში გამოცემულ ახალ „ბიბლიოთეკარის ცნობარშიც“ (6) არაერთხელაა ხაზგასმული ინტერნეტის დიდი ზეგავლენა საბიბლიოთეკო პროცესებზე, და კერძოდ, ბიბლიოგრაფიერებაზე.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების მიმოხილვაში (7) აღნიშნულია, რომ რუსეთის ბიბლიოთეკებში ინტერნეტის მასობრივი გამოყენების შედეგად საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში მიღწეულია სამი თვალსაჩინო შედეგი:

– ინტერნეტით ხელმისაწვდომი ელექტრონული კატალოგებსა და ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზების აქტიური გამოყენება ბიბლიოგრაფიული ცნობების შესრულების დროს;

– ინტერნეტში განთავსებული საცნობარო რესურსების, ძეხნის მექანიზმებისა და ვებ-ცნობარების, სრულტექსტოვანი მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკების აქტიური გამოყენება ფაქტოგრაფიული ცნობების შესრულების დროს;

– ფსიქოლოგიური ბარიერების წარმატებული გადალახვა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საქმეში.

რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (ყოფილი ლენინის) (8) 23% საინფორმაციო შეკითხვებზე პასუხის გაცემა ხდება ვებების ზოგადი ძეხნის მექანიზმებისა და ვებ-ცნობარების გამოყენებით; 25,5% საინფორმაციო შეკითხვებზე პასუხის გაცემა ხდება ისეთი მონაცემთა

ბაზების გამოყენებით, როგორცაც თავაზობენ EBSCO, ИНИОН, ВИНТИ და სხვ., ფართოდ გამოიყენება აგრეთვე სამეცნიერო ჟურნალების ელექტრონული ვერსიები, როგორცაა Academic Press, Springer და სხვ.

რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (9, გვ. 160) საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ინტერნეტის შემდეგი საინფორმაციო რესურსები: ელექტრონული კატალოგები და ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზები, ზოგადი ძებნის მექანიზმები და ვებ-ცნობარები, ლექსკონები და ენციკლოპედიები, სპეციალიზებული პორტალები და მონაცემთა ბაზები, ელექტრონული გეჟსტების არქივები და ელექტრონული ბიბლიოთეკები, პერიოდული გამოცემების საინფორმაციო სამსახურები, გამომცემლობებისა და წიგნის მაღაზიების საიტები, საიტები, რომლებშიც აღწერილია და მოცემულია პაგენგები, სასაქონლო და სავაჭრო ნიშნები, სტანდარტები, ტექნიკური ანგარიშები, სტატისტიკური ინფორმაცია.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ რუსეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2001 წელს გამოცა ცნობარი ბიბლიოთეკებისათვის მსოფლიო აბლაბუდაში ეფექტური ძებნის სტრატეგიის შესახებ, შედგენილი საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების თანამშრომლების მიერ (10). ამ ცნობარში სინამდვილეში ყურადღება გამახვილებულია არა იმდენად ძებნის სტრატეგიებზე, რამდენადაც მსოფლიო აბლაბუდაში არსებულ საინფორმაციო სისტემებზე და მონაცემთა ბაზებზე, რაც ნაკარნახევი იყო ამ საკითხებისადმი დიდი ინტერესით და შესაბამისად შეკითხვების დიდი რაოდენობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ричардсон Дж. Теория справочного обслуживания: Американский опыт – прошлое, настоящее и будущее. // Информационно-библиографическое обслуживание: Сб. статей; Вып. 1. РНБ -Спб.: РНБ, 2003) – с. 72-91.
2. Katz, William A. Introduction to reference work. Volume 1. – 8th ed. – 2002 – 504 p.
3. Жабко Е. Д. Справочное обслуживание в сетевой среде: от локального обслуживания

к национальным корпоративным службам // Библиотечные компьютерные сети: Россия и Запад, Сб. статей; Вып. 2. Науч. ред.-сост.: Е.И. Кузьмин и М.Н. Усачев. МКРФ. – М.: „ЛИБЕРИЯ“, 2003. – с. 147-159.

4. Чхенкели Нино. Использование бесплатных справочных интернет-ресурсов США в Грузии. // Кавказоведение. 2. – 2002 - с. 202-209.
5. Справочник библиографа. – 2-е изд., перераб. и доп. Науч. ред. А.Н.Ванеев, В.А.Минкина. – СПб.: Профессия, 2003. – 560 с.
6. Справочник библиотекаря: 2-е изд., Науч. ред. А.Н.Ванеев, В.А.Минкина. – испр. и доп – СПб.: Профессия, 2003. – 440 с.
7. Жабко Е.Д.Справочно-библиографическое обслуживание в 1990-е годы: тенденции развития. // Информационно-библиографическое обслуживание. Сб. статей – Вып. 1. РНБ. – Спб.: РНБ, 2003 – с. 91-110.
8. Елицина Е.Ю. Новые технологии и информационное обслуживание пользователей в Российской государственной библиотеке. // Информационно-библиографическое обслуживание: Сб. статей; Вып.1. РНБ. – СПб.: РНБ, 2003. с. 117-127.
9. Беглик А.Г. Справочный потенциал World Wide Web. Критерии отбора ресурсов для использования в справочно-библиографическом обслуживании. // Информационно-библиографическое обслуживание: Сб. статей; Вып.1. РНБ. – СПб.: РНБ, 2003. – с. 140-156.
10. World Wide Web_ стратегия эффективного поиска: Справочник для библиотек. (Рос. Нац. Б-ка; Сост.: И.С. Галеева, А.Г. Беглик, И.Г. Войтенкова, П.А. Лузгина; Науч.ред. Е.Д. Жабко. – СПб.: РНБ, 2001. – 208 с.





ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის პატივანე*

კავკასიის მუზეუმი და მასთან მყოფი ბიბლიოთეკა განთავსებული იყო ქალთა პირველ გიმნაზიაზე მიშენებულ შენობაში პირველ ორ სართულზე. რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების უწყებებში წერდნენ: „მუზეუმი უნდა ემზადოს მისთვის მშენებარე ახალ შენობაში გადასასვლელად და არამცთუ შეზღუდოს თავისი მოღვაწეობა, არამედ პირიქით – გააძლიეროს“ (14).

1913 წელი კავკასიის მუზეუმისათვის აღსანიშნავია იმით, რომ 3 დეკემბერს უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცდა კავკასიის მუზეუმის ახალი დებულება, მოწონებული სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მიერ (14). სწორედ ამ დებულებით შეიცვალა ძველი სახელწოდება ახლით – „კავკასიის მუზეუმი და მასთან არსებული კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“. ეს სახელწოდება ძალაში შევიდა 1914 წლის 1 იანვრიდან. ბიბლიოთეკა გახდა სამეცნიერო წიგნსაცავი კავკასიათმცოდნეობის დარგში და, ამასთან, შეინარჩუნა საჯარო ბიბლიოთეკის ფუნქციები, თუმცა, ეს ფორმალურად დარჩა ასე. ახალი დებულებით ბიბლიოთეკის შტაბი სამის ნაცვლად (ღირექტორი, თანამშემწე, კონსერვატორი) ათამდე გაიზარდა: ღირექტორი, 5 უფროსი წიგნმცველი, 3 უმცროსი წიგნმცველი, 1 ბიბლიოთეკარი. ამასთან, ბიბლიოთეკარის ხელფასი უფროსი მცველის ხელფასს უგოლდებოდა.

გაფართოვდა მუზეუმის უფლებები: ნება მიეცა ცენზურის გარეშე საზღვარგარეთიდან გა-

მოგზავნილი წიგნებისა და სხვა ბეჭდური პროდუქციის მიღებისა. უცხოეთიდან წიგნების, კოლექციების, ლაბორატორიული მუშაობისათვის საჭირო კვლევითი მასალებისა და სხვა საგნების დაუბეგრავად მიღებისა; რუსეთში გამოცემული ყველა წიგნი, რომელიც კავკასიას შეეხებოდა, უფასოდ უნდა გადასცემოდა ბიბლიოთეკას. ამას გარდა, მუზეუმს ეძლეოდა უფლება უფასო საფოსტო გზავნილებისა ერთი ფუთის ფარგლებში. იგივე წესები უნდა გატარებულიყო იმ საფოსტო გზავნილებზე, რომლებიც კავკასიის მუზეუმის სახელზე მოდიოდა (14). დებულების თანახმად, ღირექტორს ირჩევდა მეცნიერებათა აკადემია ორი-მესამედი ხმით, ხოლო თანამდებობაზე ამტკიცებდა კავკასიის მეფის ნაცვალი. მცველებსა და ბიბლიოთეკარს ამტკიცებდა მეცნიერებათა აკადემია მუზეუმის ღირექტორის წარდგენით. მუზეუმის ღირექტორს ეკისრებოდა შემდეგი მოვალეობა: 1) მუზეუმის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა უმთავრესი ამოცანების გადაწყვეტისა და მიზნების განხორციელებისათვის; 2) ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმის გაძღოლა და თანამშრომელთა შორის მოვალეობათა განაწილება; 3) სამეცნიერო ექსპედიციების ორგანიზაცია.

ღირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის თანამდებობას ასრულებდა ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის მქონე უფროსი მცველი.

ახალი დებულებითა და ახალი შტაგებით კავკასიის მუზეუმი და ბიბლიოთეკა, შეიძლება ითქვას, ახალ ცხოვრებას იწყებდნენ.

მუზეუმის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. საქართველოს ბიბლიოთეკა, 2002, № 3; 2003, № 2,4.

1914 წლის 26 თებერვლის № 48 ბრძანებით ო. გ. შმილგი დაინიშნა (2), მან აქ 1916 წლის 16 აგვისტომდე დაჰყო.

1915 წლის აპრილამდე ბიბლიოთეკარის თანაშემწედ მუშაობდა მ. ი. ბალუევა, 1916 წლის აგვისტოში ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობის შესრულება ა. ჰეიდელმანს დაეკისრა. 1916 წლიდან 1918 წლის იანვრამდე ბიბლიოთეკარად ე. გ. ვეიდენბაუმი მუშაობდა (6). 1918 წლის მარტიდან 1919 წლის აგვისტომდე ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას ე. გერ-გუკასოვა ასრულებდა (7).

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე – 1914 წლის 22 აგვისტოს, პოლკოვნიკი ა. ნ. კაზნაკოვი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მაგრამ ღირეჟტორის უფლებების შენარჩუნებით. მუშეუმისა და ბიბლიოთეკის ღირეჟტორის მოვალეობის შემსრულებლად უფროსი მცველი ი. ნ. ვორონოვი დაინიშნა (12). ყოველივე ამას წინ უძღოდა მძიმე და დაძაბული შრომა. მუშეუმში და ბიბლიოთეკა თანდათან იზრდებოდა, ფართოდ ვიდებოდა ფონდის მოცულობა. როგორც ცნობილია, 1910-1912 წლებში ფონდების დიდი ნაწილი უძრავად იყო ერთ ადგილზე შეკრული, მაგრამ მათ შემაგებაზე ზრუნვა მაინც ხდებოდა. ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა 1913 წლის 9 ნოემბრის № 2042 ბრძანებით, გფილისის საჯარო ბიბლიოთეკას თავის არქივში დაგროვებული 1908 წლამდე გამოცემული წიგნების მთელი კოლექცია გადასცა (1:532).

ფრონტზე გამგზავრების წინ ა. ნ. კაზნაკოვმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 303 დასახელების 371 წიგნი. აქ იყო მეტად ძვირფასი სამეცნიერო შრომები წინა აზიის ისტორიიდან, თხზულებები გეოგრაფიისა და აზიაში მოგზაურობათა შესახებ, საბუნებისმეტყველო და ისტორიული შინაარსის ლიგერატურა. უმეტესობას შეადგენდა საცნობარო ხასიათის წიგნები, რომლებიც ფრიალ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებისათვის (9:31). ამ საჩუქარი წიგნების წყალობით განყოფილების ფონდი 204 დასახელებით შეივსო.

მიუხედავად ომიანობის მძიმე პირობებისა,

ბიბლიოთეკა მაინც ვითარდებოდა, რაც მთავარია, იზრდებოდა მისი ფონდები. მართალია, იმგვარი ინტენსივობით არა, მაგრამ მაინც მუშაობა არ შეწყვეტილა და შეძლებისდაგვარად ხდებოდა მიღწევების შენარჩუნება.

1915 წელს საინვენტარო წიგნში შეგანილია 703 დასახელების წიგნი. საჩუქრად ბიბლიოთეკამ მიიღო 486 დასახელების 607 ტომი, მათ შორის ბევრი გადმოცემული იყო რუსეთის იმპერიის 12 სამეცნიერო დაწესებულებისაგან. კერძო პირებიდან იყვნენ: კ. ვ. ბოლსუნოვსკი, ე. ი. ბორდბილოვსკი, დ. ნ. ბოროდინი, ა. ბრაუნერი, მ. ა. ვასილიევი, ე. გ. ვეიდენბაუმი, ს. ა. ვეის ფონ-ვეისენგოფი, პ. გ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, ი. ნ. ვორონოვი, ა. ა. გროსგეიმი, ფ. ა. ბაიცევი, ნ. ა. ზარუნდი, ი. ს. მედვედევი, ი. კ. პაჩასკი, ვ. რონეგი, ა. სტარკი, მ. გ. სტრუვე, ვ. ვ. ხვოიკა, ა. ბ. შელკოვნიკოვი.

ამ წელს ბიბლიოთეკას წიგნცვლა ჰქონდა კავკასიის 36 სამეცნიერო დაწესებულებასთან, ინგლისის 12 სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან. ამ მიმართულებით კონტაქტები იყო დამყარებული ბრიტანეთის აღმოსავლეთ გვირგვინის, აშშ, შვეიციის, იაპონიის სამეცნიერო ცენტრებთან (9).

წიგნების შექენა უმეტესად ხდებოდა დიომინის ბუკინისტური მალაზიიდან, აქედან მიღებულია 80 დასახელების 118 ტომი, ყველა თითქმის კავკასიათმცოდნეობის დარბაზში. მუშეუმის გამოცემებზე გაცვლით მიღებულია 92 დასახელების 486 ტომი.

კავკასიის ბეჭდვით საქმეთა კომიტეტმა 1915 წელს ბიბლიოთეკას გადასცა კავკასიაში გამოცემული ჟურნალების კომპლექტები: რუსულ ენაზე 20, ქართულზე – 16; გაზეთები – რუსული – 33, ქართული – 13, სომხური – 10, აზერბაიჯანული – 4, ბერძნული – 1, ებრაული – 1. სულ 43 ჟურნალისა და 62 გაზეთის კომპლექტები (9:32-33).

სულ 1915 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა 658 დასახელების 1211 წიგნი.

სისტემატურად აგზავნიდა წიგნებს საჩუქრად ბორჯომის მინერალური წყლების წარმოების ღირეჟტორი პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, ძირითადად სამეცნიერო ხასიათისა.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბორჯომის ბოგანიკური ბაღის პუბლიკაციებს, აგრეთვე ხელმოწერას ჟურნალ „Правда“-ზე (1916 წლისათვის) და სხვადასხვა საყურადღებო წიგნებზე (3). ა. ნ. კაზნაკოვი, რომელიც დაჭრის შემდეგ პეტერბურგში გაემგზავრა სამკურნალოდ, მუზეუმისათვის იძენს მეგად საჭირო უცხოურ წიგნებს (3).

ყურადღებას იქცევს გაზეთ „Тифлисский листок“-ის 1915 წლის 15 იანვრის № 35-ში გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ნათქვამია: „მრავალი წლის განმავლობაში გსბ 1913 წლის 3 დეკემბრის დაკვეთის თანახმად კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკაში ღებულობდა ამ გაზეთს უსასყიდლოდ. დაწყებული 1915 წლიდან გაზეთი ბიბლიოთეკას აღარ ეგზავნება. გვაქვს რა მხედველობაში, რომ თუმცა, ბიბლიოთეკამ შეიცვალა სახელწოდება, მას არ დაუკარგავს „საჯარო“ ბიბლიოთეკის ხასიათი, კავკასიის მუზეუმი ითხოვს გაგრძელდეს გამოგზავნა“ (3).

ბიბლიოთეკა გამუდმებით აქცევს ყურადღებას ორგანიზაციულ საკითხებს. 1915 წლის 12 სექტემბრიდან ბიბლიოთეკარის თანამდებობის მოვალეობა მ. ი. ბალუევს დაეკისრა. სხვა არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ ბიბლიოთეკა, ორგანიზაციული თვალსაზრისით, არამც თუ მოიშალა ურთულესი პირობების გამო, არამედ სავსებით მოწესრიგებულად გამოიყურებოდა. 1916 წლის თებერვალში ომში დაჭრილი ა. ნ. კაზნაკოვი თუმცა კი დაუბრუნდა მუზეუმს და მეფისნაცვლის განკარგულებაში იმყოფებოდა, ოფიციალურად თანამდებობაზე არ გაფორმებულა (3). მიუხედავად ამისა, იგი აქტიურად ჩაება კავკასიის მუზეუმის მშენებლობაში და უყურადღებოდ არც ბიბლიოთეკა დაუგოვებია (12).

კავკასიაში საომარმა მოქმედებებმა საზრუნავი გამოუჩინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას, რათა მიეღო ზომები მრავალგვაროვანი კულტურული ძეგლების გადასარჩენად. მეცნიერებათა აკადემიამ საჭიროდ ცნო, მიეღვინა სპეციალისტები იმ ადგილებში, სადაც საომარი თეატრი იყო გაშლილი, კავკასიის მუ-

ზეუმიდან ამ საქმეში ჩააბეს მუზეუმის მცველი ს. ვ. გერ-ავეგისიანი, რომელსაც პეტერბურგიდან უნდა შეერთებოდა ნ. ი. მარი; ბიზანტიური და ბერძნული კულტურის ძეგლების დაცვის საკითხებზე მუშაობა დაეკისრა აკადემიკოს თ. ი. უსპენსკის (3).

სიძველეთა დაცვის მიზნით, სამხედრო უწყებამ გამოსცა № 117 ბრძანება. კავკასიაში ამ ბრძანების შესრულებაზე ზედამხედველობა დაეკისრა კავკასიის მეფისნაცვალს – დიდ მთავარს ნ. რომანოვს. მისი განკარგულებით, ყველა პირს, რომელიც სამეცნიერო საქმისათვის მიემგზავრებოდა, კავკასიის სამხედრო ოლქის შგაბისაგან სპეციალურად ეძლეოდა ნებართვა, ოღონდ ა. ნ. კაზნაკოვთან შეთანხმებით. მათ მიერ შეგროვებული ნივთები უნდა ჩაბარებოდა კავკასიის მუზეუმს, სადაც უბრუნველყოფილ იქნებოდა მათი მეცნიერული დამუშავება და დაცვა. სხვა მხრივ, მეცნიერული მუშაობა იმ პირებისა, რომლებსაც ოლქის შგაბის ნებართვა ჰქონდათ, შეზღუდული არაფრით იყო (3).

ა. ნ. კაზნაკოვი ყოველთვის აქტიურად მოღვაწეობდა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. 1916 წელს მან ვანის ვიალეთიდან მუზეუმისათვის ორი კოსტუმი ჩამოიგანა, აგრეთვე, ლურსმნული დამწერლობის კოლექცია, რომლის სიმრავლის გამო სავარაუდო იყო, რომ კავკასიის მუზეუმი მსოფლიოში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა (3).

წიგნების შესაძენად 1916 წელს გამოყოფილი იყო 1.000 მანეთი ვერცხლით (10). წიგნგამომცემლობა „НАУКА“-სა და მის საწყობთან ბიბლიოთეკისათვის გააფორმეს ხელმოწერა „რუსულ ზოოლოგიურ ჟურნალზე“ 1916 წლისათვის. გარდა ამისა, გამოიწერეს უახლესი მეცნიერული წიგნები ბუნებისმეტყველებაში. ზედნადები ხარჯებით ბიბლიოთეკა მუდმივად უკვეთავდა ლიგერაგურას რიგის წიგნის მაღაზიას. ბიბლიოთეკამ 1916 წელს მიიღო კავკასიის მხარეში გამოცემული 33 დასახელების წიგნი და 34 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი, აგრეთვე სხვა მხარეში გამოცემული 56 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი (3; 111-114),



ამასთან, აგზაფინდნენ აგრეთვე სამეცნიერო სტატიებისა და მოხსენებების ანაბეჭდებს, როგორც იყო, მაგალითად, ა. ა. ელენკინის მიერ გამოგზავნილი მისი თანამშრომლების შედგენილ ნაშრომთა ამონაბეჭდები, რომლებიც საკმაოდ ფასეული მონაპოვარი იყო ბიბლიოთეკისათვის, რისთვისაც ღირეჩქია მადლობას უთვლიდა ა. ა. ელენკინს (3; 132).

1916 წელს კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 2.726 დასახელების 3.570 ტომით გამდიდრდა, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა ე. გ. ვეიდენბაუმის მიერ ნაჩუქარი 562 დასახელების 753 ტომი, პეტრანოვიჩის ქვრივის 436 დასახელების 670 ტომი და სხვა პირთაგან მიძღვნილი 194 დასახელების 252 ტომი (4; 638-644).

ა. ნ. კაზნაკოვა და ს. ვ. გერავეტისიანმა ერზრუმსა და ვანის ვიალეთში სამეცნიერო მივლინებისას 1916 წლის მაისში 446 დასახელების 608 ტომი შეაგროვეს, მათ შორის: სომხური – 212 დასახელების 246 ტომი; იტალიური – 51 დასახელების 106 ტომი; ინგლისური – 37 დასახელების 42 ტომი; ლათინური – 81 დასახელების 43 ტომი; გერმანული – 2 დასახელების 2 ტომი; ბერძნული – 2 დასახელების 2 ტომი, ებრაული – 1 ტომი. მეჯიდ-უსულთნის ბიბლიოთეკიდან კავკასიის ბიბლიოთეკას 316 დასახელების 415 წიგნი გადაეცა, მათ შორის 17 დასახელების ლექსიკონი 23 ტომად; გვილისის ბეჭდვითი საქმის კომიტეტიდან შემოვიდა: რუსული – 288 დასახელების 301 ტომი; ქართული – 134 დასახელების 137 ტომი; სომხური – 212 დასახელების 243 ტომი.

კავკასიის ბეჭდვითი საქმის კომიტეტი გადასცემდა კავკასიის სამხარეო ჟურნალები: რუსული – 3; ქართული – 6; სომხური – 10; გაზეთები: რუსული – 39, ქართული – 6, სომხური – 7, ამერბაიჯანული – 2, ებრაული – 1 (3; 638-645). ამ წელს სპეციალისტმა იბრაგიმ გაიმოვმა 1229 დასახელების წიგნი დაამუშავა სპარსულ, თურქულ და არაბულ ენებზე (5; 96).

1916 წელს კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკის ფონდი 32.331 დასახელების 55.602 ერთეულისგან შედგებოდა (4).

კაზნაკოვი იმელოვნებდა, რომ მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბიბლიოთეკას თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნიკით აღჭურავდა და საამისოდ 1917 წელს 5 საკატალოგო ყუთი შეიძინა. ა. ს. სუვორინის წიგნის მაღაზიიდან 2 ეგზემპლარად გამოიწერა მაშინ უაღრესად საჭირო და პოპულარული ი. ბ. ხავკინას წიგნი „ბიბლიოთეკა, ორგანიზაცია და ტექნიკა“. (5).

1917 წელს სამეცნიერო საზოგადოებას სურდა აღენიშნა კავკასიის მუზეუმის – როგორც დამოუკიდებელი დაწესებულების – 50 წლისთავი, მაგრამ იმ დროისათვის საბეიშო ღვინოსა და სხვა უაღრესად იქნა მიჩნეული. მოვლენის მნიშვნელობა აღინიშნა მხოლოდ მისალაცი დეპეშებითა და პრესით. ასე მაგალითად, ამ თარიღს ვერცლად გამოეხმაურა „КАВКАЗСКОЕ СЛОВО“, რომელშიც ეწერა, თურა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროს კავკასიის მუზეუმის გახსნას. სხვათა შორის, წერილში აღნიშნულია, რომ „იდეა მუზეუმის შექმნისა, რომელიც დაიგეგმა ბუნების ნახელავს, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ კოლექციებს, ჯერ კიდევ მეფისნაცვლის, თავად მ. ს. ვორონცოვის დროს წარმოიშვა, საჯარო ბიბლიოთეკის გახსნასთან ერთდროულად“, ხაზგასმულია, რომ ბიბლიოთეკა თავიდანვე განზრახული იყო ყოფილიყო კავკასიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის წიგნსაცავი. (8).

კავკასიის ინტელიგენციას შეუმჩნეველი არ დარჩენია ა. ნ. კაზნაკოვის თავდადებული საქმიანობა. საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თბილისის განყოფილება ლ. გ. ლოპატინსკისა და ე. თაყაიშვილის ხელმოწერით, კავკასიის მუზეუმის, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულების არსებობის 50 წლისთავზე გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო: „Тесно связанной с музеем Кавказский отдел императорского археологического общества желает своему научному собрату дальнейшего процветания под руководством просвещенного ею директора А.Н.Казнакова с неустойчивой энергией заботящегося о его всестороннем пополнении и

твёрдо верит, что музей в скором времени достигнет своего полного развития и что воздвигаемое для него здание вместительным хранилищем сокровищ. Этому служит ручательство высокое покровительство Николая Николаевича Романова“ (5; с 10).

1917 წლის 15 აპრილით დათარიღებულ №446 წერილით ი. ნ. ვორონოვი მიმართავს კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარეს:

„1914 წლის 1 სექტემბერს კავკასიის მუზეუმის დირექტორის ა. ნ. კაზნაკოვის მოქმედ არმიასი მსახურების გამო მეფისნაცვლის 1914 წ. 31 აგვისტოს № 242 ბრძანებით დირექტორის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ი. ნ. ვორონოვს; ამჟამად ა. ნ. კაზნაკოვის მიერ კავკასიის მუზეუმში სამსახურის საბოლოოდ დაგოვების გამო და იმისათვის, რომ ვერ ვგრძობ რა ჩემს თავში იმდენ ძალასა და კომპეტენციას, ამჟამინდელ დროში ესოდენ საპასუხისმგებლო მოვალეობა ვიკისრო, როგორც არის კავკასიის მუზეუმის დირექტორობა, მაქვს პატივი გთხოვოთ, გამანთავისუფლოთ კავკასიის მუზეუმის დირექტორის მოვალეობიდან და დამაბრუნოთ ჩემს აღრინდელ თანამდებობაზე“ (11).

1917 წლის 3 ივნისს ა. ნ. კაზნაკოვი მივლენილ იქნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის სამმართველოს განკარგულებაში.

ამ პერიოდში კავკასიის მუზეუმის პირადი შემადგენლობის შესახებ ცნობას გვაწვდის 1917 წლის 1 ნოემბერს რუსეთის აკადემიის საპატიო სამახსოვრო წიგნში დასახელებული პიროვნებები. დირექტორის თანამდებობა ამ დროისთვისაც ვაკანტურია. შტაბის მუშაკებიდან დასახელებულნი არიან: უფროსი მცველი ი. ნ. ვორონოვი (მუზეუმის დირექტორისა და ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობის შემსრულებელი), ს. ვ. გერ-ავეგისიანი (არქივის გამგე), ნ. ა. სმირონოვი (ზოოლოგიის განყოფილების გამგე), უფროსი მცველის მოვალეობის შემსრულებელი გ. ფ. ჩურსოვი (ეთნოგრაფიული განყოფილების გამგე); უფროსი მცველის მოვა-

ლეობის შემსრულებელი ნ. მ. ყიფიანი (გეოლოგიური განყოფილების გამგე), უფროსი მცველი ვ. ი. რანკოვსკი (ზოოლოგიის განყოფილების გამგე); ნებიტდაქირავებულნი: უფროსი მცველის მოვალეობის შემსრულებელი ს. ა. კრუკოვსკი (არქეოლოგიური განყოფილება); თ. ა. ზაიცევი (ენგომოლოგიის განყოფილება) და ბიბლიოთეკის გამგე ე. ზ. ვეიდენბაუმი (5).

როგორც ჩანს, 1917 წელი მთელი თავისი განუმეორებელი მოვლენებით, არ იქნებოდა ნაყოფიერი არც კავკასიის მუზეუმისა და არც მისი ბიბლიოთეკისათვის.

უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს განათლების მინისტრის 1918 წლის 8 ივნისის №2 ბრძანების თანახმად, კავკასიის მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ნ. შ. ყიფიანს. 1919 წლის 1 აგვისტოდან ის უკვე როგორც დირექტორი, განაგებს კავკასიის მუზეუმსა და ბიბლიოთეკას (7; 12).

დამოწმებული წყაროები:

1. Архив Государственного Музея Грузии. – 1913.
2. Ibid – 1914
3. Ibid – 1915
4. Ibid – 1916
5. Ibid – 1917
6. Ibid – 1918
7. Ibid – 1919
8. Кавказское слово – 1917,1 янв., №1
9. Отчет по Кавказскому Музею за 1915. – Тифлис, 1917.
10. Отчет по Кавказскому Музею за 1916 год. /Сост. А.И Казнаков// Архив Музея Грузии (ხელნაწერი)
11. Послужной список Ю.Н. Воронова.
12. Послужной список М.Н. Казнакова.
13. Послужной список М.Н. Кипианы.
14. Чурсов Г.Ф. Кавказский музей в 1913 году //Известия КОЕРГО: 1913-1914; Т. 22, №2 С. 205-206.

რუსულან დაუშვილი

ქართული სტამბები და გამოსაქვეყნებელი საზღვარგარეთ

ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და კრებულები უკვე 1921 წ. იბეჭდებოდა სტამბოლში და პარიზში, შემდეგ – ჟენევაში, ბერლინში, მიუნხენში, ნიუ-იორკში, სანგ-იანგოში, სან-ფრანცისკოსა და სხვა ქალაქებში. გამომცემლებად გვევლინებიან სხვადასხვა პარტიები, საზოგადოებები, ორგანიზაციები, ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები: ეროვნულ-დემოკრატიული „საქართველო“. სოციალ-დემოკრატიული „ბრძოლის ხმა“ და „თავისუფლების ტრიბუნა“, ეროვნული დარაზმულობის „ეთერი გიორგი“, „მომავალი“, პოლიტიკური პარტიების „დამოუკიდებელი საქართველო“, ლეგიონერთა „საქართველო“, ფაშისტური დარაზმულობის „ქართლოსი“. გამომცემლები იყენებენ კერძო პირებს: დავით ხელაძე, არჩილ მეგრეველი, ვიკტორ ნობაძე, დავით სიღირაშვილი, ვალიკო ჩუბინიძე, ნიკო ურუშაძე და სხვები. ემიგრანტულ გამომცემთა დიდი ნაწილი ქართულ სტამბებში იბეჭდებოდა. II მსოფლიო ომის დამთავრებამდე ძირითადად 3 სტამბა მუშაობდა: კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის, დავით ხელაძის „ქართულ-კავკასიური“ პარიზში და არჩილ მეგრეველის ბერლინსა და მიუნხენში. ყურადღებას შევაჩერებთ ერთ მათგანზე.

„თვითეულ ჩვენგანს წინ უდგას მისი კეთილშობილი სახე... ახალგაზრდული ცეცხლით გატაცებული, შრომის განუწყვეტელი სურვილით შეპყრობილი ღათიკოს ყოველდღიური ცხოვრება იყო მაგალითი თავდადებისა და მსხვერპლის გაღებისა საზოგადოების სამსახურში. არა ერთმა ხელნაწერმა იხილა მზე მისი საშუალებით, მის უანგარო შრომით წარედგინა მკითხველს და გაამდიდრა უცხოეთში პოლიტიკურ-ლიტერატურული საღარო. მან დაიმსახურა ქართველი საზოგადოების სიყვარული,

ყველა პოლიტიკური წრის პატივისცემა, თავისი მუყაითი შრომის გაღებით ბეჭდვით საქმეში“... (1, №26). ამ სიგყვების ავტორია ემიგრანტული ჟურნალ „ჩვენი დროის“ რედაქტორი პავლე სარჯველაძე, ადრესატი – დავით ხელაძე – ასოთამწყობი და გამომცემელი, ქართული სტამბის დამაარსებელი პარიზში.

ხელაძეთა გვარიდან თბილისში განთქმული იყო მესტამბე ექვთიმე ხელაძე, ქუთაისში – იოსები. ემიგრანტი დავით ხელაძე კი ცნობილია 1933 წ. პარიზში და 1943 წ. ბერლინში გამოცემული „ვეფხისტყაოსნით“. მისი გამოცემების შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან სოლომონ ყუბანეიშვილი (2) და გურამ შარაძე (3). ბიოგრაფიის ძირითადი თარიღების აღდგენა კი შესაძლებელია ქართული ემიგრანტული პრესით და მისი გამოცემებით.

დავით ხელაძე დაიბადა 1887 წ. ქუთაისში (4). ასოთამწყობად მუშაობდა სტამბაში ყმაწვილმა დაიწყო. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მეგობრები მას „პაგარა ღათიკოს“ უწოდებდნენ (1, №25). 1921 წ. შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტია. საქმიანობა ემიგრაციაში განაგრძო. 1982 წ. გამოუცია ალმანახი, რომლის კლიშეები და 134 ეგზემპლარი პარიზში საქართველოს ლეგაციის პირველი მდივნის – სოსიპატრე ასათიანისათვის გადაუგზავნია (5). ალმანახი ჩვენ ხელთ არ გვაქვს და არ ვიცით, რას წარმოადგენს იგი. ქვემოთმოყვანილი გამოცემები კი მოიძია გურამ შარაძემ და დაცულია მის მიერ დაარსებულ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ფონდებში.

1931 წ. ჟურნალ „სამშობლოში“ გამოქვეყნდა დ. ხელაძის მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი, რომელშიც იუწყებოდა, რომ 15 სექტემბერს გამოვა „პირველათ ევროპაში დაბეჭდილი ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ (პირველი ნაწილი). ჩვენი მოზრდილი თაობა მოკლე-

ბულია მშობლიური ენის შესწავლის საშუალებას და მით გადაგვარების გზას ადგას. ამ საშიშროების წინააღმდეგ სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო და ამ მიმართებით „დედა-ენას“ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიან. ასეთ მიზანს ისახავს ეს ჩემი გამოცემა“ (6, №9-10). მართლაც, სექტემბერში გამოვიდა წიგნი, რომელიც დ. ხელაძემ დედის ხსოვნას მიუძღვნა: „სამშობლოს გარეშე პირველად გამოსულ „დედა-ენას“ ვუძღვნი ჩემს დაუვიწყარ დედას – დავით ხელაძე. 22. 09.(19)31. წიგნი გადმობეჭდილია 1904-1909 წწ. გოგებაშვილისეული გამოცემიდან. წიგნის წინასიტყვაობა გვამცნობს: „ჩვენი მიზანია, მივაწოდოთ ქართველ ნორჩ თაობას პირველი დაწყებითი სახელმძღვანელო მშობლიური ენის შესასწავლად... მრავალი ბავშვი იმრდება უცხოეთში გადმოხვეწილი, მოკლებული ქართულ სკოლის წიგნს, წრეს და მათი მშობლები მწვავე ტკივილებს გრძნობენ, რომ სათანადო საშუალების უქონლობის გამო, მათ არ ძალუბთ შეასწავლონ შვილებს დედაენა, გააცნონ სამშობლოს ბუნება, ცხოვრება და ისტორია“ (7).

„დედა-ენის“ გამოცემას ალგაცებით გამოეხმაურა ემიგრანტული პრესა: „ფრიალ გასახარი ამბავი უნდა ვაუწყოთ ქართულ ემიგრაციას. ბ.დ. ხელაძემ გამოსცა ჩვენი სახელოვანი პედაგოგის ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, ნაწილი პირველი. წიგნი გადმობეჭდილია თვით ავტორისდროინდელი გამოცემიდან, სრულეობით უცვლელად. დაცულია ძველი სახე წიგნის, ზომა, შრიფტი, იგივე სურათები, წერის ნიმუშები და სხვ. დაბეჭდილია უფრო სუფთად და უკეთეს ქალაქებში და ახდენს საუცხოვო შთაბეჭდილებას“ (8, №69). ყველა იწონებდა გამოცემის ხარისხს და აღნიშნავდა გექნიკურ სიძნელეებს, რომლის გადალახვაც მოუწია გამომცემელს. დ. ხელაძემ „დაგვიმტკიცა, რომ, აქ, პარიზშიც, შეიძლება ქართული წიგნის დაბეჭდვა ისეთივე მდიდრულად, როგორცაა ეს ხდებოდა სამშობლოში. ეს მრავალფეროვანი ქართული ასოები, ეს ქართული ნახაგები ძველი „დედა-ენისა“, ახალში ასე უცვლელად გადმოგანხილი, მოწმობს გამომცემლის მიერ შრომის და ხარჯის დაურიღებლობას და ამ საკითხისა-

დმი სიყვარულს!“ (9, №17). პრესა ხაზს უსვამდა იმასაც, რომ „ეს უაღრესად პაგრიოტული საქმიანობა მან ჩააგარა უანგართო, უსასყიდლოთ“ (10, №48-49). გამოცემა ღირდა 10 ფრანკი.

წიგნის გამოცემაზე არანაკლებ სირთულეს წარმოადგენდა ემიგრაციაში მისი გასაღება. როგორც წესი, ეს კერძო ინიციატივაზე იყო დამყარებული. წიგნის ყიდვა შეიძლებოდა უშუალოდ გამომცემელთან: სტამბაში ან ბინაში, ან შეკვეთითა და გადაგზავნით, რომლის საფასურსაც გამომცემელი ხშირად ვეღარც იღებდა: „ჩვენდა სამარცხვინოდ, ქართულ წიგნს ქართული ემიგრაცია გაურბის... სხვას რომ თავი დავანებოთ, „დედა-ენა“ ხომ მაინც ფართოდ უნდა გავრცელებულიყო, უნდა გაეღო ყოველ ქართველს ბინის კარი და გამხდარიყო თვითეული ქართველი ბავშვის უპირველესი და აუცილებელი წიგნი. ეს „დედა-ენა“ მთელს უცხოეთში ძლიერ გასაღდა ას ცალბე ცოტა მეტი და მათში ბევრის ფასი დღესაც გადაუხდელია. მივაქცევთ ყურადღებას ამ სამწუხარო მოვლენას და გამოვთქვამთ იმედს, რომ ამას ბოლო მოეღება, ეს შეიცვლება, მდგომარეობა გამოკეთდება და ქართულ წიგნს ემიგრაციაში პაგივისცემა და სიყვარული მიენიჭება“ (6, №11).

ხარჯების აუნაზღაურებლობის მიუხედავად, ხელაძეს არ შეუწყვეტია საგამომცემლო საქმიანობა. უკვე მომდევნო წელს გამოსცა დემოკრატიული საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის „ეკონომიური კრიზისი“ და რუისპირელის ლექსები, 1933 წ. კი – რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონგისეული თარგმანი, რომლის „ილუსტრაციები, ბორდიურები, მეთაური ასოები და დაბოლოებები, რომლებიც ძველი ქართული არქიტექტურის ნიშნებს გამოხატავს, აღებულია ყველაზე მდიდრული 1888 წ. ქართული გამოცემიდან“ (8, №102). „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული თარგმანი სულ 750 ცალი გამოიცა. აქედან 50 დაინომრა და 1-10 განსაკუთრებულ ქალაქებში დაიბეჭდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაგვიძნელდა დ. ხელაძის გამოცემათა გირაჟების დაღვენა, ვინაიდან, გა-

მონაკლისის გარდა, იგი არც წიგნებზე და არც პრესაში მითითებული არ არის. წიგნზე ყოველთვის არ აწერია ფასიც, იგი პერიოდიკაში მოთავსებული რეკლამების ან განცხადებების საფუძველზე დავადგინეთ.

„წიგნი იშვიათი სილამაზით და მხაგვრობით არის დაბეჭდილი. უნდა ითქვას, რომ რუსულ ენაზე დღემდის არ არსებობდა ასეთი მდიდრული გამოცემა“, – წერდა სამსონ ფირცხალავა (8, №102). წიგნს უფრო ვრცელი რეცენზია უძღვნა გაბეთმა „ბრძოლის ხმამ“: „დიდი ხანია, რაც ცნობილ რუს პოეტს, ბალმონტს, მზათ ქონდა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი. მაგრამ... მის შესაფერის გამოცემას, მრავალ ხარჯთან დაკავშირებულს, ვერავინ კისრულობდა... დათიკო ხელაძე არ შეუშინდა ამ საქმის სიძნელეს და ბალმონტთან შეთანხმებით შეუდგა გამოცემას. გამოცემა საუცხოოა, იშვიათი არა თუ ქართულ, არამედ ევროპულ პირობებშიც კი. მშვენიერი ქალაღი, ლამაზად შესრულებული სურათები (ზიხის), მშვენივრად შერჩეული მთავარი ასოები და თვითოეული გვერდის ჩარჩოს მოსაკაზმი ორნამენტები – ყველა გადმოდებულია ძველი ქართული ჩუქურთმებიდან. წიგნს უძღვის წინ ორი წინასიტყვაობა ბალმონტისა, რომელშიც მთარგმნელი ქებათაქებას ასხამს შოთას და მას დანტეს, პეტრარკას და მიქელანჯელოს გვერდით აყენებს, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ფრანგულ და ინგლისურ ენაზე გადმოცემული. ქართველი სამოგადოება ვალდებულია, მიუძღვნას დ. ხელაძეს მადლობა და ამავე დროს გაუწიოს მას დახმარება. ეს დახმარება იქნება მისი მშვენიერი გამოცემის შეძენა ყველას მიერ, ვისაც ამის შეძლება აქვს. გამოცემის ხარისხთან და მასზე გაწეულ ხარჯებთან შედარებით წიგნის ფასი ზომიერია – 150 ფრანკი“ (9, №31).

წიგნის გაფორმების მაღალ დონეს აღნიშნავდა უცხოური პრესაც. „დამოუკიდებელმა საქართველომ“ პოლონური ჟურნალ „აღმოსავლეთიდან“ გადმოუბეჭდა სტატია, რომელშიც აღნიშნული იყო გამოცემლის ღვაწლი: „წიგნი არ არის ნაყოფი ჩვეულებრივი გამომცემლობის მოქმედების, არამედ ერთგვარი აქტი – ნაკარნახები მხოლოდ პაგრიოგიმით, გაქლენთილი სი-

ყვარულის დიდი გრძობით“. ჟურნალი ხაზს უსვამდა იმას, რომ ასოთამწყობმა დ. ხელაძემ „საკუთარი ინიციატივით, საკუთარი შრომითა და ხარჯით, რომელიც ფრიად შთაბეჭდავია – 40 ათასი ფრანკი, შეასრულა ეს კოლოსალური სამუშაო, მაგრამ უფრო დიდია ის მორალური და არამატერიალური ღირებულებანი, რომელნიც ჩაქსოვილია წიგნის ყოველ დეტალში, ყოველ ორნამენტში. თავისებური პაგრიოგიმის, სიყვარულის, ერის მშვენიერების ისტორიის და კულტურისა გარს ახვევია და გაქლენთილია წიგნი და ეს ქმნის, ასე ვეჭვით, მის აგმოსფეროს“ (8, №86). მაგრამ ქართული ემიგრაცია არ იყო ერთსულოვანი ამ წიგნის შეფასებისას. ვრცელი კრიტიკული რეცენზიის ავტორი პაგრიოგოთა გაბეთში „თეთრი გიორგი“ თავს ესხმოდა „ბრძოლის ხმის“ რეცენზენტს: „რა მოხდა, რა ამბავია თქვე დალოცვილიშვილებო? განა მართლაც და დიდი ქართული საქმე გაკეთდა?... დე, ყველა და მათ შორის რუსიც, გაეცნოს შოთას, შეძლები-სდამაგვარად, მაგრამ ისტერიული აღტაცების გამომწვევი ეს მოვლენა მაინც არ არი. აი, რა არის ცოდვა, როდესაც ქართული პრესა ურჩევს ქართველებს გადარუსებული შოთას წაკითხვას... დარწმუნებული ვარ, რომ მოკლე ხანში ქართველი სამოგადოებისგან ჩვენ გავიგონებთ შოთას ციგატებს რუსულად გამეპირებულს და იმ აზრს, რომ ბალმონტის „ვეფხისტყაოსანი“ უფრო გასაგები და უფრო კეთილხმოვანია და ეს იქნება მიღწევა „ბრძოლის ხმის“ რედაქციითგან ბალმონტის „მეგობრის“ (10, №62). იქვე გაბეთი მოითხოვდა, რომ სასწრაფოდ გამოცემულიყო გ. გვაბავას მიერ ფრანგულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“, რათა ევროპას ამ გზით გაეცნო ქართული კულტურა და ლიტერატურა.

ემიგრაციაში წიგნის გამოცემა კერძო ინიციატივით მეგად რთული და ძვირი საქმიანობა იყო. ამის დასტურია დ. ხელაძის განცხადებაც: „ამ ღია წერილით მინდა ვამცნო ბ. ბ. ხელისმომწერით, რომელნიც არ იხდიან მათ მიერ შეძენილი „ვეფხისტყაოსნის“ (რუსულად) დღემდის მათივე თანხმობით დაპირებულს თვიურ გადასახადებს. ვსთხოვ ყველას, ვისაც ეხება ეს წერილი, კეთილ ინებოს და გამომიგზავნონ თვიური გადასახადი ზემოთ აღნიშნული წიგნისა.

სრულიად დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი არის უბრალო დაუდევრობის მიზეზი და, იმედი მაქვს, ამიერიდან აღარ დამჭირდება ასეთი განცხადების გაკეთება პრესის საშუალებით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თუ ამ ჩემს წერილს ისეთივე ბედი ეწევა, როგორც ფოსტით გადაგზავნილ წერილებს, მაშინ იძულებული ვიქნები, პრესის საშუალებით გამოვაქვეყნო მათი სახელი და გვარი და წიგნის უკან დაბრუნება ვსთხოვო. აქვე მინდა ვისარგებლო ამ მომენტით და გამოვაცხადო, რომ თითქმის სამი წელიწადი სრულდება, რომ ზოგიერთებს არ გადაუხდიათ მათ მიერ შექმნილი თუ გაყიდული „დედა-ენის“ საფასური, რაც იმავე დაუდევრობას უნდა მიეწეროს“ (8, №98).

1933 წ. ხელაძემ ქართველ სოციალ-დემოკრატიულ ღვაწლად საღირაშვილთან ერთად ქართული სტამბა დაარსა. 30 მაისს პარიზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა „დ. ხელაძისა და ამხანაგობის“ ფრანგულ-კავკასიური Stamba Imprimerie Franco-Caucasienne 50, rue Foburgy du Temple. მის გახსნას დაესწრნენ საქართველოს მთავრობისა და პარტიების, სომხეთის, ამერბაიჯანის, ჩრდილოკავკასიელთა და უკრაინის წარმომადგენლები. სიგყვით გამოვიდნენ: ნოე ჟორდანიას, დავით ვაჩნაძე, ბ. ხაგისოვი, ი. კოსენკო და სხვები. „წარმოითქვა მრავალი სიგყვა ამ პირველი საერთო კავკასიური კულტურული ბუდის სასიკეთოდ და წარსამაგებლად“ (8, №90). პრესა აღნიშნავდა სტამბის ტექნიკურ ღონეს: „სტამბა მოთავსებულია ფართო შენობაში, აქვს რამდენიმე ოთახი და შემკობილია ყველა თანამედროვე სასტამბო მანქანებით და იმყოფება პარიზის ცენტრში“ (9, №34). სტამბაში იყო სხვა შრიფტებიც და შეეძლო შეესრულებინა ყოველგვარი სამუშაო, როგორც ევროპულ, ისე კავკასიურ ენებზე. გარდა საგამომცემლო საქმიანობისა, სტამბის მესვეურებს გადაუწყვეტიათ ყველა ქართული და კავკასიური გამოცემის აქ თავმოყრა. „დ. ხელაძეს ემიგრაციაში არა ერთი კულტურული საქმე გაუკეთებია. ჩვენ ვუსურვებთ მას ახლად წამოწყებული საქმის წინსვლას და წარმატებას“, – აღნიშნავდა ქურნალი „სამშობლო“ (6, №13).

ხელაძის სტამბაში იბეჭდებოდა ქართული

ქურნალ-გამეთები: ეროვნულ-დემოკრატიული ქურნალი „სამშობლო“, გრიგოლ ფერაძის „ჯვარი ვაზისა“ და სხვა. ამავე სტამბაშია დაბეჭდილი ალექსანდრე ასათიანის წიგნი „ქართული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები“, სტეფანე კასრაძის რომანი „თარი-არალე“. ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელიც ახლად დაბეჭდულ სტამბაში დაბეჭდა ხელაძემ, არის დავით ვაჩნაძის „კავკასიის პრობლემა“ რუსულ ენაზე. „ის წარმოადგენს მოხსენებას, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია რუსულ და სომხურ პრესაში“, – წერდა „დამოუკიდებელი საქართველო“ (8, №92). იმავე წელს დაბეჭდა ნოე ჟორდანიას „სოციალიზმის სირთულეები“ ფრანგულ ენაზე, რომლის რეკლამაც შეგვხვდა „ბრძოლის ხმაში“ (9, №36).

1934 წლიდან ხელაძის გამოცემები ძირითადად ქართულია. 1934 წ. აპრილის „დამოუკიდებელი საქართველო“ აუწყებდა საზოგადოებას, რომ გამოვიდა და იყიდება ხელაძის ახალი გამოცემა „მითრიდაგე“, გრაგელია რასინისა, თარგმანი ფრანგულით გიორგი გვაზავასი, ფასი 5 ფრანკი. მზადდება მის მიერვე და გამოვა 26 მაისისთვის ორი ახალი ქართული წიგნი: 1. „ოცდაექვსი მაისი“ ვლასა მგელაძისა 2. „ისგორიული ლანდები“ სამსონ ფირცხალავასი“ (8, №100). პირველი ეძღვნებოდა კრწანისის ველზე თავდადებულ მამულიშვილთა ხსოვნას. მეორე – ახალგაზრდობას. რეცენზენტები აღნიშნავდნენ ხელაძის გამოცემების კარგ ხარისხსა და სიიაფს. რასინის „მითრიდაგეს“ შესახებ ნიკოლოზ ჯაყელი შენიშნავდა, რომ „ოთხმოცგვერდიანი წიგნი – გახვეული ლამაზ ყდაში, კოხგა წარწერით კარგად არის გამოცემული“ (10, №76).

1935 წ. გამოცემული წიგნის – კონსტანტინე კანდელაკის „საქართველოს ეროვნული მემკვიდრეობის“ შესახებ კი გიორგი ქურული წერდა: „ლამაზად არის გაფორმებული კარგი შრიფტით და კარგ ქალაღზე. წიგნს დართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია და საუცხოვოდ შესრულებული საქართველოს სქემატური პოლიტიკური რუკა... ფასი 10 ფრანკი, თვით ჩვენს ემიგრანტულ ყოფაშიც კი არავის ეჩვენება

ბერი“ (8, №111).

იმავე წელს დ. ხელაძემ გამოსცა გიორგი გვაზავას მიერ თარგმრილი ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“: „ეს მესამე წიგნია კრებულის „ფარსმან მეფის“ და რასინის „მითრიდაგის“ შემდეგ, რომ შეეძინა ჩვენს დარიბ ემიგრანტულ ლიგერაგურას გ. გვაზავას ხელით. ეს ნაწარმოებიც, ისე როგორც წინანდლები, კარგი ქართული და ცოცხალი ლექსითაა გაღმოდებული. წიგნი სუფთადაა გამოცემული დ. ხელაძის მიერ“ (8, №117).

1935 წ. გამოიცა ს. ფირცხალავას „ამბავთა და საქმეთა მოლოდინში“, რომელიც წარმოადგენს მის მიერ 3 ივნისს წაკითხული საჯარო მოხსენების ნაბეჭდ ვარიანტს. წიგნის ფასი 5 ფრანკი, მითითებულია „დამოუკიდებელი საქართველოს“ რეკლამაში (8, №119).

1935 წ. დ. ხელაძემ გამოსცა ახალგაზრდა პოეტის გიორგი ყიფიანის ლექსების კრებული. „დამოუკიდებელი საქართველო“ აღნიშნავდა არა მარტო ამ წიგნის გამოცემის, არამედ საერთოდ, საგამომცემლო საქმიანობის სირთულეებს: „ემიგრაციაში წიგნის გამოცემა მეტად ძნელი საქმეა, მით უმეტეს ძნელია ქართული წიგნის გამოცემა. მიუხედავად ამისა, დროგამოშვებით მაინც ხერხდება თითო-ორი წიგნის დაბეჭდვა და გამოცემა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევაში გამოცემულიცა და ავტორიც, გარდა იშვიათი გამოჩაქვისისა, დიდ მსხვერპლს იღებენ. ხშირად გამოცემის ხარჯების მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იფარება წიგნის გაყიდვით და ისიც დიდი შრომითა და მეცადინეობით... ისიც ცხადია, რომ ასეთი შედეგი მათ წინდაწინვე ექნებოდათ გათვალისწინებული. მით უმეტეს, არიან ღირსნი ქებისა და გამხსენებებისა“ (8, №124).

1937 წ. გამოვიდა ახალი წიგნი „ისტორიული ნარკვევები თამარ პაპავასი: „დიდი სახეები პაგარა ჩარჩოებში“. წიგნი დიდი ფორმაგისაა, 322 გვერდიანი. დართული აქვს პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის წინასიგყვაობა. იყიდება დ. ხელაძესთან პარიზში“ (8, №139). „მედმეგია ლაპარაკი, თუ რა დიდ სიძნელეს წარმოადგენს ჩვენს პირობებში ასეთი წიგნის გამო-

ცემა, ამიტომაც ჩემი უღრმესი და გულწრფელი მადლობა მათ, ვინც ეს სიძნელე გადამაღაზხინა“, – აღნიშნავდა წინასიგყვაობაში თამარ პაპავა. იგი მადლობას უხდის ექვთიმე თაყაიშვილს, სამსონ ფირცხალავას, ვიქტორ ნობაძეს, შალვა ამირეჯიბს, სიმონ ბერეჟიანს, ვლადიმერ ახმეტელს და განსაკუთრებით დავით ხელაძეს წიგნის გამოცემისათვის (12).

ემიგრანტული პრესა თ. პაპავას წიგნის მნიშვნელობასა და ღირსებებთან ერთად, აღნიშნავდა დ. ხელაძის ღვაწლსაც: „არამც თუ შინაარსის მხრივ აღნიშნული შრომა ძვირფასია, არამედ გარეგნულადაც, გამოცემის მხრივ“, – წერდა ჟურნალი „ქართლოსი“ (№9-10). „წიგნი გამოცემულია დიდი მზრუნველობით და ლამაზი ფორმაგით. ემიგრაციაში ასეთი წიგნის გამოცემა დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს“, – შენიშნავდა გრიგოლ ურაგაძე (1, №23). „ძალაუბრად მიაქცევთ ყურადღებას წიგნის გარეგნულობას: საუცხოო გარეკანი, ძვირფასი ქაღალდი, ლამაზად აწყობილი გექსი და სუფთად დაბეჭდილი, საერთო სიყვარული შრომისა და სიკობგავის. ამას კი ქართველი მკითხველი დაჩვეული არაა. ლამაზად გამოცემული კარგი წიგნი სანთლით საქმბარია. პაპავას წიგნი ფრიად სასიამოვნო გამოჩაქვისს წარმოადგენს. ღირსიცაა ასეთი გარეგნული მოკაზმულობის ისეთი ფრიად საინტერესო და შინაარსიანი წიგნი, როგორიცაა „დიდი სახეები“, – ამბავდა „დამოუკიდებელი საქართველო“ (8, №140).

1939 წ. გამოცემულია სამი წიგნი: ანჩინის (აკაკი ჩხენკელი) „სახელმწიფო და ერი“, დ'გრეინის „ემიგრაციაში ნახული და გაგონილი“ და გრიგოლ ურაგაძის „სამოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წლებში“. ჟურნალ „ბრძოლის ხმაში“ ორი რეკლამა შეგვხვდა. ერთში დ. ხელაძე სამოგადოებას აუწყებდა, რომ გამოვა გრ. ურაგაძის წიგნი და აწვდიდა მის შინაარსს (9, №9), მეორე უკვე დაბეჭდილი წიგნის რეკლამაა, სადაც შინაარსის შემდეგ, მითითებულია: „ფასი პარიზში 10 ფრანკი. შეძენა შეიძლება შემდეგი მისამართით: Keladze 5 rue Cobelin (9, №10). ეს არის ნავარის სტამბის მისამართი, სადაც წიგნი და-

იბეჭდა. წიგნის გამოსვლას მიესალმა „დამოუკიდებელი საქართველო“: „წიგნში ბლომად მოიპოვება ისეთი მასალები, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის დღემდის უცნობია. ეს გარემოება წიგნის ღირსებას ერთიორად მრდის. ჭეშმარიტად, რომ ასეთი წიგნი დროულია და ჩვენ ვურჩევთ ქართულ ემიგრაციას, ის წაიკითხოს. ამით ის ბევრს მოიგებს. წიგნი ლამაზად და სუფთად არის გამოცემული. იკითხება დიდი სიამოვნებით და ღირს 10 ფრანკი“ (8, №158). ანგონ ჟორჟოლიანი, აღნიშნავდა რა წიგნის ხარისხს, წერდა: „წიგნს აწერია დ. ხელადის გამოცემა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მშვენივრად არის გამოცემული“ (9, №11). ეს სიტყვები არა მხოლოდ ამ კონკრეტული გამოცემის, არამედ ხელადის მთელი მოღვაწეობის აღიარებაა.

ხელადის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ თანაპარტიული სოციალ-დემოკრატები. „ემიგრაციაში წიგნის გამოცემა რომ ძნელი საქმეა, ყველას მოეხსენება. ეს არ არის კომერციული, არამედ დიდი ეროვნული და კულტურული საქმე და ყველა ჩვენგანი მოვალეა, ხელი შეუწყოს მას. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს უანგარო გამომცემელი დავით ხელაძე, მაგრამ მის ნივთიერ შეძლებას აღემატება გამოცემის ხარჯების მარტო თავის მხრებზე მიღვა. ჩვენი ვალია, იმით მაინც მივეშველოთ, რომ შევიძინოთ მისი გამოცემები და მით საშუალება მივსცეთ ახალი გამოცემისა. საერთო ერთიანი საქმე უნდა კეთდებოდეს საერთო ძალ-ღონით. ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიგანოს ამ დიდ ეროვნულ საქმეში“, – წერდა ივანე ჭავჭავაძე (9, №52).

ხელაძე ერთგულ სამსახურს უწევდა სხვა პარტიის წევრებს, რითაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა ქართულ ემიგრაციაში. პარტიული დაქსაქსულობის, ურთიერთკინკლაობისა და შუღლის ფონზე „სასოამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს დ. ხელადის მუშაობა, რომელიც დადგა სრულებით პოლიტიკისა და პარტიის გარეშე და ხელი მოკიდა ისეთი წიგნების გამოცემას, რომლებიც უნდა აინტერესებდეს ყველა ქართველს“, – აღნიშნავდა სამსონ ფირცხალავა (8, №158).

ხელადის ავტორიტეტსა და ემიგრაციის

მხრივ მისდამი პატივისცემაზე მიუთითებს ისიც, რომ ცნობილმა პოეტმა გ. ყიფინმა მას მიუძღვნა ლექსი:

„მანქანის ძვლები ივსება მეთით,
რკინის კბილები ასოებს ქარგავს,
ბევრჯერ გინახავს შენ მწარე ხვედრი,
ქართული სიტყვა არ დაგიკარგავს.
აწყობ აწმყოს და გეძახის ნამყო –
ოფლით უმშვრალი მშრომელი კვირა,
ქართულმა აზრმა რომ იამაყოს,
მზალა ხარ თავი შესწირო რკინას“ (13),

II მსოფლიო ომის დროს დ. ხელადის კვალს მივყავართ ბერლინში, სადაც 1943 წ. ქართულ ენაზე გამოსცა მინიატურული „ვეფხისტყაოსანი“. „მასხოვს როგორი აღგაცებით მომიგანა მან პატარა გამოცემა ჯიბის „ვეფხისტყაოსანი“ და მითხრა: „ჩაიღევი ჯიბეში და თან აგარე მუღამ“-ო. დაუფასებელია მისი პრაქტიკული მოღვა. ამ მხრივ, მან მისცა საშუალება ამ ძვირფასი განძის გარებისა თითოეულ ქართველს“, – იხსენებდა პავლე სარჯველაძე (1, №26). წიგნი 500 ცალი გამოიცა, 50 დანომრილი, უკეთეს ქალაქებში დაბეჭდილი და გაფორმებული. „ამ მნიშვნელოვან მოვლენას განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ყველა ქართველის გული. ეს მით უფრო უნდა ითქვას სამშობლოს მოშორებული ქართველებისათვის, რომელთათვისაც აქამდის ძნელი მისაწვდომი იყო ჩვენი ერის ეს წმინდათაწმინდა საუნჯე, ქართველი ადამიანის ეს განუყრელი თანამგზავრი... დღეს სამშობლოდან გადმოხვეწილ ქართველ ახალგაზრდებს უკვე შესაძლებლობა აქვს იქონიოს მუღამ უბის ჯიბეში შენახული, ჩვენი სულის განუყრელი თანამგზავრი „ვეფხისტყაოსანი“, – წერდა ლეგიონერი ვარძიელი გაბით „საქართველოში“ (14, №29).

1944-47 წწ. ხელადისეულ გამოცემებს ვეღარ მივაკვლიეთ. ხელთ გვაქვს მხოლოდ 1948 წ. გამოსული შალვა სკამკოჩიშვილისა და მირიან მელუას „ქართული ლექსიკონი“. გაბითი „ჩვენი ქვეყანა“ წიგნის შესახებ აცხადებდა: „რამდენადაც წიგნი განსაზღვრული ოდენობით იბეჭდება, სასურველია, მისი წინდაწინ დაკვეთა. დაკვეთა შეიძლება გაბით „ჩვენი ქვე-

ყანა“ მისამართზე ურუშაძესთან“ (15, №1). აპრილის ნომერში მოთავსებული განცხადება იუწყებოდა, რომ ლექსიკონი დაიბეჭდა და გამოვიდა. „წიგნი შეიცავს 132 ქვეკერძს და ღირს 100 ფრანკი. შეძენა შეიძლება გაზეთ „ჩვენი ქვეყანა“ რედაქციიდან“ (15, №3).

დ. ხელაძის შემდგომი ბიოგრაფიის აღდგენას იხვევ ემიგრანტული პრესის საშუალებით ხერხდება. 1950 წ. ჟურნალ „ბედი ქართლისას“ მათის ნომრის სარედაქციო მინაწერში ვკითხულობთ: „ჩვენი ჟურნალის მეშვედგე გამოცემა დაგვიანდა ქართული სტამბის უფროსის ბ. დავით ხელაძის მძიმე ავადმყოფობის გამო“ (16, №7).

1952 წ. ჟურნალში „მებრძოლი საქართველო“ შეგვხვდა დ. ხელაძის წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიც იგი წერს: „ნება მომეცით, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით განვაცხადო განურჩევლად ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის და მათ ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, რომ მე, როგორც პროფესიონალი მუშა – ასოთამწყობი, მშათ ვიყავი ყველასათვის გამეწია სამსახური... დღემდის ყველას ვემსახურე. ბევრი უსიამოვნო წერილების აწყობა მომიხდა. ვითმენდი. ვფიქრობდი ყველაფერს ბოლო აქვს... ასეთი წერილების წერასაც ბოლო ექნებოდა. არ გამიმართლდა. მოგვყუდი, რაც დრო გადიოდა, მეც და მეც ლანძღვა-გინებას დაურჩა ადგილი. ვიმეორებ, როგორც პროფესიონალური მუშის, ჩემს სფეროში არ უნდა შედიოდეს ამის გარჩევა, მისი ავკარგიანობა, მაგრამ მეც ისეთივე პოლიტიკური ემიგრანტი ვარ, როგორიც ყველა თქვენგანი და არ მინდა ვიყო მონაწილე ხელის შემწყობი: აქ ჩემი სინდისი მიკარნახებს, ერთხელ და სამუდამოდ უარი ვსთქვა ასეთი შინაარსის წერილების აწყობაზე. ვისაც სურს, გამიგებს, ვისაც არ სურს – არ გამიგებს. ყველას პატივისმცემელი დ. ხელაძე“ (17, №8).

1954 წ. „ბედი ქართლისას“ საიუბილეო ნომერში, გამოსვლიდან წლის თავზე, ნინო სალია მადლობას უხდის ჟურნალის ხელისშემწყობთ: „არ შეგვიძლია დიდი მადლობით არ მოვიხსენიოთ ქართული სტამბის უფროსი ბ.

დავით ხელაძე, რომელიც მუდამ დიდი ყურადღებით ეპყრობა ჩვენს ჟურნალს და უმძიმეს პირობებში მისი გამოცემის შესაძლებლობას გვაძლევს“ (16, №17). ასე რომ, ემიგრაციის ყველა პოპულარული ჟურნალი „ბედი ქართლისაც“ ხელაძის სტამბაში იბეჭდებოდა.

ხელაძე არა მარტო ბეჭდავდა, არამედ ხშირად ფულით ეხმარებოდა ჟურნალ-გაზეთებს. მაგალითად, თავისი ნაამაგარი და საყვარელი ჟურნალის „ჩვენი დროის“ ფონდში 1954 წ. 5.000 ფრანკი გადაურიცხავს (1, №16).

1957 წ. ბაფხულში დ. ხელაძე მეუღლესთან ერთად დასასვენებლად შვეიცარიაში გაემგზავრა. 20 აგვისტოს საღამოს მოულოდნელად გრძნობა დაკარგა ქენევის ერთ-ერთ სასტუმროში და გათენებისას გარდაიცვალა. 3 სექტემბერს იგი დაკრძალეს ქენევის წმ. გიორგის სასაფლაოზე. „დათიკოს სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა ერთი საუკეთესო მებრძოლი პატრიოტი, მისმა პარტიამ კი უანგარო სახალხო უფლებებისთვის თავდადებული ამხანაგი, – წერდა „ჩვენი დროს“, რომელმაც ჟურნალში გარდაცვლილის ფოტო მოათავსა, რაც მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევის დროს ხდებოდა, – თავის სიცოცხლეში ბევრი რამ გააკეთა, როგორც სამშობლოში, ისე დევნილობაში. მან დაგოვა ნაშრომი და ნაამაგარი, რაც მის ხსოვნას დაუვიწყარს ხდის ქართველი სამოგალოებისათვის“ (1, №25).

ქართული ემიგრაციისათვის დიდი დანაკარგი იყო დ. ხელაძის გარდაცვალება. ეს პატრიოტი და საქმის კაცი მთელი არსებით იყო ჩართული ემიგრანტულ ცხოვრებაში: „ამ დაუღალავი მუშაკის სახელი დაკავშირებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრაქტიკული მუშაობის მთავარ ძარღვებთან. მას არ ეპარებოდა ჩვენი პარტიულ-სამოგალოებრივი ცხოვრების თითოეული წვრილმანი, მისი მედგრული გული იფეთქებდა ხშირად, შეუფერებელი მოქმედების წინააღმდეგ. ფიცხი, მაგრამ გულკეთილი, მის გარშემო იზიდავდა მეგობრებს; რამდენი საპასუხისმგებლო დაეალება შეუსრულებია ჩუმად, შეუმჩნევლად, ხოლო არასდროს არ უსურვებია, ყოფილიყო არჩეული... თავის გამოჩენა არ იყო მისი დამახასი-

ათებელი თვისება, საქმის საკეთებლად კი არ ზოგავდა შრომასა და ენერჯიას. მისი ჯანმრთელობა უსათუოდ შეარყია წლების განმავლობაში სტამბის მოშახმულ აგმოსფეროში არანორმალურმა შრომამ. დაეკარგეთ მუშაკი, რომლის შემცველი ჩვენს რიგებში არ სჩანს. დათიკოს დაკარგვას, მის დანაკლისს გულისტკივილით განვიცდით ყოველდღიურად“ (1, №26).

ხელაძის გარდაცვალება დიდი დანაკარგი იყო არა მარტო თანაპარტიელთათვის. „მისი სახით ჩვენმა ემიგრაციამ დაკარგა ერთი საუკეთესო წევრი, – წერდა ალექსანდრე მანველიშვილი, – გამოგვაკლდა ერთი დიდი მოამაგე ჩვენი კულტურული საქმიანობისა. ის სიყრმიდანვე ხელობით იყო სტამბის მუშა, ზედმიწევნით მცოდნე და მოყვარული თავისი ხელობისა. ამ ცოდნით და სიყვარულით ის 30 წელიწადი ემსახურა ქართულ ბეჭდვით საქმეს და მის ამ ხანგრძლივ გულმოდგინე შრომას და ღვაწლს ვერ დაივიწყებს ქართული ემიგრაცია. მისი ხელით არის აწყობილი და გამოცემული ქართულ ენაზე მრავალი ასეული ნომერი ქურნალ-გაზეთებისა და მრავალი ათეული დიდი და პაგარა წიგნი. ყველა ამ დამსახურებისათვის დ. ხელაძე ჩაიწერა უცხოეთში კულტურული მოღვაწეობის ქრონიკაში და მისი სახელიც მასთან ერთად უკვდავი იქნება“ (19, №5).

1958 წელს 14 დეკემბერს დ. ხელაძის ნეშტი ქენევიდან გადაასვენეს და დაკრძალეს ლევილის ქართულ სასაფლაოზე. სიგყვებით გამოვიდნენ პარიზის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავმჯდომარე იოსებ ცინცაძე და სათვისტომოს თავმჯდომარე ელისე პაგარიძე (1, №30).

1959 წ. „ჩვენი დროის“ ფურცლებზე გვხვდება მელა ხელაძის პაგარა განცხადება: „ჩემი ძვირფასი მეუღლის – დათიკოს გარდაცვალების ორი წლისთავზე მისი ხსოვნის აღსანიშნავათ ვწირავ „ჩვენი დროის“ ფონდს 10000 ფრანკს“ (1, №31). ეს ქესგი იყო ერთგვარი გაგრძელება დ. ხელაძის საქველმოქმედო საქმიანობისა.

დავით ხელაძის მიერ პარიზში დაარსებული ქართული სტამბა, გამოცემები, წიგნები და ქურნალ-გაზეთები, ქართული მწიგნობრობის შე-

სანიშნავი ნიმუშები – ქართული კულტურის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია, მისი მოღვაწეობა კი იმის მშვენიერი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ქვეყნისა და ხალხის სამსახური ყველგან და ყოველგვარ პირობებში.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ჩვენი დროშა, პარიზი, 1937 – № 23, 1954 – № 16, 1957 – № 25,26, 1958 – № 30,31
2. სოლომონ ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან. ნაკ. II. – თბ., 1976. – გვ. 178-179
3. შარაძე გ. ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება. – თბ., 1998. – გვ.21-24. აგრეთვე – შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. I. – თბ., 1991. – გვ. 293-294.
4. პაპავა თ. გაბნეული საფლავეები. – თბ., 1990. – გვ.93
5. ხელაძე დ. წერილი სოსიპატრე ასათიანს, 16 I. 1928, თსუ: ემიგრაციის მუზეუმი, ს. ასათიანის არქივი, № 11
6. სამშობლო. – პარიზი, 1931 – № 9-10, 1932 – № 11, 1933 – № 13
7. ხელაძე დ. გამოცემლისაგან – იაკობ გოგებაშვილი, ღელა-ენა. – პარიზი, 1931. – გვ.3.
8. დამოუკიდებელი საქართველო, პარიზი, 1931 – № 69, 1933 – № 86, 90, 92, 1934 – № 98, 100, 102, 1935 – № 111, 117, 119, 1936 – № 124, 1937 – № 139, 140, 1939, 158
9. ბროლის ხმა. – პარიზი, 1931 – № 43-49, 1933 – № 62, 1934 - № 76
10. პაპავა თ. დიდი სახეები პაგარა ჩარჩოებში. – პარიზი, 1936. – გვ.7
11. ქართლოსი. – პარიზი, 1938 – № 9-10
12. ყიფიანი გ. ლექსები – პარიზი, 1965. – გვ. 239
13. საქართველო. – ბერლინი, 1943 – № 29
14. ჩვენი ქვეყანა. – პარიზი, 1948 – № 1, 3
15. ბედი ქართლისა. – პარიზი. – 1950 – № 7, 1954 – № 17
16. მეზობლი საქართველო. – პარიზი, 1952 – № 8
17. ერის დიდება. – პარიზი, 1958 – № 5

ლოლო მჭედლიშვილი

სახვითი გრაფიკის სექტორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილებასთან 1988 წელს შეიქმნა სახვითი გრაფიკის სექტორი, რომელიც 1936 წლიდან კომპლექტდებოდა. მაგრამ მასალა არ მუშავდებოდა და გაფანტული იყო სხვადასხვა საცავებში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების სისტემაში სახვითი გრაფიკის ბეჭდური გამოცემების ფონდი წარმოადგენს ძირითადი ფონდის ნაწილს. მისი მიზანია სახვითი ხელოვნების იშვიათ გამოცემათა შეგროვება-შენახვა, ბიბლიოთეკის ძირითადი ფონდის ხარვეზების შევსება, დამუშავება. აქ ინახება სამამულო და საზღვარგარეთ გამოცემული ყველა სახის ფურცლოვანი გამოცემა: პლაკატი-აფიშა (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ინფორმაციული – სარეკლამო, თეატრალური), ესტამპი, ლითოგრაფია, ლინოტიპი, ოფორტი, რეპროდუქცია (სხვადასხვა სახის), ეტიკეტი, მოსაწვევი ბარათი, ფოტო მასალა, ექსლიბრისი, კალენდარი (ყველა სახის), პროგრამა (თეატრალური და სხვადასხვა), ღია ბარათები, ბუკლეტები, საავტორო ესკიზი (მცირე რაოდენობით). ლიგერაგურა ყველა სახის ფურცლოვან გამოცემებზე (პლაკატები, ექსლიბრისები, ფილატელური კატალოგები). ფონდი წარმოადგენს საინფორმაციო-საკვლევე მუშაობის ბაზას სახვითი ხელოვნების ბეჭდური გამოცემების ორგანიზაციისა და შენახვის სფეროში. ეს გამოიხატება საგამოყენო, საავტორო-ბუტო და საინფორმაციო შეგყობინებებში.

სექტორს სამი ძირითადი ფუნქცია აკისრია: შეავსოს ფონდი ან მოიძიოს როგორც ბიბლი-

ოთეკის ფონდებიდან, ისე კერძო მფლობელთაგან პროფილთან მისადაგებული გამოცემები; დაიცვას უკვე მოძიებულთან ერთად ახალი შეძენილი, დაამუშაოს იგი, ასახოს კატალოგებსა და კარტოთეკებში; მოემსახუროს მკითხველს.

სექტორი კომპლექსურია. იგი მონაწილეობს საკუთარი ფონდის დაკომპლექტებაში, დამუშავებაში, აქვია ბიბლიოგრაფიული სამსახური (საკატალოგო), სამკითხველო დარბაზი, საცავი. ყოველივე ამას ერთგვარი უპირატესობა აქვს: დაჩქარებულია მკითხველის მომსახურება. ფონდით სარგებლობს ყველა დაინტერესებული პირი. ამის მაგალითია მუსიკათმცოდნის – ე. წეროძის მირ გამოცემული წიგნები, რომელთა მასალის მოძიებაში დიდი წვლილი შეიგანეს სექტორის თანამშრომლებმა. ფონდით რეგულარულად სარგებლობს სხვადასხვა რედაქციების თანამშრომლები.

სექტორის სახელით იბეჭდება სტატიები სხვადასხვა საკითხებში, როგორც აგრებიუციის, ისე, საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათისა.

ბოლო წლებში გაფართოვდა სამუშაო სპექტრი. ეს გამოიხატა მუზეუმებთან მჭიდრო თანამშრომლობაში და, როგორც შედეგი, სექტორმა მოამზადა ექვსი დამოუკიდებელი გამოფენა. ამასთან, სექტორი ჩაბმულია ბიბლიოთეკის ყველა გამოფენის მოწყობაში და მასალების მოძიებაში.

ცნობილი ბიბლიოთეკების ანალოგიური ფონდების გაცნობით, მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღინიშნება ამა თუ იმ კოლექციებში დაცული საავტორო ნამუშევრების ფართო მოცულობა, რაც ამ ფონდების ჭეშმარიტი ღირსებაა. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში სა-

ქართველოს სამხატვრო აკადემიისა და საქ. მხატვართა კავშირის ხელმძღვანელთა უშუალო თანამშრომლობით სექტორი შეავსებს ფონდს ქართველი მხატვრების ესკიზებითა და ჩანახატებით. ჩვენ ვთვლით, რომ ამ სექტორის საქმიანობა მეტად მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე სექტორს ჩაგარებული აქვს ახალი ფორმის შრომატევადი სამუშაო. შეგროვილ იქნა მაგარი სასმელების, ღვინისა და უალკოჰოლო სასმელების დიდი რაოდენობით ეგიკეტი, როგორც ორიგინალები, ასევე ქსეროასლები. გრძელდება გამოჩენილი პიროვნებების ფოტოების შეგროვება და მუშავება.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ადგილებზე შეგროვდება ამგვარი სახის მასალები და ურთი-

ერთ თანამშრომლობის შედეგად შეიქმნება ეროვნული სახვითი ხელოვნების ბეჭდური ნიმუშების მდიდარი ფონდი.

ჩვენ თხოვნით მივმართავეთ ყველას, მოგვწოდეთ ადგილობრივი წარმოების ეგიკეტები და სახვითი ხელოვნების ბეჭდური გამოცემები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ფონდის შევსებისა და აგრეთვე რაიონების პროდუქციისა და კულტურული ძეგლების პოპულარიზაციისათვის.

რედაქციისაგან: თხოვნით მივმართავეთ მკითხველებსა და რეგიონალურ ბიბლიოთეკებს შეძლებისდაგვარად შეაგროვონ და ერთნაირ ბიბლიოთეკას გადაუგზავნონ ადგილობრივი წარმოების ანალოგიური გამოცემები ორგანიზებულად დაცვისათვის.

გვესაუბრება პროფესიონალი

ვენერა ძოწენიძე,

თბ. № 3 ბიბლიოთეკის გამგე

მასობრივი მუშაობა თანამედროვე ეტაპზე

საბიბლიოთეკო საქმიანობის ძალზე საინტერესო და ასევე ძალზე რთულსა და სპეციფიკურ სამყაროში, სადაც ყველაფერს მკაცრად მიჩენილი ადგილი და დანიშნულება აქვს, არ არსებობს პირველი და მეორეხარისხოვანი ან დიდი და პატარა სამუშაო. აქ ყველაფერი ერთმანეთიდან გამომდინარეობს, ყველაფერი ძირითადი და მნიშვნელოვანია.

ამჯერად საბიბლიოთეკო საქმიანობის ერთი ასეთი მნიშვნელოვანი და წამყვანი რგოლის – მასობრივ ღონისძიებათა მნიშვნელობის შესახებ მინდა ვილაპარაკო და ბოგი რამ ჩვენი მუშაობის გამოცდილების შესახებაც გაგიზიაროთ.

ახალს არაფერს ვიგყვი, თუ აღვნიშნავ, რომ

მასობრივი ღონისძიება საზოგადოებასთან ურთიერთობის, მასთან დაახლოების ყველაზე უფრო მოქნილი, შთამბეჭდავი და ღია ღონისძიებაა.

კარგად ორგანიზებულ და მიზანმიმართულად ჩაგარებულ ღონისძიებას ყოველთვის დიდი ხიბლი, ემოცია და საზოგადოებაზე გემოქმედების ძალა გააჩნია, თანაც იგი საბიბლიოთეკო საქმიანობის ისეთი სფეროა, სადაც მუდმივად შეიძლება მუშაობის ახალი – ნებისმიერი ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, საზოგადოებასთან სულიერი დაახლოების ყველაზე მომგებიანი მეთოდების გამოხატვა და ამოქმედება.

ახალი ფორმებისა და მეთოდების ამოქმედება განსაკუთრებით აუცილებელია დღეს,

როცა ჩვენს თვალწინ ხდება ბევრი რამ აღრი-
ნდელის გადაფასება, როცა ასპარეზიდან გადის
მუშაობის უკვე მოძველებული სგანდარგები და
მის ადგილს იკავებს ახალი განვითარებადი
ფორმები და მეთოდები, როცა იცვლება მი-
დგომა ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენისადმი და
ხდება დაკანონება ამრისა, ახლის და განვითარ-
ებადის სასარგებლოდ.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ბიბლი-
ოთეკები ვერ დარჩებიან აღრინდელი გრაფი-
რეგების გყვეობაში და საჭიროა ჩვენ, ყველანი
აქტიურად ჩავებათ აუცილებელ ცვლილებათა
ფერხულში, გამოვინახოთ გზები და საშუალე-
ბები საზოგადოებასთან ახალი ურთიერთობე-
ბისა და კონტაქტების დასამყარებლად.

ყველაფერი ეს ჩვენი საქმიანობის დღევან-
დელ პირობებში (მით უმეტეს, № 3 საქალაქო
ბიბლიოთეკისათვის) არც თუ ისე ადვილი სა-
ქმეა. თანაც დასამალი არაა, რომ მკითხველი
უკუიქცა ბიბლიოთეკებიდან: „წიგნი კი არა,
გული მიწუხსო“, – გვეუბნებიან. უმძიმეს ყოფი-
ერებაზე ფიქრმა მიიგაცა და დაიპყრო საზოგა-
დოების თითქმის ყველა თაობის წარმომადგე-
ნლები. მოქმედების გზა და უნარი ბევრისთვის
ჩაიხერგა, მაღალი იდეალებისაკენ ღგოლვა
გაქრა და ყოველივე ამან იმდენად მწვავედ
გვაგრძნობინა სულიერი ძალების დაქვეითება,
რომ უკიდურესობამდე მივიდნენ ადამიანები.
უმუშევრობით, უსახსრობითა და ბაზრებში
დგომით გაწამებულთ ძალაუნებურად ერთადე-
რთი და გრაგიკული კითხვა გაუჩნდათ – „რა
მომცა ცოდნამ, რა მომცა წიგნთან დამეების
თევამ?“.

რა ძნელიც არ უნდა გეჩვენოს ამ მწარე და
გულსატკენ კითხვაზე პასუხი, იგი ჩვენ უნდა ვი-
კისროთ და საქმით ვუპასუხოთ მას. საქმით
უნდა ვაგრძნობინოთ ყველას, რომ ცოდნა მა-
რადიული და უძლეველი ძალაა, რომ დიდი
ილიასი არ იყოს – „ლონიერი და ჭირთა მძლე ის
არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს და ცოდ-
ნით დაუმშვენებია“. უნდა დავარწმუნოთ საზო-
გადოება ამ შეგონების ჭეშმარიტებაში და შე-
მოვებრუნოთ წიგნისა და ბიბლიოთეკისაკენ,
გავუღვიძოთ ცოდნის შეძენის წყურვილი.

ეს კი, უპირველესად მასობრივი მუშაობის გა-
აქტიურებითა და თანამედროვე მოთხოვნების
დონეზე დაყენებითაა შესაძლებელი.

მასიური ღონისძიება ამ შემთხვევაში სწო-
რედ მაშველი რგოლია.

მასობრივი ღონისძიება სწორედ ის უმთავ-
რესი ბერკეტია, რომლის გულში ჩამწვლომი
სიგყვა, საინფორმაციო მასალის მიზნობრივად
სწორად შერჩევა, თემატიკის სიახლე, ღონი-
სძიების სანახაობითი და ემოციური მხარე,
ადვილად იკაფავს გზას ადამიანთა გულებისა-
კენ და განაპირობებს ბიბლიოთეკის მიზნების
მიღწევას.

რა თქმა უნდა, გულბრყვილობა იქნებოდა
იმის ფიქრი, რომ ბიბლიოკეთებში სიახლეების
დანერგვაზე და მოკიდებული არსებულ რე-
ალურ ფასეულობათა გადარჩენა, მაგრამ სუ-
ლიერი წვრთნა, მომზადება ნიადაგისა ახალი
დემოკრატიული ყოფისა და ახალი ამროვნების
დასამკვიდრებლად, ნამდვილად დიდადაა და-
მოკიდებული ბიბლიოთეკების შეუფერხებელ
და ალლოიან მუშაობაზე. მით უმეტეს, რომ ბი-
ბლიოთეკა ყოველთვის იყო და ახლაც მოია-
ზრება როგორც „მაჯისაცა შემგყობარი მკუ-
რნალი“, რომელმაც სხვაზე უკეთ იცის, რა აწუ-
ხებს მის მკითხველ საზოგადოებას, რა მიმა-
რთულების მუშაობას საჭიროებს იგი.

სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინე-
ბით, გაიაზრებს ჩვენი ბიბლიოთეკა იმას, რომ
ზღვასავით ამვირთებულ ამ უდიდეს საზოგადო-
ებრივ და სისგემურ ცვლილებებთან დაკავში-
რებით საჭიროა როგორც თემატიკის, ისე ფო-
რმის სიახლე, საჭიროა რაღაც საინგერესო და
მიზმიდველი ფონის შექმნა, რათა ღონისძიება
გარდებოდეს არა ღონისძიებისათვის, არამედ
საზოგადოებისათვის, იმისათვის, ვისაც უშუ-
ალოდ სჭირდება იგი. თანაც აუცილებელია თი-
თოეულ ღონისძიებაში ჩავლოთ არა მარგო
ინფორმაციულად საინგერესო, არამედ სული-
ერად ამალლებული და ემოციური მუხტი, გავხა-
ლოთ იგი თითოეული დამსწრისათვის შთამბე-
ჭდავი და დაუვიწყარი. ამ თვალსამრისით, რა-
მდენიმე მაგალითის მოყვანა შეგვიძლია ჩვენი
გამოცდილებიდან:

პირველი სალონური საღამო სახელწოდებით: „შაირისა და გკბილი ჰანგების სამყაროში“, იყო სწორედ ის თვალსაჩინო წამოწყება, რომელმაც თავისი ახალი და შთაბეჭდავი სიგყვა თქვა მოცემულ ვითარებაში. ეს იყო ღონისძიება, რომელიც ერთდროულად და უხვად შეიცავდა ცოდნის პროპაგანდისა და ესთეტიური, საზეიმო განწყობილების ელემენტებს, ქმნიდა მიმზიდველ ფონს.

სალონური საღამოს მომზადებას თან ახლდა ბიბლიოთეკის კოლექტივისა და არსებულ „ახალგაზრდა მკითხველთა კლუბის“ დაბადული მუშაობა. ფიქრი იმაზე, როგორ მიიღებს ამ შეთავაზებულ სიახლეს თავისი საზრუნავით გულდამძიმებული საზოგადოება, რას ვეგყვით ჩვენ და რას გვეგყვიან ისინი – აი, კითხვები, რომლებიც გამუდმებით აწვალდება თითოეულ ჩვენთაგანს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

დადგა საზოგადოებასთან შეხვედრის დღეც. სალონური საღამო, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: შესავალი სიგყვა, საკუთარი შემოქმედების ჩვენება და პოეზიისა და მუსიკის ნებისმიერ მოყვარულთა გამოსვლა ნამდვიდ მემად იქცა. საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა მდიდარი ინფორმაციული მასალით შემავებული შესავალი სიგყვა, რომლის შემდეგ საღამურის უნაზესი და გკბილი ჰანგების ფონზე ერთმანეთს ცვლიდა – ლექსი, ჩანახაგი და მხაგვრული კითხვა. ხოლო წამყვანის დახვეწილი საუბარი და მონაწილეთა მიერ შესრულებული სიმღერები განწყობილების ისედაც ამაღლებულ მუხგს კიდევ უფრო აძლიერებდა.

გამოჩნდნენ ლექსისა და სიმღერის ნებისმიერი შემსრულებლებიც, უმეტესად დიასახლისები. მალე გრძნობააღძრული ღარბაშიც ერთიანად აძღვრდა და ჩვენ ყველანი ვხედავდით, თუ როგორ გაბრწყინდა პოეზიისა და ხელოვნების მაღლით, ყოველივე ნახულისა და განცდილის სიღრმით, თითოეული იქ მყოფის სული, და დაერწმუნდით, როგორ მონაგრებიან ადამიანებს ის დაღებითი ემოცია, რასაც ლექსი და სიმღერა იძლევა, რომლებიც წიგნისა და ცოდნის მეშვეობით იკვლევს გზას ადამიანებამდე.

„გაგახარათ ღმერთმა“, „მოგეცათ სიკეთე“, – ისმოდა აღფრთოვანებული შეძახილები ღარბაშის ყოველი მხრიდან, და ჩვენ ბედნიერები ვიყავით, რომ ამ ადამიანებს ვაჩუქეთ სიხარულისა და ბედნიერების დაუვიწყარი წუთები, გავუთბეთ გული და გარკვეული ღრითით გამოვთიშეთ ირგვლივ არსებული მწარე სინამდვილისაგან.

იმ დღიდან სალონური საღამოს ფორმა შეუცვლელად დამკვიდრდა ჩვენს საქმიანობაში.

სალონური საღამოს ექვსჯერ კიდევ არ მიწვდებოდა, რომ მალე ამას მოჰყვა ფორმითა და შინაარსით ახლებურად გააზრებული ახალგაზრდული საღამო სახელწოდებით: „ჭეი, ვინ მოდის, მანდ მომავლიდან“, რომელმაც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოავლინა საზოგადოების ამაღლებული სული და განწყობილება.

საღამომე მოწვეული იყვნენ შრომითა და მონღომებით გამორჩეული თანაუბნელი ახალგაზრდები – სტუდენტები და მოსწავლეები, მათ შორის პაგარა პოეტიც იყო.

ორი დღით ადრე ბიბლიოთეკაში მოეწყო მათი მხაგვრული ნამუშევრებისა და მათზე არსებული საგამეთო და ფოტო-მასალების გამოფენა.

დამთვალეიერებლები გაკვირვებას ვერ მალავდნენ ნორჩი მხაგვრების ნ. მაღლაკელიძისა და მ. კავილაძის ნამუშევრების ხილვისას. „მდიდარი ფანგაზია, მსუბუქი ხაზები და ფერთა გასაოცარი შეხამება... ალბათ, ასე იწყებოდა გუდიაშვილი და კაკაბაძე“, – თქვა ერთ-ერთმა დამთვალეიერებელმა და ბავშვებს დიდი მომავლისაკენ გზა დაულოცა.

ღარბაშში მყოფი საზოგადოება აღტაცებით ავლებდა თვალს, მიესალმებოდა და ეფერებოდა ქვეყნის მომავალს, მონუსხულივით უსმენდა საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატს, იშვიათი ხმის პაგრონს პაგარა ნ. სინაურიძეს, გრაციოზულობით გამორჩეულ მოცეკვავეს თ. ფეგვიანაშვილს და მე-2 კლასელ პოეტს, მაგრაბ უკვე ორი წიგნის ავტორს მ. მაღლაკელიძეს, მის ღებს მევიოლინე თ. მაღლაკელიძეს და ასევე პაგარა ნათიას – თამარ მეფის სტიპენდიანტ მხაგვარს, რომელსაც უკვე გაფორმებული

ჰქონდა სახელმძღვანელო წიგნი ვალიშვილის სკოლისათვის.

„...ეს ყველაფერი მოულოდნელი აღმოჩენა იყო ჩვენთვის, – აღნიშნა დიასახლისმა ვ. წითლიძემ, – ახლა ნამდვილად მჯერა, რომ ჩვენს ქვეყანას კვლავაც დიდი მომავალი აქვს, – თქვა მან და სათითაოდ გადაეხვია ახალგაზრდებს.

ახალგაზრდობის სადამომ ისე, როგორც მისმა წინამორბედმა ღონისძიებამ განამტკიცა ხიდი ბიბლიოთეკასა და ახალგაზრდობას შორის. მაყურებელი დარბაზს აღარ სტოვებდა. ყველას ახარებდა იმის შეგრძნება, რომ მოდიოდა ნიჭიერი და საიმედო თაობა, მოდიოდნენ მათი შვილები და შვილიშვილები, რომლებიც, ეჭვი არაა, ღირსეულ სიყვავას იყვინან ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ახალგაზრდობის სადამომს ესწრებოდა სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის ღირეჟცია და მეთოდკაბინეგის სრული შემადგენლობა. ღირეჟტორმა ბ-ნმა ვ. შავგულიძემ გულთბილი სიყვავით მიმართა დარბაზსა და ღონისძიებაში მონაწილე ახალგაზრდებს.

ფორმითა და შინაარსით ეს ულამაზესი და ღრმად შთამბეჭდავი ღონისძიება, გარდა იმისა, რომ მიზნად ისახავდა წიგნის ცოდნისა და ინგლეჟტის პროპაგანდას, ამავე დროს მას ჰქონდა ბემოქმედების ძალა, რამაც არა ერთი ახალგაზრდა შემოაბრუნა წიგნისა და ბიბლიოთეკისაკენ.

ჩვენ აქ ვილაპარაკეთ სანახაობთ ღონისძიებებზე, მაგრამ არსებობს წმინდა ინგლეჟტულური ღონისძიებებიც, სადაც სანახაობითი მხარე ან სრულებით გამორიცხულია, ან მთავარი არაა.

სწორედ ასეთ ღონისძიებაზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ როცა საქმე ინგლეჟტულურსა და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს ეხება, მაშინ ჩვენთან მოქმედებაშია რუბრიკა – „მკითხველი ფიქრობს, მსჯელობს და მიაჩნია, რომ“... იგი, როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, მიუთითებს ჩვენი მომხმარებლის აქტიურობასა და დამოუკიდებელ მსჯე-

ლობაზე აქცენგის გაკეთებას.

ასე იყო ამჯერადაც. მასიურ ღონისძიებათა ჩვენს არქივში გამორჩეული და საპატიო ადგილი უკავია ღონისძიებას, რომელიც ბიბლიოთეკამ და მასთან არსებულმა „ახალგაზრდა მკითხველთა კლუბმა“ გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მესაფლავის“ განხილვას მიუძღვნა.

ეს ლექსი საზოგადოებაში ძალზე პოპულარულია და ლიგერაგურული კრიტიკისგანაც გარკვეული შეფასება აქვს მიცემული, მაგრამ ამას არ ჰქონდა ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა. ეს ლექსი და არა სხვა რომელიმე შეგარჩიეთ იმად, რომ აქ მრავალი პრობლემური საკითხია დასმული ადამიანის წუთისოფელთან დამოკიდებულებაზე. ამიტომ ჩვენ, ერთი მხრივ, მიზნად ღავისახეთ დღევანდელ აფორიაქებულ ვითარებაში ახალგაზრდებს უფრო სრულად გაეცნობიერებინათ ლექსის მთავარი სათქმელი და ღვენახათ თავიანთი, როგორც ადამიანის მოქმედების კრელო მომავალ ცხოვრებაში; მეორე მხრივ, როგორც ბემოთ ნახსენები რუბრიკა მიუთითებს, გვინდოდა ლექსზე მუშაობა გამხდარიყო მკითხველის დამოუკიდებელი ამროვნების, მსჯელობისა და გეჟსგში ჩაღრმავების უნარის წვრთნისა და განვითარების საშუალებად, რის გამოც, დასაწყისშივე უარი ვთქვით დამხმარე ლიგერაგურის გამოყენებაზე და ლექსზე მუშაობის საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით შევეუღეჟეთ განხილვის მომზადებას. ეს იყო მკითხველთა აღზრდის და მათთან მუშაობის ჩვენს მიერ აქტიურად გამოყენებული ახალი მეთოდი, რომელმაც ნამდვილად გაამართლა. მთელი დაგვირვით ამუშავდა ბიბლიოთეკა და მისი „ახალგაზრდა მკითხველთა კლუბი“, და დღემდე არ გამქრალა ჩემში ის უდიდესი სიამოვნების, გაკვირვებისა და სიხარულის გრძნობა, რომელიც ამ ღონისძიებით მივიღე. საოცარი, მაგრამ მაინც ფაქტი იყო, რომ არც ერთ კრიტიკულ ლიგერაგურაში, რომელიც კი წამიკითხავს, „მესაფლავის“ ასეთი ღრმა დეგალური განხილვა და ისიც ფილოსოფიურ ასპექტში, არსად შემხვედრია.

გამომსვლელები მსჯელობდნენ სიყვარუ-

ლისა და ფიცის ერთგულებაზე, ავგორისა და მესაფლავის პოზიციებზე, ცხოვრების მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობაზე, სიცოცხლისა და სიყვარულის მარადიულობაზე და სხვ.

ამ ლექსში ყველა უკვე ცნობილი და ჩამოთვლილი საკითხის გარდა, მათ დაინახეს ბრძოლა მარტოსულობისა და უმიზნო თვითმეწიერის წინააღმდეგ. ავლებდნენ პარალელებს ბარათაშვილის, ილიასა და შექსპირთანაც კი. აკეთებდნენ დასკვნებს ყოფნა-არყოფნისა და ამ ქვეყნად ადამიანის დანიშნულების შესახებ.

ახალგაზრდებმა ამ ლექსს ჩვენი ცხოვრების მორალური კოდექსი უწოდეს. არ დაგვაფიქვდეს სიკვდილი, არ დაგვაფიქვდეს, რომ წუთისოფლის სტუმრები ვართ, – ამას გვასწავლის გალაკტიონი და ესაა ჩვენი ცხოვრების ძირითადი მცნება და ყოველდღიური სახელმძღვანელო, – აკეთებდნენ დასკვნებს ისინი. შეიძლება ითქვას, რომ ღონისძიებამ სრულად და ძალიან ლამაზად უპასუხა რუბრიკის მოთხოვნას.

ამ ღონისძიებას გაზეთმა „ქუთაისმა“ „სულიერების ამბების საღამო“ უწოდა და, ვფიქრობთ, ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი.

მსურს კიდევ ერთ ინტელექტუალურ საღამოს შევეხო. ესაა დისპუტი. დისპუტის ფორმა ბიბლიოთეკების საქმიანობაში ახალი არაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა სადისკუსიო თემად შეეჭიდა ისეთ რთულსა და მრავალპლანიან რომანს, როგორც ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“.

რომანის მრავალმხრივობის და მოცულობის გამო დისპუტის თემად მხოლოდ ნაწარმოების მთავარი გმირის – დათა თუთაშხიას პერსონა ავირჩიეთ და ღონისძიება ასე დავასათაურეთ: „ვინ არის დათა თუთაშხია და არის თუ არა იგი დადებითი გმირი“.

რომანზე მუშაობა ძალზე რთული და შრომატევადი გამოდგა. ღონისძიებას უნდა ეთქვა ჩვეულებრივი, მაგრამ მართალი სიტყვა იმ გმირის შესახებ, რომელმაც ბოლო ათწლეულებში ლიტერატურის და ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო, თანაც, როგორც გალაკტი-

ონთან, აქაც ძირითადად საკუთარ გააზრებასა და შეფასებებზე დაყრდნობა გვიხდებოდა, რადგანაც ორიოდე კრიტიკული გამოხმაურება სრულებითაც არ აღმოჩნდა საკმარისი გმირის ხასიათისა და მრწამსის გასახსნელად.

ღონისძიებისათვის მზადებას ნაცნობი რუბრიკით „მკითხველი ფიქრობს, მსჯელობს და მიაჩნია, რომ...“ ამჯერადაც ძირითადად „ახალგაზრდა მკითხველთა კლუბი“ წარმართავდა. კონსულტანტები ვიყავით ჩვენ და მასწავლებელი – ფილოლოგი.

დისპუტის მზადებაში ახალგაზრდებთან ერთად უფროსი თაობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ყველას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკითხი, რა თქმა უნდა, განათლებული მკითხველის ღონებზე მთელი სიგრძე-სიგანით იქნა დამუშავებული, რის შედეგადაც მივიღეთ ძალზე საინტერესო ღონისძიება, რომლის სიღრმე, გმირის ხასიათში წვდომის უნარი და აზრის სიახლე პროფესიონალ მკვლევარსაც შეეშურებოდა.

კამათში მსმენელნიც ჩაებნენ და დისპუტმა კიდევ უფრო ფართო და საინტერესო ხასიათი მიიღო, ეს იყო ნამდვილი პაექრობა, რომელსაც არ აკლდა არც ამრთა ჭიდილი და არც კამათის სიმწვავე.

გამომსვლელები პირუთენელად ლაპარაკობდნენ დათას დადებითსა და ნაკლოვან მხარეებზე. აღნიშნავდნენ, რომ დათა საზოგადოებისაგან არამართებული დამოკიდებულების გამო მოიცვა ღებრესიამ და გულგატეხილობამ, რის გამოც, ხელი აიღო კეთილის დამკვიდრებისათვის ბრძოლაზე. – კი, მაგრამ „ღვთაებრივი გმირი“ სადღა? – კითხულობდნენ მეორენი და ასკვნიდნენ, რომ დათას, როგორც „ღვთაებრივი წარმოშობის გმირს“, არ შეეფერებოდა ბრძოლაზე ხელის აღება და „არაა მაგი ჩემი საქმეთი“ თავის მართლება.

...დისპუტზე კიდევ ბევრი რამ ითქვა. ითქვა საინტერესო, მართებული და ყურადსაღები. საბოლოოდ კი მთავარი, რაზეც ორივე მხარე შეთანხმდა, იყო ის, რომ დათა თუთაშხია თავისი გარეგნული წარმოსადგეობით, შინაგანი დადებითი მისწრაფებებით, კეთილშობილი და ღი-




რსეული თავდაჭერით, ნიჭიერებითა და სიბრძნით, ქელუხრელი და საოცრად უშიშარი ბუნებით, ვაჟკაცობით, სიკეთისა და სიმართლის სიყვარულით – ნამდვილად ერის შვილია, ქართველი ვაჟკაცის კრებსითი სახეა, და როგორც ავგორი ამბობს, არის „კაცობრიობის ნაღების შემადგენელი ნაწილი“, და მასში მთელი სისრულით იხსნება ქართველი კაცის რთული, მაგრამ კეთილი და დაუმორჩილებელი ბუნება, და, ამდენად, იგი მისაღები და საყვარელი გმირია ჩვენთვის.

ასეთი იყო დისპუტის მონაწილეთა საბოლოო გადაწყვეტილება.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, თუ რა მოგვცა ჩაგარებულმა ღონისძიებებმა. უპირველეს ყოვლისა, გააძლიერა საზოგადოების კე-

თილმოსურნეობის გრძნობა ბიბლიოთეკისადმი, გული გაუთბო, ცოცხალი ხანით მაინც მოაშორა მწვავე ცხოვრებისეულ პრობლემებს და მაღალი სულიერებისაკენ შემოაბრუნა, აღუდგინა მონაწილეთა წიგნთან და ცოდნასთან ურთიერთობის მოთხოვნილება. ყოველივე ამის შედეგად მარტო 2003 წელს 30 მკითხველი შეემატა ბიბლიოთეკას. მიგვაჩნია, რომ ყველაფერ ამის გამო ღირს მომავალშიც განვაგრძოთ ხალხის სულიერ სიღუბნეებზე მორგებულ ღონისძიებათა სერიების ჩაგარება და ხელი შევეწყოთ, ნიადაგი მოვამზადოთ საზოგადოებაში ახალი ამროვნების, ურთიერთ თანადგომისა და სიყვარულის დამკვიდრებას, ქვეყნისათვის საჭირო და ღირსეული მამულიშვილების აღზრდას.

კორესპონდენციები



თინათინ გოგოლაძე
ქარელის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი

„ენა ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა“

ამ დღეობით ჩაგარდა ქარელის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 2003 წლის 14 აპრილს ლიგერაგურულ-მუსიკალური კომპოზიცია. ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის მეთოდისტი – ელზა თელიაშვილი. მან შემდეგი სიტყვებით გახსნა საღამო:

„ქართული ენა – ჩვენი მშობლიური ენა – სიკეთის, სიწმინდის, სიყვარულის, სილამაზის, მოკრძალების და ყოველივე მშვენიერის გამომთქმელ-გამომხატველი ენაა. მასში გამოხატულია ქართული სინამდვილე, სამშობლოს ფიქრი და აღმაფრენა. ესაა ენა რუსთაველისა, ილიას ენა, აკაკის ენა.

„ხან ყვავილების ნელი შრიალი,
ხან იაღონთა ხმაგებილი სგვენა,
სიგყვა ფრთიანი, ნაპერწკლიანი,

ბარაქიანი ქართული ენა“.

ქართული ენის სიღრმეში იხატება ისტორია ერის სულიერი ცხოვრებისა. „ვიდრე ენა ცოცხლობს, ერი არ მოკვდება“. არ შეიძლება არ ჩაგვაფიქროს ამ სიტყვებმა და არ გადაგვახედოს წამიერად მაინც იმ განვლილ გზაზე, რომელიც ქართულმა ენამ გამოიარა.

როგორც ცნობილია, ქართულ ეროვნულ დამწერლობას დიდი ისტორია აქვს. პირველი წიგნი ფარნავაზ მეფის დროს შექმნილა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნეში, თავისი მეფობის დროს ფარნავაზმა სხვა ეროვნულ საქმეებთან ერთად, ამ ძალზედ მნიშვნელოვან საქმითაც უკლავეყო თავისი სახელი.

„შენ, ჰე, ფარნავაზ, ქმენ ერთმთავრობა,
შენ მიეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა,

და ერთობისა წესი და ძალი“.

ასე შეამკო მაღლიერმა ქართველმა ხალხმა პოეტის ენით ამ მეფის დიდი ღვაწლი. მაშ, ისღა გემართებს, ვაქოთ და ვადიდოთ ქართული ენა, როგორც ბერმა იოანე მოსიმემ X საუკუნეში ქნა ეს თავის ჰიმნში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ერთმანეთს ეცილებოდნენ ირანი და თურქეთი, მაგრამ ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, მეფე ვახტანგ VI-მ დააარსა პირველი სტამბა 1709 წელს, სადაც პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ 1712 წელს ვახტანგისეული კომენტარებით. უფრო ადრე მე-17 საუკუნეში რომში დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ქართული ენის მოამბგეთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ვახტანგ მეფის აღმზრდელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დიდაქტიკოსი – სულხან-საბა ორბელიანი, რომლის „ქართული ენის ლექსიკონი“ ანუ „სიგყვის კონა“ დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას.

შენდებოდა იყალთო და გელათი... იწერებოდა „ვეფხისტყაოსანი“, შორეულ პალესტინაში იქმნებოდა ქართული კულტურის უძლიერესი კერა... ქართველი კაცი შრომობდა, აშენებდა, ქმნიდა, ომობდა და... ინახავდა ქართულ ენას. ოცბე მეტ საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველებმა არაერთხელ დავკარგეთ სახელმწიფოებრივი მთლიანობა, მაგრამ არასოდეს დაგვიკარგავს ენობრივი ლამოუკიდებლობა. სიამაყით ვიგყვით, რომ მსოფლიოში დღემდე არსებულ დამწერლობათა შორის ქართული ენა თავისი გამომსახველობით უნიკალურია.

ქართული ენის სიღრმესა და გამომსახველობის უნარს არაერთი გენიალური მეცნიერი შეხებია, დიდია ნიკო მარის ღვაწლი ქართული ენის წინაშე. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე იკვლევდა ქართულ ენას და მაღალ

შეფასებას აძლევდა მას. „ქართველი ერის კულტურაც და მისი თავისებურებაც შინაგან ძალთა ნამოქმედარია... ეგ ძალა გახლავთ ქართველი ერის არა მხოლოდ ისტორიული ხანგრძლივობა, არამედ ქართული ენა... ისე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიურია“ – წერდა იგი თავის გამოკვლევებში 1926 წელს. ყველაზე სასტიკი დარცხმვა ქართულმა ენამ მე-19 საუკუნის დასაწყისში განიცადა. რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მმართველობამ მძიმე დალი დაასვა ენის სიწმინდეს. შავრაზმელი რეაქციონერები იანოვსკი და მისი მიმდევრები, რომლებიც შეურაცხყოფდნენ ჩვენს ენას, მძიმე ბემოქმედებას ახდენდნენ ქართველ მოაზროვნე საზოგადოებაზე. ილიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა, კოტე მესხმა, არჩილ ჯორჯაძემ არაერთხელ გაილაშქრეს შავრაზმელთა წინააღმდეგ. დიდი ილია ენის დაცემას და ერის სიკვდილს ერთმანეთთან ათანასწორებდა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი გაძარსა წმინდას...“ ილია ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობა ეროვნული ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, რაც უპირველეს ყოვლისა, ენის სიწმინდის დაცვას გულისხმობდა.

ქართული ენა კიდევ უფრო აღზევდა, როცა დიდმა იაკობ გოგებაშვიტმა ჩვენს მომავალ თაობას ძვირფასი განძი უძღვნა – ეს იყო „ღედა ენა“, რომელიც 1876 წელს გამოიცა. იგი ხელთუქმნელი განძია ყოველი ქართველისათვის, მასზე აღიზარდნენ და კვლავაც გაიმორღებიან თაობები. იაკობ გოგებაშვილი ქართულ ენას ასე აფასებდა: „ენა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიც მრავალთა თაობას ძვირფასი განძივით შემოუნახავთ საუკეთესო ნაწარმოებები ხალხისა“. გადიოდა საუკუნეები... ქართული ენა არსებობდა, სულდგმულობდა, იმრდებოდა. იმრდებოდნენ თაობები, მწერლებისა და პოეტების მთელი პლეადები, რომელთა შექმნილმა შედეგებმა შორს გაუთქვეს სა-

ხელი ქართულ ენას – ქართულ ენაზე იქმნებოდა მე-20 საუკუნის ბუმბერაზი პოეტის – გალაკტიონის გენიალური ლექსები. სწორედ გალაკტიონმა გამოავლინა მშობლიური ენის საოცარი თვისება – ქლერადობა. გასული საუკუნის 50-იან წლებიდან ქართულმა ენამ რამდენიმე სასტიკ შემოგვევას გაუძლო. 1956 წლის 9 მარტი – ეროვნული კონსოლიდაციის იდეით აღფრთოვანებული ახალგაზრდობა... ისმის შეძახილები, „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, გაუმარჯოს ქართულ ენას!“ ამას მოჰყვა სისხლიანი გრაგედია, მშობლიური ენის დაცვას შეეწირა სგუდენგი ახალგაზრდობა.

1978 წლის 14 აპრილს: ერთიანი, „საბჭოთა ხალხის“ შექმნის იდეა ეროვნული უმცირესობის მწარე ხედრის სამზადისი იყო. რუსული ენა ცხადდება სახელმწიფო ენად ბევრგან. საქართველო ფეხზე დგას. ქართველი ახალგაზრდობა დარაბმულია ენის დასაცავად. ან სიკვდილი, ან გამარჯვება... და ერმა გაიმარჯვა. გაიმარჯვა ენამ უძველესმა და მარად ახალმა, უკვდავმა და უჭკნობმა. „ბოროტსა სძლია კეთილმან“.

დღეს ქართულ ენას აღარავინ ემუქრება. მშობლიურ ენას იცავს კანონმდებლობა. 1990 წლიდან 14 აპრილი გამოცხადებულია ქართული ენის დღედ. მიღებულია ქართული ენის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. მიმდინარეობს დიდი მუშაობა ენის სიწმინდისათვის. უმაღლეს სასწავლებლებში მზადდება მაღალკვალიფიციური კადრები. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანასთან ქართველ ენათმეცნიერებს დიდი მეცნიერული კონტაქტები აქვთ. მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა ქართველი კლასიკოსები: რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა. ჩვენს ქვეყანაში მრავალი უცხოეული სგუდენგი ეუფლება ქართულ ენას. შთამაგონებელია დიდი ილიას სიგყვები: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპაგრონეთ, რა

კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?!“


მეტად მიმზიდველი პოეტური ფრაზები აქვს გამოთქმული ქართველ პოეტს ი. ნონეშვილს:

„ჩვენ გვიყვარს წიგნი სიგყვებაგული, განა სიგყვები?.. ნაგვრის თვლებია, თუ დაივიწყე ენა ქართული, მაშ, საქართველო დაგვიწყებია“.

მხაგვრული კომპოზიცია დიდი აღმავლობით ჩაგარდა; ქალთა გუნდის შესრულებით აქლერდა სიმღერა „შენ ხარ ვენახი“, მ. საზანდრიშვილმა წაიკითხა ი. აბაშიძის უკვდავი სტრიქონები ლექსისა „ხმა კაგამონთან“, ბავშვების დუეტმა შეასრულა რ. სებისკვერადის „ჩემი წიგნი“, ნ. ძაბილაშვილმა კი „ივანანა“, გ. ფაგარიძემ მუსიკის ფონზე წაიკითხა მ. მაჭავარიანის ლექსი „საბა“, ნ. კაბულაშვილმა შ. ნიშნიანიძის „ციხე-გაძართა საგალობელი“, ვაჟთა გუნდმა სულის შემძვრელად იმღერა „წინწაყრო“, რასაც მოჰყვა ლ. ასათიანის „ქართული ენა“ ე. კანდელაკის მიერ ოსტაგურად წაკითხული, ამის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით გაისმა სიმღერები საქართველოზე, რომლებიც ნ. გაბილაშვილმა შეასრულა, აგრეთვე დ. გისანაშვილის შესრულებით მოისმინეს „ურმული“ და ბოლოს ვაჟთა გუნდმა შთამაგონებელად დაასრულა საღამო „მრავალკვამიერით“.

გამოყენებული იქნა ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორების რ. ლალიძის, შ. მილორაგას, რ. სებისკვერადის, გ. მირიანაშვილისა და ხალხური სიმღერები და მელოდიები.

აღსანიშნავია, რომ კომპოზიციის მომზადებასა და ჩაგარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ თვითმოქმედი ანასამბლები და მოსწავლეები. საზოგადოებამ უაღრესად დიდი ინტერესი გამოიჩინა ჩვენს მიერ გამართულ საღამოს მიმართ. ამ ღონისძიებამ რაიონში საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა.



თამრიკო შუბითიძე
ხაშურის ცენტრალური ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე

სიასლისადმი ღვთოვნით

მ

ითქმის უკვე ათეული წელია, რაც საქართველოში საბიბლიოთეკო სისტემა არნახულ კრიზისს განიცდის; ამ მხრივ გამონაკლისს არც ხაშურის რაიონი წარმოადგენდა, მაგრამ ამ ბოლო დროს საბიბლიოთეკო ქსელში შესამჩნევი ძვრები მოხდა. ახალგაზრდული იდეები, სიასხლეთა დანერგვისადმი მისწრაფება აქ ახალმა ხელმძღვანელმა – რუსუდან ენჯიბაძემ შემოიგანა. იგი 2003 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ბიბლიოთეკარების ერთ ჯგუფთან ერთად საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა. ქალბატონი რუსუდანის ინგერესები მხოლოდ ამ პროექტში მონაწილეობით არ შემოფარგლულა. მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების შედეგად, ბიბლიოთეკამ მიიღო გრანტი და ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაარსდა საინფორმაციო ცენტრი, რომელიც საქართველოში ახორციელებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის კულტურისა და განათლების საქმეთა ბიუროს ინგერნეგში დაშვებისა და სწავლების პროგრამას. ამ პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაცვლას, კომუნიკაციის გაფართოებას, გლობალურ კავშირებს და თანამშრომლობას.

IREX-ის საინფორმაციო ცენტრის საშუალებით ხაშურის ცენტრალური ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და მიწოდებას. ბიბლიოთეკა კისრულობს განსაკუთრებულ ვალდებულებებს, უზრუნველყოს თანამედროვე და მომავალი თაობები ინფორმაციისა და იდე-

ების შეუმბლუდავი ნაკადით.

ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 2003 წლის 23 ოქტომბერს მოეწყო IATP-ის ინტერნეტ-ცენტრის ოფიციალური გახსნის საბეიმო ცერემონიალი, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც უცხოელი, ისე ქართველი სტუმრები: აშშ-ს საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშეს მოადგილე – ვენდი კენელი; აშშ-ს საელჩოს ინფორმაციული რესურსების ცენტრის დირექტორი – ნინო ჩხენკელი; ამერიკის საინფორმაციო წყაროების ინფორმაციის სპეციალისტი – ირინა ჭანგურიშვილი; რეგიონალური პროგრამების მოადგილე – ქით მელნიკი; IATP-ის ქვეყნის კოორდინატორი – ვახტანგ კონგრიძე; საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე – გია ცქიტიშვილი, იზა დემეტრაშვილი; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის პროფკავშირების თავმჯდომარე ციცო ჯაფარიძე და სხვები. საბეიმო ვითარებაში გაიჭრა ლენტი. სტუმრებმა დაათვალიერეს როგორც საინფორმაციო ცენტრის განყოფილება, ასევე ბიბლიოთეკაც. ცენტრალური ბიბლიოთეკის დაბრბამში ჩაგარდა შეხვედრა, რომელმაც სიგყვით გამოვიდნენ მოწვეული სტუმრები და ისაუბრეს იმ პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებზე, რაც ხელს შეუწყობს საბიბლიოთეკო საქმიანობის შემდგომ განვითარებას. ქალბატონმა ციცო ჯაფარიძემ საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს საჩუქრად გადასცა ოთარ ჯიშკარიანის „ანბანთქება“ და პეგრე-პავლეს ხატი. კულტურის სამინისტრომ კი საბიბლიოთეკო გაერთიანებას საჩუქრად გადასცა რამდენიმე ეგზემპლარი ლ. ასათიანის „რჩეულისა“, აგრეთვე „ახალი ქართული პიესები“




და „ხუთი ნოველა.“

ამის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გაეცნენ რაიონის ისტორიულ წარსულს, დაათვალიერეს ჩვენი თანამოქალაქის, გრაფიკულად დაღუპული 19 წლის თვითნასწავლი მხატვრის გურამ მათიაშვილის ნახატები. მუზეუმის შემდეგ სტუმრებმა ქალაქის №3 საშუალო სკოლაში გადაინაცვლეს, სადაც „ჰელოვენის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, მშვიდობის კორპუსის მოხალისემ ლორენ მილერმა, რომე-

ლიც ამჟამად ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობს ამავე სკოლაში, IV-XI კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ჩაატარა კოსტუმირებული კარნავალი.

ეს სასიამოვნო დღე დასრულდა მასპინძლების მიერ გამართული ოფიციალური ბანკეტით.

სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია ხაშურის საბიბლიოთეკო საქმიანობის აღორძინებისაკენ, ამიტომაც უახლოეს მომავალში ბევრ სასიამოვნო სიახლეს ველოთ.



ნელი ჯარიაშვილი
თს.გ. მეთოდისტი

თანამდგომთა მხარდაჭერით



სულ რამდენიმე წელია, რაც 27-ე ბიბლიოთეკის გამგედ ქ-ნი ქეთევან აშაძე დაინიშნა. მისი მოღვაწეობის დასაწყისიდან ძირეულად შეიცვალა ბიბლიოთეკის საქმიანობა.

ყველაზე გასაოცარი კი ის იყო, რომ თანამშრომელთა სურვილით, მათი ხელფასების სიმცირის მიუხედავად, თავიანთი თანხებით შეიძინეს სარემონტო მასალები და ოჯახის წევრების, მკითხველებისა და ნათესავ-მეგობრების დახმარებით მცირე კოსმეტიკური რემონტი გააკეთეს.

ბიბლიოთეკაში შესვლისთანავე იგრძნობა თვითოეული თანამშრომლის ერთუბიანობა. უპირველესად კი მოხიბლული დარჩებით იმ სტენდით, რომლის სათაურია: „ბიბლიოთეკის სანიმუშო მკითხველები“. სტენდზე მოთავსებულია მკითხველთა ფოტოები და ავტობიოგრაფიები, რომლებსაც წლის მანძილზე ყველაზე მეტი წიგნი აქვთ წაკითხული.



როცა მკითხველებმა 27-ე ბიბლიოთეკაში მომსახურების გაუმჯობესება იგრძნეს, გადაწყვიტეს აქტიური საქმიანობით დადგომოდნენ გვერდში მის თანამშრომლებს.

ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა – სამხატვრო აკადემიის პროფესორმა ალექსანდრე ციხელაშვილმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი შესანიშნავი ნახატები: იაკობ გოგებაშვილი, ლადო ასათიანი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნოდარ ლუმაბაძე, მირზა გელოვანი, გიორგი ლეონიძე, მვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა. მხატვარს განზრახული აქვს კვლავ განაგრძოს ამგვარი დახმარება, რაც კიდევ უფრო დაამშვენებს 27-ე ბიბლიოთეკას.

ბიბლიოთეკის მკითხვემა – სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა ემზარ ლომსაძემ ბიბლიოთეკაში ჩამოაყალიბა ხატვის კლუბი, რომელშიც 15 ბავშვი გაერთიანდა. კლუბის წევრები მარტო ხატვის ხელოვნებას კი არ ეუფლებიან,

არამედ მსოფლიო ხელოვანთა ცხოვრებას და შემოქმედებასაც ეცნობიან. ბიბლიოთეკაში ზაფხულის ორი თვის განმავლობაში მოეწყო ნორჩ მხატვართა გამოფენა, რომელმაც აღაფრთოვანა ბიბლიოთეკის მკითხველიც და გამოფენაზე მოსული შემოქმედი ბავშვების ოჯახები და ახლობლები. გამოფენის დამთავალერებლები ყველანი ბიბლიოთეკის მკითხველები გახდნენ.

სასიამოვნოა ფაქტიც, რომ ბიბლიოთეკის კედლის იმ ნაწილის შეკეთება-დამუშავებაზე, სადაც საგამოფენო ფარი უნდა დაიკიდოს, 115-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები გიორგი აშაძე და ბურაბ ლომიძე მუშაობდნენ.

ბიბლიოთეკის თანამდგომნი არიან ბიბლიოთეკის მომსახურების მიკრორაიონში მდებარე სკოლა-ლიცეუმის „სარკმლის“ ღირექტორი ბაია გაბაიძე, საგრანსპორტო ინსტიტუტის ღირექტორის მოადგილე ნუგზარ მაისურაძე, 45-ე საშუალო სკოლის ღირექტორი და პედაგოგები და სხვა.

საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულში 27-ე ბიბლიოთეკამ გამართა რეზო ინანიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიგერატურული საღამო. საღამოს ესწრებოდა მწერლის მეუღლე ქ-ნი რომა ინანიშვილი, რომელმაც მრავალი რამ გაიხსენა ბ-ნი რეზოს ცხოვრებიდან.

ლონისძიების დამსწრე ერთ-ერთმა მკითხველმა გამოთქვა სურვილი, რომ თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების 27-ე ბიბლიოთეკას მიენიჭოს მწერლის რეზო ინანიშვილის სახელი, რამაც დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანებაც გამოიწვია.

დღეს კი საიამოვნებით ვაუწყებთ საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლებს, მკითხველებს და ფართო საზოგადოებას, რომ თსგ 27-ე ბიბლიოთეკას უკვე მიენიჭა რეზო ინანიშვილის სახელი.

სამზრუნავი მოემატათ ბიბლიოთეკის თანამდგომთა საზოგადოებას – უკვე მზადდება რეზო ინანიშვილის შემოქმედებითი სტენდი.

ქეთევან ნიკურაძე

ახალგაზრდობის სახელმწ. რესპ. ბიბლიოთეკის ღირექტორის მოადგილე

უხსველრა საქართველოს სახალხო პოეტიან – მუხრან მაჭავარიანტიან

საქართველოს მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მკითხველთა მოთხოვნით მოეწყო შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტ მუხრან მაჭავარიანტიან.



მაჭავარიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიგერატურის გამოფენა, ბიბლიოგრაფიანათელა აბულაძემ შეადგინა პოეტის ბიო-ბიბლიოგრაფიული მახვენებელი, ბიბლიოთეკის საღირექტორო სააბჭოს წევრმა რეჟისორმა გუ-

ლად ცერცვაძემ დაწერა სცენარი და მოამზადა ბიბლიოთეკის მკითხველები ლონისძიებისა-

სამკითხველო დარბაზში გაიმართა მუხრან



თვის.

2003 წლის 9 ივნისს დიდიდანვე საზეიმო განწყობილება სუფევდა ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, თუმცა ყოველივე ამას თან ახლდა მსუბუქი მღელვარებაც. თანდათან ივსებოდა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი. ამ დღეს ბიბლიოთეკა ბევრ საპატიო სტუმარს ელოდა, თბილისის ყველა წამყვანი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებს; მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებაზე ყველა მოწვეული სტუმარი ვერ მობრძანდა, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ტევა არ იყო. ეს დღე დაუვიწყარი იქნება როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის, ისე მისი სტუმრებისათვის.

პაგარა მკითხველები ყვავილებით და „მრავალკუთხედიანი“ სიმღერით შეეგებნენ მუხრან მაჭავარიანს. დიდხანს ისმოდა სტუდენტებისა და პაგარა მკითხველების მიერ წაკითხული ბაგონ მუხრანის ლექსები და მის ნაწარმოებზე შექმნილი სიმღერები. ღონისძიება მიჰყავდათ თსუ სოხუმის ფილიალის სტუდენტებს: თეა ბაგათელიას და თენგიზ ჭუმბაშელს. პოეტის ლექსები წაიკითხეს სოხუმის ფილიალის სტუდენტებმა: მზია აბსნაძემ და ეკა ბარათაშვილმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა: გურანდა და მირანდა ნაკაძეებმა, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებმა: ივლიტა მარტოვიძემ და ნინო ჯაფარიძემ.

ნგებმა: იზო ღონაძემ, ლუბა პოლოსოვამ, თამუნა თოხაძემ, მაკა ბარქუამ, ანა ხვედელიძემ, „იბერია“ უნივერსიტეტის სტუდენტებმა: დავით ტალახაძემ და დავით მაისურაძემ, 166-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა: ნინო და ნანა ცერცვაძეებმა, 126-ე საშ. სკოლის მოსწავლე გიორგი მიროცაძემ, ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების პაგარა მკითხველებმა: ნინო ბარბაქაძემ, ლიკა და ქეთი არაყიშვილებმა. საღამოს სასიამოვნო ფონს უქმნიდა თსუ სოხუმის ფილიალთან არსებული ხალხური სიმღერების ანსამბლისა (ხელმძღვ. ბაბილინა მარღანია) და ბავშვთა ფედერაციასთან არსებული ხალხური სიმღერების ანსამბლი „ნაღურის“ (ხელმძღვ. ბადრი გულუში) მიერ შესრულებული სიმღერები. ბოლოს თავად პოეტმა თავის ომბიანი ხმით წაიკითხა რამდენიმე ლექსი.



ბაგონ მუხრან მაჭავარიანს თბილი სიტყვებით მიესალმნენ მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი ომარ შოთაშვილი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ქეთევან ნიკურაძე, ნაციონალური პარტიის ლიდერი დავით ბერძენიშვილი, პროფესორი გელა ნიკურაძე, ისტორიკოსი-პედაგოგი მანანა შეყილაძე. დასასრულს ბიბლიოთეკის დირექტორმა ბაგონმა ომარ შოთაშვილმა სამახსოვრო საჩუქარი გადასცა მუხრან მაჭავარიანს, აგრეთვე პოეტის წიგნები უსახსოვრა ღონისძიების მონაწილეებს.

შეხვედრა პოეტის ნამდვილ ბეიმად იქცა.



ლუიზა ქუმელაშვილი უხსენებს პოეტს

2003 წლის 7 ნოემბერს თსგ 55-ე ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და მკითხველებმა შეხვედრა მოუწყვეს პოეტ – ბუმრუდ გოდერძიშვილს.

ლონისძიება შესავალი სიგყვით გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ ნინელი კოკოლიშვილმა, რომელმაც დამსწრე საწოგადოებას წარუდგინა პოეტი და კოლეგა; აღნიშნა, რომ მასთან ერთად მრავალი წლის წინ მუშაობდა გ. ტაბიძის სახელობის ბიბლიოთეკაში და აღრიდებდა ემიარა მეგობარი ქალის პოეზიას – მის პირველ ლექსებს. ახლა ქ-ნი ბუმრუდი მრავალი ლექსის ავტორია, ლექსები სისგმამგურად იბეჭდება პერიოდული პრესის ფურცლებზე.

მ. გოდერძიშვილის ლექსების წიგნზე „მარტოობის დღესასწაული“ ისაუბრა ბიბლიოთეკის მკითხველმა ხატია ჭოხონელიძემ.

მე-15 ბიბლიოთეკის გამგემ თინა მაკასარაშვილმა აღნიშნა, რომ მას გულწრფელად უყვარს ქალბატონ ბუმრუდის ლექსები, რომლებსაც დიდი სიყვარულით ეგანება მისი ბიბლიოთეკის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ლიცეუმ „ოპიზის“ დირექტორმა გოჩა ურუშაძემ ილაპარაკა მ. გოდერძიშვილის ლამაზ და საამო პოეზიაზე, რომელიც სავსეა ნაზი, ქალური შგრისებით, მე იგი მინდა შევადარო ანა კალანკაძის პოეზიას. განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო ლექსი „თეძამი“, რომელშიც გამოვლენილია ბუნების აღქმის იშვიათი ნიჭი. მან მადლობა გადაუხადა პოეტს ერთი ლამაზი დღისთვის.

სიგყვით გამოვიდა მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ქეთინო ნიკურაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ბუმრუდი ახალგაზრდობის ბიბლი-



ოთეკაში მუშაობს მეთოდური განყოფილების გამგედ და იგი არა მარტო კარგი პოეტი, არამედ ბიბლიოთეკის სული და გულია, მას ყველა პატივს სცემს და უყვარს, როგორც კარგი პოეტი და თბილი, ყურადღებიანი ადამიანი.

ძვირფას მეგობარსა და პოეტს გულთბილი სიგყვებით მიმართეს თსგ მეთოდისგებმა ნელი ჯარიაშვილმა და ლუიზა ქუმელაშვილმა, მეთოდური განყოფილების გამგემ ნანული გოგატიშვილმა, რომელთაც აღნიშნეს ქ-ნი ბუმრუდის – როგორც პოეტის – ღირსებები. თავის უშუალო და გულწრფელ ლექსებში იგი უმღერის ყველაზე საყვარელ ადამიანს – დედას, განიცდის თავისი ქვეყნის, ხალხის მძიმე მდგომარეობას, ამიგომაც ისმის მის სგრიქონებში სევდიანი ნოგებიც.

პოეტის ლექსები წაიკითხეს 178-ე საშ. სკოლისა და ლიცეუმ „ოპიზის“ მოსწავლეებმა ნ. გიორგაძემ, ლ. ბაჯალაძემ, ს. კვემერელმა და სხვ. აგრეთვე საბავშვო განყოფილების გამგემ ნინო ყაულაშვილმა.

ლონისძიების დასასრულს ბუმრუდ გოდერძიშვილმა აღნიშნა, რომ მან 12 წლის ასაკში დაწერა თავისი პირველი ლექსი, ხოლო გაზეთ „თბილისში“ 1972 წელს პირველად გამოქვე-



ყნდა მისი ნაწარმოები. ადამიანისათვის მთავარი გრძნობა სამშობლოს, ბუნების, დედის და, საერთოდ, ყველაფრის მიმართ სიყვარულია, რადგან უსიყვარულოდ ვერ შეიქმნება ვერაფერი, მით უფრო ლექსი.

პოეგმა დიდი მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის მესვეურთ და დამსწრე საზოგადოებას ამ გულთბილი და მისთვის დაუვიწყარი საღამოსათვის.

პოეგმა პატივისცემით უძღვნა ბიბლიოთე-

კის გამგეს ნინელი კოკოლიშვილს ლექსი:

„ოცნობდეთ: ბიბლიოთეკარი“:

„ნიადაგ მშრომელი, ნიადაგ მმრუნველი, წიგნებს რომ უვლის და შეჰხარის, მომავლის სახელით და წრფელი სურვილით, იცნობდეთ: – ბიბლიოთეკარი. სახიერს მშობლის და სახიერს მეგობრის, წიგნებთან ფუსფუსით გადაღლილს, სათნოს და ნათელი ღიმილით შემკობილს მდაბალი მადლობის საღამო“.

გულნარა სგურუა

შეხვედრა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

აკითხველთა თხოვნით ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თანამედროვეთა შორის გამორჩეული შემოქმედი, ნიჭიერი მწერალი და მთარგმნელი დავით წერედიანი მოვიწვიეთ.

სხვა დროს და სხვა პირობებში ბიბლიოთეკას ბევრი საინტერესო პიროვნება ჰყოლია სგუმრად, რაც ჩვეულებრივ მოვლენად ჩაგვითვლია. დღეს კი რაღაც განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა ამ დარბაზობას, მღორე და უინტერესო დღეების რიგი დაირღვა. ამ დღემ უამრავი სამსახურებრივი თუ პირადი ცხოვრებისეული პრობლემა დაგვაგვიწყა. რა თქმა უნდა, წინასწარ ვიცოდით, რომ ეს ლიტერატურული საღამო სანახაობად ვერ იქცეოდა, კარებს მკითხველთა მასები არ მოაწყდებოდნენ, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ ვინც მოვიდოდა, მოვიდოდა დიდი პოეზიის მცოდნე, მოყვარული, გამგები. ასეც მოხდა. საკმაო მსმენელებმა მოიყარეს თავი, სასიხარულო იყო მათ შორის სგულენგებიც რომ იყვნენ. უფრო მეტიც: წინასწარ მთხოვეს, თუ შეიძლება წერედიანის თარგმანებიდან ნაწყვეტებს წავიკითხავითო. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მათ სუ-

რდათ.

ბატონი დავით წერედიანი მეუღლესთან – ქალბატონ მანანა ღარიბაშვილთან ერთად გვეწვია.

საღამოს გახსნას და მისალმებას უნებლიედ ჩვენი დამძიმებული სოციალური და ეკონომიკური ყოფის შესახებაც მოვაყოლე ლაპარაკი და ვერც ასეთ პირობებს გაქცეულებს ავუარე გვერდი, გასაკიცხად კი არა, (ღმერთმა დამიფაროს ლუკმა-პურის მოსაპოვებლად გადახვეწილები განვსაჯო!), უბრალოდ, რაგომდაც იმ წუთში თავი ბედნიერად ვიგრძენი, აქ რომ ვარ, ჩემს მიწაზე, ჩვენი დავით წერედიანის შემოქმედებასთან შეხების სასიამოვნო მოლოდინში. ხელოვნებას, მწერლობას და, საერთოდ, ყველაფერ იმას, რასაც ღვთიური ნიჭის გამოვლენა ჰქვია – ადამიანის სულის საზრდოს უწოდებენ, მაგრამ ეს სიგყვებიც კი უფერულია იმ გრძნობების გამოსახაგავად, დიდ ხელოვნებასათან შეხვედრა რომ იწვევს. საოცრებათა შორის საოცარია სიგყვა და მისი ძალა, როცა სინაგიფე და სიმსუბუქეც თან ერთვის ზოგჯერ, რომ მომხიბვლელ პეპელასავით, ზოგჯერ შეუპოვარი მერცხალივით რომ დასრიალებს ჰაერში მადლა-მადლა. ამიგომაც ყველას როდი ხელეწიფება მისი მოხელთება.

დავით წერელიანი სწორედ ის საკვირველი ხელოვანია, რომელსაც შეუძლია ამ ლამაზი მერცხლების გამოჭერა და მათი იმ ადგილზე დაბუდება, საიდანაც ისინი უფრო მოხდენილად და ლამაზად ჭიკჭიკებენ. აი, ასეთი ოსტატობით გაგვიქართულა დავით წერელიანმა მე-15 საუკუნის საფრანგეთის დიდი პოეტი და საინგერესო ადამიანი ფრანსუა ვიიონი, აგრეთვე შემდგომი საუკუნეების მწერლები და პოეტები.

აი, ამ ლექსებს კითხულობდნენ ახლა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები: სოფიკო ლლონგი, სოფიკო ჯაჯანაშვილი, მაია დევაძე, მარიამ ლეონიძე, და მსმენელებიც სიამოვნებით ვისმენდით:

„ხსენებულ თვეში, მწუხარე ღროში,
როცა დღისითაც ნახევრად ბნელა,
როცა სასტიკი ყინვა და თოში
ბუხრებისაკენ მირეკავს ყველას,
როცა ქარიშხლით ვახშობენ მგლები
და ჩაჰყმუიან ცარიელ სტომაქს,
მომბებრდა ასე, ჩემივე ნებით,
გრფობის დილეგში უამროდ ჯდომა“.

ასე ლამაზად და ასე მარტივად, თითქოს თანამედროვე ქართველი კაცის გულისტკივილით (და იქვე იუმორით) დამუხტული აამეგყველა წერელიანმა ფრანგი ვიიონი.

სტუდენტებმა მოგვასმენინეს აგრეთვე არტურ რემბოს და პოლ ვალერის წერელიანისეული თარგმანებიც.

დავით წერელიანის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა გაიხსენა უნივერსიტეტის დოცენტმა, საერთაშორისო ჟურნალისტიკის კათედრის გამგემ ბატონმა რემო სურგულაძემ: „გასულ საუკუნეში ქართული მწერლობისათვის ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობაც არის ნიშანდობლივი. ამ მხრივ განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარია საინგერესო, რადგანაც სამწერლო ასპარეზზე ახალგაზრდა, შესანიშნავ მთარგმნელთა მთელი თაობა გამოვიდა. მარტო ბაჩანა ბრეგვაძის ღვაწლი რად ღირს, რომელმაც თავისი რამდენიმე ათეული ბრწყინვალე თარგმანით შეავსო ქართული მწერლობასა და კულტურაში მანამდე არსებული ვაკუ-

უმი. სწორედ ამ თაობის გამორჩეული წარმომადგენელია დავით წერელიანიც. მახსოვს, როდესაც ფრანსუა ვიიონის მისეული თარგმანები დაიბეჭდა. თარგმანმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველებზე. დათოს აქვს ორიგინალის გექსტში წვდომის განსაკუთრებული უნარი, უმდიდრესი ლექსიკა, ფლობს დახვეწილ გექნიკას, ყველაფერი ეს კი მისი პოეტური ნიჭიერებისა და ფართო ერუდიციისაგან მომდინარეობს.

ფრანსუა ვიიონის შემდეგაც დავით წერელიანმა კიდევ რამდენიმე თარგმანით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. ამასთანავე იგი შესანიშნავი პოეტიც არის. მან შეღარებით გვიან დაბეჭდა პირველი ორიგინალური ლექსები და მკითხველი საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. მახსოვს მისი პირველი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა. ამასთანავე იგი შესანიშნავი მეცნიერიც არის. მისი ესეები არა მხოლოდ სიღრმით გამოირჩევა, არამედ ფორმის დახვეწილობითაც, ამიგომ შემთხვევითი არ არის, რომ მისი ნაწერები ზოგჯერ „მასტერკლასის“ რუბრიკითაც იბეჭდება და სტუდენტებს სანიმუშო მასალად ეძლევა.

ისიც უნდა ვთქვა, რომ დავით წერელიანი მუშაობს ბევრს, მაგრამ ბეჭდავს ცოცხას. განსაკუთრებით ეს მის ორიგინალურ შემოქმედებას ეხება. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავისი შემოქმედებითი არქივიდან კიდევ არაერთ ნაწარმოებს გამოამბეურებს და მკითხველი საზოგადოების გულწრფელ აღტაცებას გამოიწვევს“.

დავით წერელიანის შემოქმედებაზე საუბრის პროცესში ის თავადაც ჩაგვერთებოდა ხოლმე. ვინც პოეტის პიროვნებას იცნობს, ისიც იცის, რომ მის მიერ საუბრის წამოწყება ასე ადვილი როდია, მაგრამ ფრანგული ენის სპეციფიკისგამა დოცენტმა ნატო მაჭარაშვილმა ეს მაინც მოახერხა. ბატონი დავითი ენის ცოდნის საკითხებს შეეხო და სასიქაღულოდ მიიჩნია ამათუ იმ ენის სიღრმისეული ცოდნა, მაგრამ თარგმანის ხარისხიანობა ამით როდი განისაზღვრება, ხდება ხოლმე, რომ ბჭკარელებით



არისგოგელეს ბეგაულენით უნდა იყოს განპირობებული, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ შეხებას ანიჭებდა უპირატესობას ადამიანის სხვა შეგრძნებათა შორის, ასახვას ჰპოვებს მის პოეზიაში. სწორედ სიგყვების ფიზიკური სიასლოვით, მათი შეხებით იწვევს პოეტი მოულოდნელობის განცდას.

მთარგმნელს გაცილებით უკეთესი თარგმანი გამოსდის, ვიდრე ენის მცოდნესო, ბრძანა მან.

ქალბატონმა ნატო მაჭარაშვილმა დიდი მადლიერება გამოხატა ღავით წერედიანისადმი მისი ლიტერატურული შემოქმედების გამო: „როდესაც მკითხველმა მიიღო ბატონი ღავითის მიერ შესრულებული ფრანსუა ვიიონის პოემების ქართული ვერსია, რომელიც იმთავითვე მთარგმნელობითი ლიტერატურის ბედნიერ გამონაკლისთა შორის მოხვდა, როგორც ღედნის მიმართ ფორმისა და შინაარსის ადექვატრობის წყალობით, ასევე, თავისთავად ამ ახალი ლიტერატურული ქმნილების მაღალ მხატვრული ხარისხით, გაჩნდა მოსაზრება, რომ წერედიანის მწერლური ნიჭი კარგად მოერგო ვიიონის პოემიას.

ღდეს კი ჩვენ ხელთ გვაქვს ვიიონისაგან პოლარულად განსხვავებული პოეტის პოლ ვალერის „ზღვის სასაფლაოს“ ისეთივე ბრწყინვალე თარგმანი, რომელიც შესრულებულია იმავე მთარგმნელის მიერ. „ზღვის სასაფლაოს“ სირთულესთან დაკავშირებით თვით პოლ ვალერი წერდა, რომ „გექსტის ნამდვილი აზრი“ თავისთავად არ არსებობს, მას სჭირდება წაკითხვა და, ამდენად, მკითხველი თავისი სულის და გონების თანამონაწილეობით ქმნის ლექსის აზრს. ამასთან, ფრანგ პოეტს მიაჩნია, რომ მაღარმეს ჰერმეტიული პოემიის დარად, მის ბნელ ანუ ძნელად წასაკითხავ გექსტს ელიტარული მკითხველი სჭირდება.

კარგეზიანული თემის ვალერისეული პერიფრაზა – „ვეხები, მაშასადამე ვარსებობ“, რაც

ყოველივე ზემოთ თქმული ნათელს ხდის, თუ რა სირთულეებს სთავაზობს ვალერის პოეტური გექსტი მთარგმნელს. გასათვალისწინებელია პოემიის მიმართ მისი ორმაგი დამოკიდებულებაც – ერთი მხრივ, სამყაროს პოეტური აღქმა უნდა ვადიოდეს ხალას შეგრძნებებზე, მეორე მხრივ, რაკი ვალერი – პოეტის გვერდით მუდამ ცოცხლობდა ბატონი გესტი, მისივე პროზის მოუღავი თვითმჩხრეკი ინტელექტუალი, პოეტი ესწრაფვოდა თავისივე პოემიიდან განდგომას და ღისტანციიდან დაკვირვებას თავისსავე შემოქმედებით პროცესზე. ეს კი ნიშნავს, რომ მისი პოემია ერთდროულად გვთავაზობს სამყაროს ემოციურ ცხოველ აღქმას და ინტელექტუალური ღისტანციის სიგრილეს. ეს გვაგონებს ა. ჟიდის ინტერესს რომანის შექმნის პროცესისადმი, რისი შედეგიც ვახლავთ ე.წ. რომანი რომანში.

გასათვარი, მაგრამ თარგმანს სრულად აქვს შენარჩუნებული პარადოქსულ სიგყვათა და განცდათა დაწყვილებით გამოწვეული მოულოდნელობის სიხარული.“

„შუა საუკუნეების ლიტერატურაზე საუბრისას სტუდენტებს ყოველთვის ვუკითხავ ბატონი ღავითის მიერ თარგმნილ ფრანსუა ვიიონის ლექსებს“, – თქვა უნივერსიტეტის დოცენტმა ქმა მანანა ჯაოშვილმა. „არაჩვეულებრივი ქდერადობისა და ავტორისეულ გექსტთან თანხვედრის წყალობით ეს პოემია ნებისმიერი აუდიტორიის აღფრთოვანებას იწვევს.

ვიიონი, გოეთე. რემბო, ვალერი, კინიარი მე-15 საუკუნიდან ღდემდე ასეთი ფართო დი-

აპაზონის არჩევანი იშვიათია მთარგმნელის საქმიანობაში, მით უმეტეს, რომ დასახელებული ავტორების მსოფლმხედველობა, სტილი, ლიტერატურული მრწამსი მკვეთრად განსხვავებულია.

ბაგონი დავითის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ძეგლები გრიმების ბლაპართა თარგმანი. მისი ღირებულება გაცილებით მეტია, რადგან ამ ბლაპრების მეშვეობით ჩვენი მომავალი თაობა იბრძება და ეზიარება ქართულ ენას“.

ქ-მა მანანამ აღნიშნა აგრეთვე დავით წერელიანის მეუღლის ქ-ნ მანანა ღარიბაშვილის ნაყოფიერი მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ.

მთარგმნელმა ქალბაგონმა მშვენიერი წიგნი, მის მიერ ლათინურიდან თარგმნილი ვალერიუს კატულუსის 33 ლექსი, რაც დღემდე ქართულად არ ყოფილა თარგმნილი, სახსოვრად გადასცა ბიბლიოთეკას.

ბაგონი დავით წერელიანის და მთელი აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია ექიმ-ნევროლოგისა და ამავე დროს კინომცოდნის, ლოცენგ დავით გიგინეიშვილის მიერ შემოთავაზებულმა საუბარმა თანამედროვე ფრანგი მწერლის პასკალ კინიარის რომანის „ყოველი დილა ქვეყანაზე“ წერელიანისეული თარგმანის ირგვლივ. ამ რომანს იგი პირველად ფილმის სახით გასცნობია, რომლის სცენარისტი თვით კინიარი ყოფილა ალან კორნოსთან ერთად. ამ კინემატოგრაფიული ღრამის გავლენა დიდი

იყო, ამბობს ბაგონი დ. გიგინეიშვილი, მაგრამ ვიზუალურ მხარესთან ერთად ფილმის ესთეტიურ ღირებულებას აძლიერებდა ფრანგული ბაროკოს მუსიკის ბრწყინვალე ნიმუშები.

იმ კლასიკური თარგმანების (პოლ ვალერი, რემბო, ვიონი და სხვა) მერე ბაგონი წერელიანის არჩევანი უდავოდ ნაკარნახევი იყოს მისი პოეტური ალლოთი, რომელმაც გამოავლინა ამ სხვადასხვა ეპოქების ნიმუშებს შორის ერთიანი ხაზი. თანამედროვე ჭრელ ბელეგრისტიკაში აღნიშნული რომანი გამოირჩევა თავისი თხრობითა და შინაარსით, აქცენტებითა და სიგყვის მიღმა გაჩენილი სივრცეებით (აზრებით), ესთეტიკურობითა და სისუფთავით (რადგან მასში ლაპარაკია მუშებიდან ყველაზე უმწეო ფორმაზე – მუსიკაზე) ის გვახსენებს სიგყვის იმ ძალას, რომელსაც საოცარი დახვეწილობით იყენებდნენ ჩვენთვის ნაცნობი გიგანები. თარგმანი ნამდვილად კარგი შენაძენია ჩვენს ერთგვაროვან და მრავალსახოვნებას მოკლებულ ცხოვრებაში და პრობაში ჭეშმარიტად შეყვარებულ მკითხველს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის მაღალესთეტიკურ ნიმუშებს ეზიაროს“.

საღამო დამთავრდა მომავალი შეხვედრების და ლიტერატურული საუბრების იმედით. ბიბლიოთეკის მისია – იღვეს მწერლისა და მკითხველის საზოგადოების სამსახურში, ამოუწურავია.

ნიკო დეკანოსიძე

ხარაგაულის კულტურის განყოფილების გამგე

კლასიკს ბეპრჯერ ბაბაოცხებს

1985 წელს ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე ბიბლიოთეკის ღირეექტორმა ქ-ნმა იზა ვეფხვაძემ ჩამოაყალიბა ლიტერატურული თეატრი, რითაც იმ ძნელბედობის ქაშს რაონში დაქსაქსულ მხატვრულ შემოქმედებით

ძალებს მოუყარა თავი.

ლიტერატურულმა თეატრმა მიზნად დაისახა ქართული მწერლობის, წიგნის, ხელოვნების პროპაგანდა, ქართული მწერლობის თვალსაჩინო მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედე-



ბის განხილვა.

იმა ვეფხვაძეს მაღალი ინტელექტი, ხაგოვანი ამროვნება და უტყუარი გუმანი აქვს. იგი ყველა თაობისა და ყველა რანგის მსმენელისათვის საინტერესო პიროვნებას გამოარჩევს ხოლმე, ვისი სიტყვაც და საქმეც ფესვეულად ქართულია.

არასოდეს დაავიწყდებათ ხარაგაულს და მის სტუმრებს იმა ვეფხვაძის ლიგერაგურული სპექტაკლები გიციან გაბიძებზე, პაოლო იაშვილზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ოგია იოსელიანზე, შოთა ნიშნიანიძეზე, გურამ რჩეულიშვილზე, უშანგი ჩხეიძეზე, გურამ ღოჩანაშვილზე, მურაბ კუხიანიძეზე, რემო ჭეიშვილზე, ვეგენი ხარაძეზე, დავით სარაჯიშვილზე, ოთარ მამფორიაზე, რემო თაბუკაშვილზე და სხვებზე. ასეთი დიდი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობით ლიგერაგურულმა თეატრმა ნამდვილი ღირებულებების ფასი დაანახა ახალგაზრდობას.

ყოველი სპექტაკლი ნამდვილი ბეიმია, სადაც ჩანს იმა ვეფხვაძის – თეატრის რეჟისორის, სცენარისტის და მსახიობის ნატიფი გემოვნება, სცენური კულტურა, სიფაქიბე, სითბო და გულწრფელობა, მკაფიო ინდივიდუალობა და შემოქმედებისადმი განსაკუთრებული მიდგომა.

1987 წელს თეატრს დიდი ქართველი მამულიშვილის რემო თაბუკაშვილის სახელი მიენიჭა.

თეატრის მოღვაწეობა სულ მალე რაიონის ფარგლებს გასცდა. იგი შემოქმედებით საღამოებს მართავს თბილისში, ქუთაისსა და საქა-

რთველოს სხვადასხვა ქალაქებში.

რამდენიმე წლის წინ აღნიშნული თეატრი ლიგერაგურული სალონის სახით დაფუძნდა ქუთაისში.

გასულ წელს ხარაგაულის ლიგერაგურულ თეატრს სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა, რაც უდავოდ დიდი აღიარება იყო.

თეატრი ამჟამად უკვე ძალზე პოპულარულია საქართველოში, მას ბევრი მიწვევა და წარმატება აქვს. თეატრის მონაწილეობა იმერეთის ფესტივალში ქიურის სპეციალური პრიზით აღინიშნა.

აღბათ, საინტერესო და მრავლისმთქმელი იქნება მკითხველისთვის რამდენიმე შეფასება, რომელსაც აღნიშნულ თეატრს აძლევენ ცნობილი მოვაწინი:

* * *

„იმა ვეფხვაძე ნამდვილი ფენომენია. აღფრთოვანებული ვარ მისი ორაგორული ნიჭით, მეხსიერებით, განცდის უნარით, ემოციით. მე რამდენიმე საათი ვიყავი იმას სამყაროში, ეს იყო საოცარი სამყარო ღმერთისგან ბოძებული“ (ნინიკო ჩხეიძე).

„ულრმესი მაღლობა იმას ნიჭიერი, ღრმა სიყვარულით გამთბარი საღამოსათვის. მე, როგორც მსახიობს, ნიჭიერება არ უნდა მათცებდეს, მაგრამ მე მართლა გამაოცა მისმა საოცარმა ნიჭიერებამ“ (ოთარ მეღვინეთუხუცესი).

„ჩემო იმა! თაბუკაშვილები სამუდამო ვალში ვართ შენს წინაშე. შენ სულ დანის პირზე დადიოდი, რომ მამაჩემისთვის ღირსეული პატივი მიგეგო და ღირსეულად გაიარე ეს რთული გზა“ (ლაშა თაბუკაშვილი).

„იშვიათია ასეთი ნიჭიერება, ასეთი გადმოცემის ნიჭი და უნარი“ (გოგი გეგეჭკორი).

„მე გაოგნებული და განცვიფრებული დავრჩი იმა ვეფხვაძის ლიგერაგურული სპექტაკლით რემო თაბუკაშვილისადმი. ის, რაც მე აქ ვნახე და მოვისმინე, ერთი ადამიანის ძალასა და ენერჯიას აღემატება“ (გიგა ლორთქიფანიძე).




„იმა ვეფხვაძე ნამდვილი ფენომენია, რომელიც მთელი ენერგიით ემსახურება ქართული მწერლობის პოპულარიზაციას“ (გურამ დოჩიაშვილი).

„მე იმდენი მითხრა იმა ვეფხვაძემ ჩემს შემოქმედებაზე, რაც მე ნამდვილად არ ვიცოდი. ეს რა სასწაულების მოხდენა შეუძლია ამ ხელოვანს“ (ოთარ მამფორია).

„აი, ეს გახლავთ ჭეშმარიტი ნიჭიერება და მშვენიერება. მე სპექტაკლის მიმდინარეობისას გოცებისგან პირჯვარიც კი ღავიწერე“ (მიხეილ ქვლივიძე).

„იბას მიერ ჩატარებული საღამო გახლდათ სულიერი სიმაღლით, სინაგიფით და მშვენიერებით გაჯერებული ბეპირი მონათხრობი. ეს გახლავთ სრულიად ახალი ქანრი და მას სპეციფიკების სათანადო შეფასება სჭირდება“ (ვალერი ასათიანი).

„ეს რა მიქნა ამ ქალმა, ყველა სათქმელი პირიდან გამომაცალა, სათქმელი აღარ დამიგოვა. აღფრთოვანებული და გოცებული ვარ“




(თამაზ კვაჭანგირაძე).

„ბელნიერი ხარო ასეთი ნიჭის მფლობელი. დიდ საქმეს აკეთებო“ (ელიშერ მაღალაშვილი).

* * *

თეატრს წინ ფართო გზა და უღვევი პერსპექტივები აქვს. საამაყო, რომ აღნიშნული თეატრი სწორედ ბიბლიოთეკასთან არსებობს და წიგნის პოპულარიზაციას ემსახურება. ძალზე საინტერესო და ორივეს მხრივ ხელსაყრელი იქნება, თუ აღნიშნული თეატრი, ფილიალის სახით თბილისშიც ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც წარმოაჩენს თავის მოღვაწეობას.



ნინელი კოკოლიშვილი
ოსგ № 55 ბიბლიოთეკის გამგე

ბიბლიოთეკა – კულტურის ოაზისი



ქ. თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების № 55-ე ბიბლიოთეკა, რომელიც ვარკეთილის III მიკრორაიონში მდებარეობს, ამ დასახლების ინტელექტუალური შეკრების ერთ-ერთი მთავარი ადგილია.

ეკონომიკური სიღუჭირის პირობებში, როცა ადამიანები მოკლებული არიან ელემენტარულ სულიერ საზრდოს, ამ ბიბლიოთეკაში მაინც მიმდინარეობს მასობრივი მუშაობა – ხდება პრესისა და წიგნების განხილვა, ამრთა ურიერთგამიარება, სხვადასხვა თემების დამუშავება, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ბინებშიც ემსახურებიან სასურველი ლიტერატურით

დაინტერესებულ პენსიონერ და ინვალიდ მკითხველებს.

კულტურის ამ მარლაც ოაზისში ხდება ცნობილი ადამიანების მოწვევა მკითხველთა სურვილის გათვალისწინებით. მკითხველთა დიდი ინტერესით დაკმაყოფილების მიზნით იქნა მოწვეული კახეთიდან ახალგაზრდობის საყვარელი მწერალი კარლო კობერიძე. ბიბლიოთეკის მკითხველი მოსწავლე-ახალგაზრდობას და პედაგოგებს აინტერესებდათ, სად და როგორ ცხოვრობს მწერალი და როგორ აღიქვამს იგი დღევანდელობას, რა ამრისაა საქართველოს ხვალისდელ დღეზე.



ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა ნინელი ჭოხონელიძემ განაცხადა, რომ კარლო კობერიძე თავისი შემოქმედებით შესანიშნავად პასუხობს მარადიულ კითხვას: „რანი ვართ ადამიანები“.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა და 178-ე სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნაწყვეტები მწერლის ნაწარმოებებიდან.

მწერალს სიყვებით მიმართეს პედაგოგებმა, მეთოდისცებმა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა.

კარლო კობერიძემ დიდი მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ახალგაზრდებს გულთბილი შეხვედრისთვის და უპასუხა მათ მიერ დასმულ მრავალ შეკითხვას.

მკითხველთა სურვილით, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეხვედრა მოუწვეს აგრეთვე მწერალსა და კინორეჟისორს გოდერძი ჩოხელს, რომელიც ავადმყოფობის გამო ღონისძიებაზე ვერ მოვიდა და გამოგზავნა გულთბილი სტრიქონებით გამთბარი შემდეგი წერილი: „ჩემო უსაყვარლესო ადამიანებო, მაპატიეთ, ვერ აგისხნით, ისე ცუდად ვარ. თუ შეგიძლიათ, ჩათვალეთ, რომ მოველი შეხვედრაზე და თქვენთან ვარ. გამიხარდება, თუ არ შეიძენვთ ფიზიკურად ჩემს მანდ არყოფნას და ისე ჩაატარებთ შეხვედრას, როგორც ჩემს მანდყოფნის დროს. გულით თქვენთანა ვარ და მომიტყვევით ეს გაწბილება.“

დიდი სიყვარულით თქვენი გოდერძი ჩოხელი“.

ოქტომბრის თვეში გოდერძი ჩოხელი განმეორებით იქნა მოწვეული ბიბლიოთეკაში, მაგრამ არჩევნების გამო იგი კვლავ ვერ მოვიდა შეხვედრაზე.

სალამოზე რეჟისორ ია მაკასარაშვილის ხელმძღვანელობით ლიცეუმ „ოპიზას“ მოსწავლეებმა თორნიკე გახოკიძემ, ლიკა ბაჯალაძემ, სოფო კვებერელმა, ანა მამუკელაშვილმა და შავლეგ ურუშაძემ მაღალპროფესიულ დონეზე წარმოადგინეს გოდერძი ჩოხელის ნაწარმოები კრებულიდან „არჩევნები სასაფლაოზე“.

სიყვით გამოსულმა ბიბლიოთეკის მკითხველებმა და მოწვეულმა სტუმრებმა გოდერძი ჩოხელი დაახასიათეს როგორც უნიჭიერესი თანამედროვე მწერალი, რომელიც, დკლიაშვილის მსგავსად, რეალისტურად აღწერს დღევანდელ ცხოვრებას, ერთდროულად შეუძლია გვაცინოს და გვაგინოს.

ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ გოდერძი ჩოხელის ეს ნაწარმოები აუცილებლად უნდა წაიკითხოს საზოგადოების ფართო ფენამ, რადგან მწერლის მიერ ნათქვამმა ერთმა ფრა-



ზამ „ხალხნო, რას დაემსგავსეთ!“ – შეიძლება ყველა დააფიქროს.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებს დიდი სურვილი აქვთ, მესამედაც მოიწვიონ მწერალი გოდერძი ჩოხელი, აჩვენონ მას ბავშვების მიერ შესრულებული დადგმა, პირადად გაეცნონ მკითხველები საყვალ მწერალს.

იმოლდა ოკრიბელაშვილი

სიყვარულით დანაჩილი ნიბნი

მამდენიმე ხნის წინ, როგორც იმედის მწვანე შგო – დამამშვილებელი და ტკივილდამაყუჩებელი წამალი – ჩვენს მაგიდაზე გაჩნდა ცენგრალიზებული საბიბლიოთეკო სისგემის ღირექორის ქალბატონ იზა ვეფხვაძის წიგნი „ხარაგაული.“ ამ წიგნში გრძნობათა ისეთი თბილი ქვედინებაა, რომ მთელ სამყაროს, ადამიანებს, ყოველ სულდემულს შეგაყვარებს.

ეს მერამდენედ გვიშველა იზამ ამ მძიმე წლებში, როცა ირგვლივ სიღატაკე, სიცივე, გაუგანლობა მეფობდა, ჩვენ მის მიერ მოწყობილ ლიგერატორულ საღამოებზე, სპექტაკლებზე მივდიოდით მობუბულები, იმედშერყეულნი, მერე კი იზას უმდაბლესი ემოციის ღიდი მუხგით გასხივოსნებულნი „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთო!“ – ერთმანეთს ვეხვეოდით და ვულოცავდით. დედაქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მობრძანებული მწერლები, მსახიობები, მეცნიერები, ხელისუფალნი გაოცებულნი რჩებოდნენ, პროვინციის მზე რომ ასე არისგოკრატულად ანათებდა. მაღლობას უხდიდნენ ხარაგაულს და აღგაცებულ ჩანაწერებს უგოვებდნენ იზას.

იზა ვეფხვაძის წიგნი „ხარაგაული“ ღიდი შრომის შედეგია. ავგორი სგუდენგობიდანვე რულუნებით აგროვებდა ამ მასალას, ესათუთებოდა, ადარებდა, ხვეწავდა...

წიგნი თემაგურად მრავალფეროვანია, ავგორი იყენებს ცოცხალ საუბრებს, მეცნიერულ ლიგერატორას, პუბლიცისტიკას, გოპონიმიკას, ხალხურ სიგყვიერებას.

წიგნი „ხარაგაული“ საოცარი სიმუსგით გვამცნობს ხარაგაულის წარსულს. მისი ღიდე-

ბული ციხე-გადრების ისგორიას, რაიონის ღიდებულ ადამიანებს, განათლების, სპორგის, კულგურის პირველ კერებს რაიონში და მათ შემდგომ განვითარების ეგაპებს. განსაკუთრებული ექსპრესიითაა დაწერილი მონაკვეთი ხარაგაულის გამორჩეულ სოფელ ფარცხნალზე. რუბრიკა „არის ასეთი სოფელი“ საფუძველს გვადლევს იზა ვეფხვაძეს უზადო მწერალი-დოკუმენტალისტი ვუწოდოთ. სული-სშემძვრელია „გალაქციონის ნაგერუალები.“

წიგნში ღიდი ადგილი ეთმობა ხარაგაულის მიწაზე აღმრდილ და შემდეგ მთელ ქვეყანაზე გაბრწყინებულ სახელებს: რემო თაბუკაშვილი, არჩილ და ევგენი ხარაძეები, ნადეკდა ხარაძე, კიგა ბუაჩიძე და კიდევ მრავალი სხვა...

დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი წიგნის გმირებზე, რომლებიც ღლეიდან კიდევ უფრო ახლობელნი გახდნენ ხარაგაულელებსათვის. ღიდებულია განყოფილება „მუზადქეული ხარაგაული.“ გულის გულს სწვდება ავგორისეული სგრიქონები:

„რა შეედრება შენს მონაგრებას, თვალებს ცრემლები ედება ნაზად, არ შემიძლია, მე ვერ ვიცოცხლებ შენს გარეშე და შენს უნახავად.“

ავგორი უკვე მუშაობს „ხარაგაულის“ II და III ნაწილზე. წიგნს ღიდი შეფასება მიეცა კრიტიკოსებისა და ლიგერატორების მიერ, არაერთი სგაგია დაიბეჭდა სხვადასხვა გამეთში. იგი პირველი წიგნია, რომელიც იმერეთიდან ხარისხის ნიშნით გაუშვეს, რაც იმის წინა პირობაა, რომ წიგნი მსოფლიოს ყველა წიგნის გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას.



გურამ თაყნიაშვილი

ეპოპლიური კუთხის სიყვარულით

ას წიგნი არ არის დაწერილი მხოლოდ მშობლიური კუთხის სიყვარულით, იგი შექმნილია საკუთარი ქვეყნის, ქართული მიწისა და თანამემამულეთა სიყვარულით გულანთებული ავგორის მიერ. კითხულობთ ხარაგაულის შესახებ შექმნილ ამ ნაშრომს და ერთხელ კიდევ რწმუნდებით იმაში, თუ რა შეუძლია მშობლიური კუთხის სიყვარულს, მონღომებსა, სურვილს – არ დაკარგოს მხარის შესახებ არსებული არც ერთი ინფორმაცია, თუნდაც მწირი, მშრალი, მაგრამ არსებითი, ოღონდ მხარის შესახებ დაწერილი. და ყველა ეს მასალა, რომელიც უხვადაა გაბნეული ქართულ პრესაში, არქივებსა თუ გეპირსიგყვიერებაში, ერთ მძივად ასხმული, ნათლად წარმოგვიდგენს ხარაგაულის წარსულსა




და დღევანდელობას, მის სახელოვან ადამიანებს, ბუნებას, ისტორიულ ძეგლებს თუ ფოლკლორულ მასალებს;

წიგნი შექმნილია ავგორის მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული, მიგნებული მასალების არა უბრალოდ ბიბლიოგრაფიული დამუშავების შედეგად. მიგნებული მასალა საგულდაგულოდ დამუშავებული, შეფასებული და აწონილ-დაწონილია.

ვინ არის წიგნის ავგორი? იზა ვეფხვაძე, სპეციალობით ბიბლიოთეკათმცოდნე, ხარაგაულის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სასახლის დირექტორი; მოწოდებით მსახიობი; 1995 წელს მან ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ჩამოაყალიბა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიგერაგურული თეატრი. ამ თეატრმა უკვე სახელი მოიხვეჭა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართული წარმოდგენებით, ლიგერაგურული საღამოებით; ასეთი საღამოები მიეძღვნა ცნობილ მამულიშვილებს: პაოლო იაშვილს, გიციან გაბიძეს, გურამ დოჩანაშვილს, შოთა ნიშნიანიძეს, ევგენი ხარაძეს, უშანგი ჩხეიძეს და სხვ. ღირსეულ მამულიშვილებს.

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია იზა ვეფხვაძის საუბრისათვის, ვინც

ერთხელ მაინც დასწრებია მის მიერ მოწყობილ ლიგერაგურულ თეატრს, მას უთუოდ დაამახსოვრდებოდა სცენაზე მდგარი ქალბატონი, შემართული, მაგრამ მორჩილი აღნაგობის, ნამდვილი ქართულით მოსაუბრე: მისი თქმა არის ერთდროულად ღრმად მგრძნობიარე, შთამბეჭდავი, საამბროვნო კულტურას ბედმიწევნით დაახლოებული; მსმენელი მთლიანად შეპყრობილია სცენიდან მომდინარე ქართული



სიგყვის ნაკადით, დარბაზში სრული სიწყნარე სუფევს, სწორედ ისეთი, დიდი ბიბლიოთეკების სამეცნიერო დარბაზებს რომ სჩვევიათ:

ეს სიჩუმე დაგვირთულია მოსაუბრის შემჩნეველი მოძრაობით, არგისგული ქესვით, ამრისა და სანახაობითი მხარის საოცარი შეხამებით. ხმა მოსაუბრისა ნარნარია და მუსიკალური, განელეებული ქდერადობითა და გემბრით: აგმოსფერო დარბაზში ბუნებრივია, თითქოს ფრინველის გალობას უსმენდეს კაცი.

იმა ვეფხვაძე თავისუფლად ნავარდობს მწერლის, მეცნიერის, თუ საზოგადო მოღვაწის სამფლობელოში; იგი პიროვნებას ხაგავს მთლიანობაში, ხაგავს მხაგვრული სიგყვის საოცარი

ფლობით; ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მოსაუბრე შემოქმედის, მწერლის ცხოვრებით ცხოვრობდა. მთავრდება ლიგერაგურული თეაგრი და მსმენელი კარგა ხანს რჩება მხაგვრული გარემოს გყვეობაში.

ეს წერილი არც წიგნის ანოგაციაა და არც მისი პოპულარიზაციისათვის დაწერილი სტრიქონები.

იმა ვეფხვაძის წიგნში ვერ ნახავთ ვერც ერთ ეპიბოლს, ნაწილს, თუნდაც სტრიქონს, მას ბედ რომ არ ეგყობოდეს ავგორის გულის სითბო, იმ გულისა, რომელიც უხვადაა გაცისკროვნებული ხარაგაულისა და ხარაგაულელთა სიყვარულით.

მეთოდური დახმარება



ბიბლიოთეკართა ორდლიანი რაიონული სემინარების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების სპორიენტასიო თემატიკა (2004 წ.)




ასეთი სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების საორიენტაციო თემატიკა აღრე გამოვაქვეყნეთ ჩვენს ჟურნალში (3 (4)2001); იმის გამო, რომ საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკებისათვის ჯერჯერობით არ არსებობს კვალიფიკაციის ამალეების მუდმივმოქმედი კურსები, ასეთი სემინარების ორგანიზება რეგიონებში მიიჩნევა ბიბლიოთეკებამდე სიახლეთა მიგანის ერთ-ერთ აქტუალურ ფორმად. საქართველოს ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკების დიდი უმრავლესობა აქტიურად იყენებს ამ ფორმას; რაიონების ერთმა ნაწილმა სხვადასხვა დროს მოაწყო საბიბლიოთეკო აქტივის შეხვედრა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობასთან; დირექტორების დიდი უმრავლესობა მუდმივად თვალყურს ადევნებს საქართველოში მიმდინარე საბიბლიოთეკო პროცესებს, ცდილობს საქმიანი ურთიერთობა იქონიოს თბილისში მოქმედ

საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სემინარების თემატიკა, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ, კვლავ აქტუალურია დღეისათვის; მას შეიძლება დავუმაგოთ შემდეგი თემები:

- 1) საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკა და ადამიანის უფლებების დაცვა;
- 2) ფასიანი მომსახურების ფორმები ცენტრალურ და სხვა ბიბლიოთეკებში;
- 3) ეროვნულ უმცირესობათა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობა რეგიონებში (ანალიზი, პრობლემები);
- 4) ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე; ბიბლიოთეკართა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება;
- 5) პროფესიული ჯგუფების (ეკონომისტების, იურისტების, ბიზნესმენების, პედაგოგების, კერძო მეწარმეების) საბიბლიოთეკო და საინფორ-



რმაციო მომსახურება;

6) საბიბლიოთეკო კვირეული საქართველოში: ბიბლიოთეკარის დღის აღნიშვნა;

7) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, 7 ივნისი, 2003, № 246, „საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ და რაიონის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ანალიზი;

8) ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკის ურთიერთობა საერთაშორისო ფონდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

9) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტები და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნვე-


ლყოფა;

10) ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ცალკეული ნომრების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, რაიონის ბიბლიოთეკების მუშაობის ასახვა ჟურნალის ფურცლებზე.

თემატიკა დასამუშავებლად გამოყენებული უნდა იქნეს ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ცენტრის მასალები; აქ მოხსენებული პრეზიდენტის ბრძანებულება გამოქვეყნდა ჩვენს ჟურნალში (№ 4, 2003).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ცენტრი.

ინფორმაციები



ბიბლიოლოგიური შენაძენი



მოყვარულთ. აღრე ჩვენ ვიგყობინებოლით ამის შესახებ. ახლაც მათ ცნობილი ფრანგი მწერლების ნაწარმოებთა ქართული თარგმანების გამოცემები შემოგვთავაზებს. ესენია: ბერნარ-მარი კოლგეს „უდაბნოში დაბრუნება“ (თარგმანი

უკვე მერამდენეც, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი ძვირფას საჩუქარს სთავაზობს მხატვრული ლიტერატურის

ეკა ენუქიძისა), მარი ღარიესკის „ტრუიზმი“ (მთარგმნელები თამუნა ლომიძე და შორენა ნინიაშვილი), და ჟორჟ ფედოს „ეჭვის ჭია“ (თარგმანი ირინა ლოლობერიძისა), სამივე წიგნი, როგორც ეს მათ თავფურცლებზეა აღნიშნული,

ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ძღვენია, რაზედაც მას ჩვენი საზოგადოების მადლობა ეკუთვნის.

საერთოდ, დიუმას ცენტრი ჩვენში ძალიან დიდ და საჭირო საქმიანობას ეწევა, რაზედაც

ცალკე გვქონდა საუბარი ჩვენს ჟურნალში; ამჟამად მადლობასთან ერთად გამოვთქვამთ იმედს, რომ ცენტრი კვლავ გაახარებს ჩვენს მკითხველებს ამგვარი ძვირფასი ძღვენით.



საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია



საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი 2003 წლის დეკემბრიდან შევიდა საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის (გრენა) გამგეობაში.


საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია (გრენა) არის არაკომერციული ორგანიზაცია (კავშირი) რეგისტრირებული 1999 წლის 16 ივლისს.

გრენას ძირითადი მიზანია ერთიანი საინფორმაციო კომპიუტერული ქსელის შექმნა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, საუნივერსიტეტო საავადმყოფოებს, საერთაშორისო ორგანიზა-


ციებს, რომლებიც მუშაობენ განათლების სფეროში და მათ პროგრამებში ღებულობენ მონაწილეობას.

გრენას ქსელში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობა აღემატება 300 (დაახლოებით სამი ათასი კომპიუტერი), რომლებიც მდებარეობს თბილისში, ქუთაისში, გორში, ბუგდილში და სხვა ქალაქებში. პროექტების განხორციელება მიმდინარეობს უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით NATO-ს სამეცნიერო პროგრამისა და ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

გრენას ინტერნეტ მისამართია:
Http: (www.grena.ge)



გამოსაშუქება



ბაგონო რედაქტორო!

დავით სარაჯიშვილის საიუბილეო ღვებების აღნიშვნის საორგანიზაციო საბჭო მოგმართავთ თხოვნით, თქვენი ჟურნალის მეშვეობით, მადლობა მოვახსენოთ დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მი-

ძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის შემდეგ დაწესებულებებსა და პირებს:

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას (გენ. დირექტ. ლ. ბერძენიშვილი) საგამოფენო და რბაზში წიგნებით, ჟურნალ-გამეთებით, ფოტო

მასალებითა და დავით სარაჯიშვილის პირადი ნივთების გამოფენის მოწყობისათვის, იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმოუჩინეს ქურნალისგებს საჭირო მასალების მოძიება-მიწოდებაში, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის პროგრამას „პუბლიცისგს“ ტელელოკუმენტების ნაწილებისაგან (ქურნ. კ. ლუარსაბიშვილი) გადაელო ფილმი „წარსულის ფურცლები“, აგრეთვე ბიბლიოთეკის სპეციალისტების მიერ „დავით სარაჯიშვილის ბიობიბლიოგრაფიის“ გამოსაცემად მომზადებისათვის.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს (რექტ. აკად. რ. მეტრეველი) სამეცნიერო კონფერენციის ჩაგარებისათვის; თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს (რექტ. აკად. რ. ხუროძე) სარაჯიშვილის სახელზე ფაკულტეტის გახსნისათვის; ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიას (რექტ. პროფ. მ. დოიჯაშვილი) ჩაგარებული საღამოსათვის; მწერალთა კავშირს (თავმჯდ. თ. წივწივაძე) მოწყობილი კონფერენციისათვის; ხელოვნების მუზეუმს (დირექტ. პროფ. ნ. ლომოური) გამოფენის მოწყობისათვის; ლიგერატურის მუზეუმს (დირექტ. იზა ორჯონიკიძე) ისტორიული მასალების მოწოდებისათვის; ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს საგურამოში (დირექტ. ან. ბელუკიძე) გამოფენა-კონფერენციის მო-

წყობისათვის; გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორს ა. ბაბუხაძის სპეციალური ნომრის მიძღვისათვის; ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწ. მუზეუმს (დირექტ. აკად. ლ. ჭილაშვილი); სააქციო საზოგადოებას „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“ (პრეზიდ. ე. ბუბუტეიშვილი); „მიგროფანე ლალიძეს“ – ხილუული წყლების ქარხანას (პრეზიდ. თ. ლალიძე); საგამოფენო დარბაზების: „ცისფერ გალერეას“ და „თანამედროვე გალერეას“ თანამშრომლებს; სპორტული საზოგადოებების პრეზიდენტებს გუნდების შეჯიბრებების ორგანიზებისათვის; მეწარმეებს ღონისძიებებში მონაწილეობისათვის; მხატვარ გრაფიკოსს ე. ბურჯანაძეს და სარაჯიშვილს საიუბილეო დროშის და გრაფიკული ნაწარმოებების პანოს შექმნისათვის; მოქანდაკე ლ. ქველიძეს საიუბილეო მედლის ჩამოსხმისათვის; ნ. ბერაიას დავით სარაჯიშვილის პორტრეტის მიძიებით შესრულებისათვის; ნ. კერესელიძეს საიუბილეო კალათის დამზადებისა და გამოფენის მოწყობაში მონაწილეობის მიღებისათვის; ყველა პიროვნებას, ვინც მონაწილეობა მიიღო და თავისი დამოკიდებულება გამოხატა დიდი მამულიშვილის დავით სარაჯიშვილის ხსოვნის მიმართ!

იუბილის საორგანიზაციო საბჭო



2004 წლის ღირსშესანიშნავი და საინტერესო თარიღების დაგეგმვითი კალენდარი*

(ბიბლიოთეკების დასახმარებლად)

იანვარი

15 – 210 წლის წინათ (1794) დაიბადა ალექსანდრე გრიბოედოვი, რუსი მწერალი და დიპლომატი. გარდაიცვალა 1829 წ.

21 – 135 წლის წინათ (1869) დაიბადა თელრაზიკაშვილი, მწერალი, პედაგოგი, გა-

რდაიცვალა 1922 წ.

22 – 100 წლის წინათ დაიბადა არკადი გაილარი, რუსი მწერალი, გარდაიცვალა 1941 წ.

მარტი

26 – 65 წლის წინათ (1939) დაიბადა გურამ ღოჩანაშვილი, მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

31 – 65 წლის წინათ (1939) დაიბადა გვიად გამსახურდია, საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი, მწერალი, მეცნიერი.

აპრილი

16 – 160 წლის წინათ (1844) დაიბადა ანატოლ ფრანსი, ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1924 წ.

19 – 110 წლის წინათ (1894) დაიბადა გრიგოლ ცეცხლაძე, პოეტი, გარდაიცვალა 1976 წ.

26 – 190 წლის წინათ (1814) დაიბადა დიმიტრი

ციფიანი, პუბლისტი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1884 წ.

30 – 125 წლის წინათ (1879) დაიბადა კორნელი კეკელიძე, აკადემიკოსი, ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1962 წ.

მაისი

2 – 150 წლის წინათ (1854) დაიბადა თევდორე (თედო) ჟორდანიას. ქართველი ისტორიკოსი, პედაგოგი, ფილოლოგი.

ივნისი

10 – 70 წლის წინათ (1934) დაიბადა ნოდარ ჯალაღონია, პოეტი.

– 120 წლის წინათ (1884) დაიბადა დავით სულიაშვილი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1964.

ივლისი

1 – 200 წლის წინათ დაიბადა ჟორჟ სანდი. ფრანგი მწერალი, გარდაიცვალა 1876 წ.

18 – 165 წლის წინათ (1839) დაიბადა სიმონ გუნავა, პოეტი, გარდაიცვალა 1909 წ.

აგვისტო

15 – 90 წლის წინათ (1914) დაიბადა გივი გაჩეჩილაძე, ლიგერატურათმცოდნე, მთა-

რგმნელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1974 წ.

სექტემბერი

3 – 90 წლის წინათ (1914) დაიბადა ანდრია აფაქიძე. ისტორიკოსი, არქეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

16 – 100 წლის წინათ (1904) დაიბადა ნიკოლოზ ოსტროვსკი, რუსი მწერალი, გარდაიცვალა 1936 წ.

10 – 170 წლის წინათ (1834) დაიბადა ილია წინამძღვრიშვილი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1920 წ.

26 – 190 წლის წინათ (1814) დაიბადა ლავით ჩუბინაშვილი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიგერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1891 წ.

ოქტომბერი

14 – 115 წლის წინათ (1889) დაიბადა მიხეილ ზანდუკელი, ლიგერატურათმცოდნე, პედაგოგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, გარდაიცვალა 1968 წ.

31 – 100 წლის წინათ (1904) დაიბადა გიორგი წერეთელი, ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გარდაიცვალა 1973 წ.

ნოემბერი

3 – 75 წლის წინათ (1929) დაიბადა ჯანსუღ ნიქაბაძე, პოეტი.

რესელიძე, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1892 წ.

10 – 175 წლის წინათ (1829) დაიბადა ივანე კე-

დეკემბერი

1 – 80 წლის წინათ (1924) დაიბადა ოთარ მამფორია, მწერალი.

ბლიცისტი, მთარგმნელი, გარდაიცვალა 1970 წ.

4 – 150 წლის წინათ (854) დაიბადა ვასო აბაშიძე, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, გარდაიცვალა 1926 წ.


25 – 140 წლის წინათ (1864) დაიბადა ნიკოლოზ (ნიკო) მარი. ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, გარდაიცვალა 1934 წ.

11 – 120 წლის წინათ (1884) დაიბადა სიკო (სვიმონ) ფაშალიშვილი, მწერალი, პუ-

ბათუმეხი ესჯიზები



ჩვენი მკითხველები



როგორც ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან ურთიერთობამ დაგვანახა, ჟურნალს არა მარტო ბიბლიოთეკის მუშაკები კითხულობენ, არამედ სხვა

დარგის სპეციალისტებიც, ჩვენთვის სწორედ ამ თვალსაზრისით იყო საინტერესო ბათუმელი მკვიდრი, განთქმული ქართული გვარის ღირსეული წარმომადგენელი – სულიკო კაკიკაციშვილი, არ გამოუტოვებია ჩვენი ჟურნალის არც ერთი ნომერი, თავიდან ბოლომდე არ გადაეკითხოს. უკვე ღაფრომილი, მძიმე ინვალიდი, უდიდეს სიამოვნებას ღებულობდა თავის აივანზე მჯდომარე, როცა კითხვაში აგარებდა მთელ საათებს. სამწუხაროდ, ბოლო ნომერმა ვეღარ მოუსწრო. დიდი ხანი არაა, რაც ბატონი სულიკო გარდაიცვალა და კეთილმოსურნე, ღირსეული მკითხველის ნათელი ხსოვნა დაგვიგოვა. ეს მისი უკანასკნელი სურათია.



ბათუმის საზღვაო სასწავლებლის სტუდენტები ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან.

ბათუმის ქუჩებში არაერთგან შეხვდებით გოგონებს მებღვაურის ფორმაში, არ იფიქროთ, ექსტრავაგანტური მოდაა. უბრალოდ, გოგონები საზღვაო სასწავლებლის სტუდენტები არიან. სწორედ მეცადინეოს შემდეგ ახალგაზოგანილი წიგნებით სავსე ჩანთებით ბიბლიოთეკიდან გამოსულთ შეხვდა მათ ჩვენი კორესპონდენტი და მცირე გასაუბრების შემდეგ გაღაბლო ისინი ფირზე.



წიგნები



წიგნი ხელოვნების დაუფლების უცილობელი კომპონენტია



წიგნებს ღლესაც პყავს თავისი მყიდველი

მიმდინარე წლის 20-30 აწილს საქართველოში
წარდება საბინტოთიეყო ყვირეყო

30 აწილი საქართველოს
ბინტოთიეყო
ღღეა

ეწვიეო თქვენს ბინტოთიეყოს!